



K 29.926
3 ov

632 : 6398



საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გეოცენასეობის სამინისტრო

საქ. სსრ გეოცენასეობათა აკადემიის გეოცენასეობა-
გეოლოგიის ინსტიტუტი

ნ. ი. ალექსიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ვაზის მთავარი მაცნეპლები და მათთან ბრძოლა

K 29.926
30V

სამართველოს სსრ სახელმწიფო გამოცემა
იგივე 1948



328623978



000-888-333
ԳՈՐԾՎԵԱԼԵՔ

190.127.221. high 2012. պահ.

ფინასი ტაზა ობა

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. შორეულ წარსულში ვენახებს საქმაოდ დიდი ფართობი ეკავა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკაში. ასევე დიდი წონა აქვს მევენახეობას ქართველი ხალხის ეკონომიკაში დღესაც. გარდა იმისა, რომ ეაზი ფართობის ერთეულშე იძლევა დიდ მოსავალს, ადრე შედის მსხმოიარობაში—დარგიდან 3—4 წლის შემდეგ, კარგად იტანს გვალვას და მისი გაშენება შეიძლება ბევრ ისეთ ადგილზე, რომლებიც სხვა კულტურებისათვის გამოყენებარია, ვაზს ის უპირატესობაც აქვს, რომ იძლევა ძვირფას საკვებ და სამკურნალო პროდუქტს. ამიტომ შეიყვარა ქართველმა ხალხმა ეს კულტურა. ვაზისადმი ასეთი სიყვარული, მისი დიდი ეკონომიური მნიშვნელობა და ვაზის სიცოცხლის დიდი უნარიანობა იყო იმის მიხევი, რომ წარსულში მეზობელ, მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა მიერ ვენახების გაჩერებით მევენახეობა საქართველოში არ ისპობოდა. გაკაფულ ვენახებს მოკლე ხანში სათუთი მოვლით ხალხი ისევ აღადგენდა ან ახალს აშენებდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მევენახეობა საქართველოში იწყებს დაქვეითებას. უკანასკნელის მიხევთა შორის აღსანიშნავია ჯერ ნაცრის, ჭრაჭისა და ფილოჭერის გავრცელება, შემდეგ კი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, მენშევიკური მთავრობის უბადრუკობა და სხვ. ყოველივე ამის გამო ვენახების ფართობი თითქმის განახევრდა.

ასეთი იყო მევენახეობის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლებამ. იგი შეუდგა სადედების გაშენებას, მყნობის საქმის გაუართოებას და ნამყენი ვაზებით ახალი ვენახების გაშენებას.

ბას. მევენახეობის განვითარების საქმე მკვიდრ წილადი დადგა. ცხადია, ვენახების ფართობის ზრდასთან ერთოდ ჭყავიროა მსხმოიარე და ახალშენი ვენახების დამუშავების უძრავი როტექნიკისა და მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მაღალ ღონებე აყვანა.

ჩვენ აქ არ შევეხებით აგროტექნიკის საკითხებს, ვინაიდან იგი ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. განვიხილავთ მხოლოდ მავნებლებ-ავადმყოფობათა საკითხებს და აღვნიშნავთ, თუ რა დიდი უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ მათ მევენახეობისათვის.

ვაზის მავნებლები და ავადმყოფობანი ხასიათდებიან სახეობათა სიუხვით და მრავალი მათგანის მასობრიობით. ფილოქსერა, ყურძნის ჭია, ვაზის ცრუფარიანა, ვაზის ფოთლის აბლაბულიანი ტკიბა, ვაზის ტკიბა, ღრაჭები, მავთულა ჭიები, ჭრაქი, ნაცარი და სხვა, ვაზის თანასაზოგადოების თითქმის მუდმივი და რიცხვობრივად გაბატონებული წევრებია. ამ სახეობათა ნაწილი თვით ვაზს აზიანებს, ნაწილი კი ყურძენს ან ორივეს ერთად. თუ რამდენად დიდია მავნებლებ-ავადმყოფობათა უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა მევენახეობაში, ამის გასათვალისწინებლად საქმარისია შემდეგი მაგალითების დასახელება:

ფილოქსერამ, რომელიც უბრალო თვალით თითქმის უხილავი მწერია, საფრანგეთში 15 წლის განმავლობაში 7 მილიარდი ოქროს მანეთის ღირებულების ვენახები მოსპო. ეს ის მავნებელია, რომელმაც საქართველოში მრავალი ვენახი გაანადგურა და გვაიძულა ვენახები ნამყენი ვაზებით გავეშენებია. ჭრაქმა მარტო 1933 წელს, მასობრივად გავრცელების გამო, უკრაინაში 18 მილიონი მანეთის, ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღისტანში 13 მილიონ 60 ათასი მანეთის, აზერბაიჯანში 3 მილიონი 600 ათასი მანეთის და საქართველოში 6 მილიონი 552 ათასი მანეთის ღირებულების ყურძენი დალუპა. ჭრაქთან შედარებით ნაცარი ნაკლებ ზარალს გვაყენებს, მაგრამ ეს ზარალი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც თუ ისე უმნიშვნელოა. 1933 წლის აღრიცხვის მიხედვით იგი საქართველოში უდრიდა მილიონ 80 ათას მანეთს.

თავიანთი უარყოფითი მნიშვნელობით ზემოთ აღნიშნულ
მავნებლებსა და ავადმყოფობათ ბევრად არ ჩამორჩებან რა უად-
ხოლო ზოგიერთს კიდეც უსწრებენ, ყურძნის ჭია და ორფრინგნის გა-
ფოთოლმხვევები. ყურძნის ჭია დიდად აზიანებს ვენახებს კა-
ხეთში კარდანახილან მოყოლებული თელავამდე. კერძოდ
კარდანახში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ზოგიერთ
წელს მისგან მოსავლის $\frac{2}{3}$ იღუპებოდა. მეტად დიდ უარყო-
ფით როლს ასრულებს უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით
კახეთში, ვაზის ცრუფარიანა, რომელიც იქ მასობრივადაა
გავრცელებული.

ეს მაგალითები საქმაო დამაჯერებლობით ლაპარაკობს
იმის შესახებ, რომ მავნე მწერებისა და სოქოვან დაავალე-
ბათა უგულებელყოფა მევნენახეობაში არ შეიძლება. საჭიროა
ორგანიზაციულად გამართული ბრძოლა მათ წინააღმდეგ.
მაგრამ მავნებლებ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლას
მაშინ ექნება კარგი შედეგი, თუ შეიარაღებული ვიქნებით
მაღალი ცოდნით: გვეცოდინება მავნებელ-ავადმყოფობათა
გამოცნობა, მათი ყოფა-ცხოვრება, გამოჩენის ვადები, ბრძო-
ლის საშუალებანი და სხვ.

წინამდებარე ბროშურის მიზანია გააცნოს მკითხველს ყვე-
ლა. საჭირო ცნობა ვაზის ძირითადი მავნებლების შესახებ.
ცალკე ბროშურა მიეძღვნება ვაზის ავადმყოფობებს.


აფტორი.

ვაზის მავნებლები

ვაზის ფესვებისა და ნიაღავში აჩვებული ცლორიზაბის
მავნებლები

ფილოქსერა

დაზიანება. ფილოქსერა ორგვარია—ფესვისა და ფოთ-
ლის. ფესვის ფილოქსერა აზიანებს ვაზის ნორჩი, ჯერ კიდევ
მოზიარდ ფესვურებს, მსხვილ, განევებულ ფესვებს და ნია-
ღავში არსებულ ღეროს, ფოთლისა კი—ფოთლებს, მწვანე
ყლორტებს და მის ულვაშებს.



სურ. 1. ფოთლის ფილოქსერის მიერ დაზიანებული ფოთლი და რქა.

ფილოქსერის კვების შედეგად ნორჩ მოზარდ ფასტეულები
ჩნდება გამონაბერი, რომელსაც ნოდოზიტეტა აუჭალუმის
ნოდოზიტეტს აქვს კაუჭის ან ჩიტის ნისკარტის ფორმა.
გამონაბერი პირველად ყვითელია, შემდეგ თანდათან მურა
ფერს იღებს და ბოლოს მთლიანად იხრწნება. დაზიანებული
ფერის იღება 1—17 დღეში.


უფრო დიდი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს ფერსვების
დაზიანებას, რომელიც სხვადასხვა სიღილის გამონაბერის სა-
ხეს იღებს. რაც უფრო დიდია გამონაბერი, მით უფრო სა-
შიშია დაზიანება ვაზისათვის. ფილოქსერის კოლონიების
მიერ ფერსვებზე ჭარმოშობილი გამონაბერები, რომელთაც
ტუბეროზიტეტებს უწოდებენ, ხშირად ერთდება და, ამგვა-
რად, ფერსვი მთლიანად კოერებით იფარება.



სურ. 2. ფოთლის ფილოქსერისგან ძლიერ დაზიანებული
ვაზის ყლორტები.

1

ფესვის ფილოქსერა ერთნაირად არ აზიანებს ამერიკულ
გამძლე და ევროპული ჯიშის ფესვებს. პირველთა ფესვებშიც რა არ
ნაჩეულები აღვილი, როგორც წესი, ზერელეა, არ სცილდეს ცურცია
კამბიუმს. ამასთან, ნაჩეულები აღვილი სწრაფად იზოლირ-
დება კორპას საფენით. ევროპული ვაზის ფესვებზე დაზიანება
სცილდება კამბიუმს და დაღის მერქნამდე, ხშირად კი გუ-
ლამდე. ამგვარად დაზიანებული ვაზის ფესვები ტენიან პირო-
ბებში მაღე ლპება.



სურ. 3. 1—ტებერთხიტეტები; 2—ნოდოსიტეტები.

დაზიანებული ვაზი თანდათან სუსტდება, ფოთლები უცვით-
ლდება, რქებს მუხლოშორისი მანძილი უმოკლდება, მოსაფა-


ლი მცირდება, უვითარდება პატარა და წერილმარცვლის
მტევანი და ბოლოს იღუპება. ვაზის დაღუპვის ქართული ხაზი
ჯიშჩეა დამოკიდებული. ზოგიერთი ჯიში, მაგ., საფერავი,
ანალგაშენებულ ურწყავ ვენახებში ფილოქსერის გაჩენის
პირველი წლიდანევე იწყებს დაღუპვას და 4 წლის ვანმავლო-
ბაში თითქმის აღარც ერთი ვაზი არ რჩება. შედარებით მეტ
ხანს ძლებენ ის ვაზები, რომელგბზედაც ფილოქსერა გვიან
მოხვდება და, აგრეთვე, შედარებით ვაძლე ჯიშები—მწევანე,
ჩინური, რქაწითელი, ციცქა და სხვ.

ფილოქსერის ბუნებრივი გავრცელების დროს ვენახის დაზია-
ნებას ლაქობრივი სახე იქნა. დასუსტებული და დაღუპული
ვაზები აქ კალო-კალოდ გვხვდება. ეს ლაქები თანდათან იზრ-
დება კონცენტრულ წრებად და ბოლოს მოულ ვენახს იკავებს.



სურ. 4. წინ, ფილოქსერის მიერ მოსპობილი საფერავის ნაკვეთი ვენახში,
უკან, ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ვენახი.

რაც შეეხება ფოთლის ფილოქსერას, მის მიერ დაზიანე-
ბულ აღგილებში ხდება უჯრედებისა და ქსოვილების ვაზრ-
და-გამრავლება, რის შედეგად ვითარდება პარკუჭი ანუ გა-
ლი. უკანასკნელი, ჩვეულებრივად, ფოთლის ქვედა მხარეზე
ჩნდება, იშვიათად კი მის ზედა მხარეზედაც. ჯიშის მიხედ-
ვით გალი ისევ მომწევანო ფერს ინაოჩინებს ანდა მოწითალო
ფერს იღებს. მრავალი გალის გაჩენის შემთხვევაში ფოთლი
იკრუნჩხება. ამგვარად დაზიანებული ფოთლები ხშირად ნააღ-
რევად ცვივა, ვაზები სუსტდება და, ცხადია, მერქნის მოსა-
ვალიც მუირდება.



სურ. 5. ფოთლის ფილოქსერა ფრი კვერცხით.

ფოთლის ფილოქსერის ზრდადას-
რულებული ფორმა მოყვითალო-
მომწვანოა, ოვალური, სიგრძით
1,2—1,5 მმ.

ფოთლის ფილოქსერის კვერც-
ხი ღია მწვანეა, ბრჭყვიალი, სი-
გრძით 0,14—0,28 მმ, ფესვის
ფილოქსერისა კი—პირველად ღია
ყვითელია, სიგრძით 0,16—0,30 მმ.

ნიმფას ორივე მხარეზე აქვს
ფრთხების მუქი ჩანასახები. იგი
მეორე და მესამე ხნოვანების ფეს-
ვის ფილოქსერისაგან განირჩევა
თავისი წაგრძელებული სხეულით.

ფრთიანი ფილოქსერა მუქი ეან-
გისფერია, მუქი ყავისფერი მკერ-
დის ფარით, სიგრძით 0,5—1,5 მმ.




სურ. 6. ფილოქსერის ნიმფა.

ფრთიანი ფორმის კვერცხები ორგვარია—სამამლე და  დედლე. სამამლე კვერცხი პატარაა, 10,4—0,27 მმ. სადედლე კი 0,18—0,36 მმ. ორივე ლია ყვითელია და მიუღიასეული.



სურ. 7. ფილოქსერის ფრთიანი ფორმა.



სურ. 8. ფილოქსერა: 1—მამალი, 2—დედალი.

მუქი უანგისფერი. მამალი მოყვითალო-ყავისფერია, სიგრძე
ძით 0,28 მმ-დე, დედალიც ასეთივე ფერისაა, სიგრძეშემცირებული
0,5 მმ-მდე. ორივე უფრ-
თოა.

მოზამთრე კვერცხი მუქი
მწვანეა, სიგრძით 0,11—
0,25 მმ.

გავრცელება. ფილოქსე-
რის სამშობლოდ ითვლება
ამერიკის შეერთებული შტა-
ტები, საიდანაც ის გავრ-
ცელდა თითქმის კველა
ქვეყნის მევენახეობის რაი-
ონებში. ევროპის სახელმწიფოებიდან იგი პირველად შენიშ-
ნულია ინგლისში (1863 წ.), შემდეგ საფრანგეთში (1869 წ.),
ავსტრიაში (1872 წ.), შვეიცარიასა და გერმანიაში (1874 წ.),
უნგრეთში (1875 წ.), ესპანეთსა და პორტუგალიაში (1877 წ.),
იტალიაში (1879 წ.), რუმინეთში, თურქეთსა (1883 წ.) და
ბულგარეთში (1884 წ.).


არაევროპული ქვეყნებიდან ფილოქსერა აღმოჩენილია შემ-
დეგ წლებში: ავსტრიალიაში 1880 წ., კალიფორნიაში—1884 წ.,
არგენტინაში და ჩილაში—1888 წ. და ახალ ზელანდიაში—
1890 წ.

ყოფილ მეფის რუსთის ტერიტორიაზე ფილოქსერა პირ-
ველად ნახულია ყირიმის დასავლეთ ნაწილში—1880 წ., შემ-
დეგ სოხუმში—1881 წ., ყუბანში—1883 წ., თბილისში—
1884 წ., ბესარაბიაში—1886 წ., ყოფილ შორაპნისა და ქუ-
თაისის მაზრებსა—1889 წ., გორის მაზრაში—1893 წ., ხოლო
კახეთში—1910 წ.

1925 წლიდან საქართველოს ვენახებში ფილოქსერა უკვე
მთლიანად იყო მოდებული.

ყოფა-ცხოვრება. ფილოქსერის განვითარება ამერიკულ და
ევროპულ ვაზებზე კოველთვის ერთნაირად არ მიმდინა-
რეობს.

ამერიკულ ვაზზე შემდეგნაირად ვითარდება: ვაზაფხულზე
მოზამთრე კვერცხიდან, რომელიც მოთავსებულია ვაზის
შტამპზე აშეკლი ქერქევებში, ინკება მატლი; მას დამფუძნე-
ბელი ეშვოდება. ეს მატლი (ხასიათდება მოკლე ჯაგრებისაგან
შემდგარი ხორთუმით) აღის ფოთოლზე და იწყებს ქვებას
ფოთლის ზედა მხრიდან. მოზამთრე კვერცხებიდან დამფუძ-
ნებლების გამოჩეკის პერიოდი საქმაოდ გრძელია და რაიონის



სურ. 9.

ფილოქსერის მოზამთრე კვერცხი.



მიხედვით უდრის 14—30 დღეს. ჩვენს პირობებში 14 დღეში მთავრდება. ვაზის განვითარების მიხედვით კვერცხურა რე კვერცხებიდან გამოჩეკა მთავრდება ვაზზე პირველი 9—10 ფოთლის განვითარების შემდეგ.

მატლი იკვებება, იზრდება, იცვლის კანს 4-ჯერ, ასრულებს ზრდას და იწყებს კვერცხების დებას პართენოგენეზურად, ე. ი. შეულების გარეშე იმ გალაშივე, რომელშიაც განვითარდა. მისი კვერცხის პროდუქცია დიდია და უდრის 200—600 ცალს. 2—8 დღეში კვერცხებიდან იჩეკება მეორე თაობის მატლები, რომელთა დიდი ნაწილი (მოკლებოროთუმიანები) თავსდება ფოთლებზე და ისევე, როგორც დამფუძნებელი, ფოთლებზე აჩენს გალებს, მცირე ნაწილი კი (გრძელბორთუმიანები), გადადის ნიადაგში და იქ ვაზის ფესვებსა და ფესვურებზე იწყებს კვებას. ამგვარად, ფოთლის ფილოქსერა მეორე თაობიდან იძლევა როგორც ფოთლის, ისე ფესვის ფილოქსერას.

ფოთლის ფილოქსერის ცველა თაობიდან ერთნაირი რაოდენობით არ ვითარდება ფესვის ფილოქსერა. იგი იწყება შეცირებული რაოდენობით და შემდეგ თაობებში თანდათან იზრდება. ვასილევის გამოკვლევით ეს ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობს:

| | | | |
|-----|-------|-------|----------|
| I | თაობა | ცველა | ფოთლისაა |
| II | " | —45% | ფესვისაა |
| III | " | —62% | " |
| IV | " | —82% | " |
| V | " | —88% | " |
| VI | " | —95% | " |
| VII | " | —100% | " |

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ფილოქსერამ თავისი სრული განვითარების დროს უნდა გაიაროს ფრთიანის და სქესიანის ფორმები. ალნიშნული ფორმები ვითარდება ნიმფიდან, ნიმფა კი წარმოიშობა ფესვის ფილოქსერიდან ფესვებზე და იშვიათ შემთხვევაში ფოთლის ფილოქსერიდან გალებში.

ფესვებზე ნიმფებისა და ფრთიანების წარმოშობა ხდება შემდეგნაირად: დასავლეთ საქართველოში მაისის მესამე დეკადიდან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ივნისის პირველი დეკადიდან ფილოქსერებში ჩნდებიან ისეთები, რომელთაც სხეული უფრო გრძელი აქვთ. მათ მესამე კანის გამოც-

ვლის შემდეგ უჩნდებათ ფრთის ჩანასახები. ესენი ნიმფები, რომლებიც ამოდიან ჩვეულებრივად ნიადაგიდან მაფერერებული ერთხელ კიდევ იცვლიან კანს და ფრთიან პართენოგენებულებრივად დედლებად იქცევიან. ფრთიანებს სქესმატარებლებს უწოდებენ, რადგან ისინი დებენ კვერცხებს, საიდანაც დედალი და შამალი უნდა გამოიჩინოს. ამ კვერცხებს ათავსებენ ვაზის შტამბზე, კვირტებსა და ფოთლებზე. მათი კვერცხის პროფუქცია არ არის დიდი და უდრის 2—8 ცალს. ფრთიანის კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლის დამახასიათებელია ის, რომ მას არა აქვს განვითარებული პირის ორგანოები და საჭმლის მოსანელებელი აპარატი, რის გამო საკვებს ვერ იღებს. იგი ყოველგვარი კვების გარეშე ვითარდება, 4-ჯერ იცვლის კანს, ასრულებს ზრდას და ულლებება, რის შემდეგ თითოეული დედალი დებს თითო კვერცხს. განაყოფიერებულ ანუ მოზამთრე კვერცხს სდებს ვაზის შტამბის ნაპრალებში და ამსკარ ქერქმევეშ. ეს კვერცხი ამ აღგილზე რჩება მთელი ზამთრის განმავლობაში და იჩეკება ვაზაფხულზე, იმ პერიოდში, როდესაც ამერიკულ ვაზზე განვითარდება მისთვის აუცილებელი საკვები—ფოთლები.

ფოთლის ფილოქსერის ბიოლოგიის აღწერისას დავინახეთ, რომ ხშირიდ ამერიკულ ვაზზე მისგან წარმოშობილი ფესვის ფორმა იმავე წელიწადს იძლევა მოზამთრე კვერცხს და ამით სრულდება განვითარების სრული ციკლი. ასეთი შემთხვევების დროს მას, ცხადია, განვითარების ერთწლიანი ციკლი ექნება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფოთლის ფილოქსერის მიერ წარმოშობილი ფესვის ზოგიერთი ფილოქსერი იმავე წელს არ იძლევა მოზამთრე კვერცხს, რადგან მათგან არ ვითარდება ნიმფები, ფრთიანები და შემდეგ განაყოფიერებული კვერცხის მდებელი სქესიანები. ცხადია, ამ შემთხვევაში, ამერიკულ ვაზზე ისინი ერთ წელიწადში ვერ მიაღწიევთ სრულ ციკლს. რომ შევადაროთ ფილოქსერის განვითარება ამერიკულ და ევროპულ ვაზებზე, დავინახეთ, რომ იგი მთლად ერთნაირია არ მიმდინარეობს. ეს აისხება იმ ვარემოებით, რომ ევროპული ვაზის ჯიშების მეტი ნაწილი თითქმის აბსოლუტურად გამდევა ფოთლის ფილოქსერისადმი, ე. ი. დამფუძნებელი სრულიალ ვერ იკვებება მისი ფოთლებით, ასეთ პირობებში დამფუძნებელი, რომელიც იჩეკება

մոխամտրե յզերլսիօնան, սատանաւո մշաքացո դուռընթական լուսական լուսական գամու ուղարկեցա դա, ամեցարած, արասուցես ար հման անդա վուտարեցու սրբաւո ուրաւո. հոգուրց գամոնայլուսու պահանայլուս հոգուրաւո զանու ուստու չունեցաւու, հոմլութիւնու մտելու ազգա- ժաւուու գանձազլունաշու վուտարեցա դուռընթական գուլույսերու և ուղարկեցա տառածեցու, տշմուա կայլու տառածա ուղարկեցա մուրու პրուցյուուս. յարտաւո չունեցաւոն աստու ուրաւոյաց- ու դա ծյուրա. ամ նշանաւու գուլույսերաս յշեցա գանցուո- րեցու սրբաւո ուրաւո.

գանցունուու գույսու գուլույսերու ույսեցեցի գանցուուրեցա յշերունու ան հայեցեցի զանուն. գույսու գուլույսերու նամ- տառածա ույսեցեցի սեցագասեցա սուրբմեն. մուսու ամա տու ու ու սուրբմեն. նամտառածա դամույուցեցեցունու ունան, տու սաւ ունա- ծեցու և զուտարեցեցու գուլույսերու նշանուցուուտ սուրաւու- ծու գայիցեցամեց. նուագու նշանաւուրտան ածլումուու գուլույ- սերու ունամտառածու նուագու նշանաւուրտան ածլու, լրմա գույ- սեցի մուու յու—լրմաւ. գամոնայլուս նշանուց նշանուցուուտ հրդուու հասունեցու, սաւաւ գուլույսերու նշանուցուուտ պո- ւուլուցու յանուու հագու. գույսու գուլույսերու հայն პուրու- ծեցի նամտառածա մարտու 1-լ ասայի դա, հոգուրց ուշուատու նշանուց յանուու, յզերլսիօն սրբաւուամո.

յայլա գույսու գուլույսերու յրտուրունու ան ունաւու նամտ- անաս. նոցուրտու, մաց, սեյբրեմեցի շուկա նամտառածու գագասունու, նոցու յու նույներշու և ունաւու մերու 1-լ հու- եցի գագագու. յս մոխամտրե գուլույսերու, հոմելսաւ ծրաբույլու գուրմա և յոմրալու ուրաւո այցես, մուտացեսեցունու յույսեցի. ամ լրու մաս տացու եռաւումու չացրեցի հանունու այցես յույսու յսուցուլիմո.


հասունուս և յայրլույլեցու սուրբմուս մուեցուու նամտառ- ան յամուսցու սեցագասեցա լրու եցեցա. սուրբ աւրու ու- ցուու նուագու նշանաւուրտան ածլու մուու և սամերյու հասունեցի յայրլույլու ուրաւու գուլույսերու. գուլույսերու սա- յարտաւու ուցուու անհուլիմո.

մոխամտրե գուլույսերու համուցունու յանագեսունու մեց յու- լույլու ան հիյեցա. ուցու նոցուրտ նյուլս նոցուրտ հասունիմո սացրմենունու մուրուց յանու. նշանուց եցեցա մանուն, հուրա նամտրուս յանու գուլույսերուսաւու ասաւան ըմբերամուն նլցարն մերու. ամ լրու մուսունեցա եռլմե նուագու

ჭედაფენა, რის გამო იქ მყოფი ფილოქსერის კოლონიები
იღუპება.

ამას გარდა, არის ისეთი ნიადაგები, საღაც ზოგიერთ ჭულს

29. 9. 20
K



სურ. 10. ფილოქსერის განვითარება ნიადაგში, ფეხის ფილოქსერის განვითარება ნიადაგში და ნიადაგს ზევით ამერიკულ ვაზის ფოთლებზე: 1. მოზამთრე კვერცხი; 2. მოზამთრე კვერცხიდან გამოიჩინილი მატლი; 3. ფოთლის ზრდადასრ. 1-ლი თაობის ფილოქსერა კვერცხებით; 4. ფოთლის ფილოქსერა მეორე ტაობის 1-ლი ხნოვანება; 5. ფოთლის მეორე ტაობის ფილოქსერა. ზრდადასრ. ფორმა კვერცხებით; 6. ფოთლის ფორმის მესამე ტაობის 1-ლი ხნოვ. ფილოქსერა. 7. მოზამთრე ფილოქსერა; 8. მისი ზრდადასრ. ფორმა კვერცხებით; 9. ფოთლისა და ფეხის ფილოქსერის მატლი; 10. ფეხის ფილოქსერა კვერცხებით; 11. მოზამთრე ნიმფა; 12. ზრდადასრ. ფეხის ფილოქსერა კვერცხებით; 13. ნიმფა; 14. ფრთიანი ფილოქსერა; 15—16. ფრთიანის კვერცხები; 17. მამალი და დედალი ფილოქსერა; 18. დედალ-მამლის შეუღლება.

2. ვაზის მთავარი მავნებლები.

შემოდგომა-ზამთარში ან გაზაფხულშე გრუნტის წყალი აბ-
ლოს ამოდის ნიადაგის ზედაპირთან, მაშინ, როდესაც უკავშირ
ხულში იგი ლრმა ფენებშია. გრუნტის წყლის ამოწვევის გრძო
ფილოქსერის კოლონიები, რომლებიც ლრმა ფენებში იყვნენ
მოთავსებული ზაფხულის პერიოდში და იქვე დაიზამთრეს,
უკავრო გარემოში ხდებიან და იგუდებიან.

მოზამთრე ფილოქსერა გაზაფხულშე, გამოლვიძების შემ-
დეგ, იწყებს კვებას და განვითარებას. იგი, როგორც ყველა
ფილოქსერა და საერთოდ ტილი, კანს 4-ჯერ იცვლის, რის
შემდეგ იქცევა ზრდადასრულებულად ანუ მიაგოდ. უკანას-
კნელი შეულლების გარეშე, ე. ი. პართენგენეზურად იწყებს
კვერცხების დებას. კვერცხების რიცხვი კვების, ტემპერატუ-
რისა და ტენიანობის პირობების მიხედვით სხვადასხვანაი-
რია. ოპტიმალურ პირობებში იგი ხშირად 400 ცალ კვერცხს
დებს, არა ხელსაყრელ პირობებში კი 40—50 ცალს. მო-
ზამთრე ფილოქსერის კვერცხებიდან მატლების გამოჩეკით
მთავრდება პირველი თაობა და იწყება მეორე თაობა.

ემბრიონული განვითარება, ე. ი. კვერცხიდან მატლის გა-
მოჩეკის ხანგრძლიობა ყოველთვის ერთნაირი არ არის. ოპ-
ტიმალურ პირობებში იგი სწრაფად მიმდინარეობს და ხში-
რად $1\frac{1}{2}$ დღეშიაც კი მთავრდება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ ტემპერატურა ასატან
საზღვრებს გადასცილდა, კვერცხი იღუპება.

კარგად ვითარდება კვერცხში ჩანასახი და იჩქება მატლი,
როდესაც კვერცხი ძლიერ მაღალი ტენიანობის გარემოშია
მოთავსებული, მაგრამ იმავე კვერცხში ჩანასახი. ადვილად
იღუპება ჰაერის ტენიანობის სიმცირის დროს.

ფილოქსერის შემდეგი თაობანიც იმავე წესით ვითარდება. ფილოქსერა წელიწადში, რაიონისა და წლის მიხედვით, იძ-
ლევა 4—8 თაობას. ჩევნში, მაგ., იგი 7—8 თაობას იძლევა
ერთი ვეგეტაციის განმავლობაში. ცხადია, ყველა თაობის
განვითარება ერთნაირი დროის განმავლობაში არ ხდება.
განვითარების ხანგრძლიობა ჩვეულებრივად მერყეობს 13—33
დღეს შორის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ამისათვის
ბევრად მეტი დროა საჭირო.

ისე, როგორც ფოთლის ფილოქსერისაგან წარმოშობილი
ფესვის ფილოქსერა, იგიც შეა ზაფხულში (იელისის 1-ლი

დეკადიდან) წარმოშობს ნიმუშებს, რომელთაგან შემოქმედება ფრთიანი ფორმები ეითარდება. ნიმუშების რიცხვი ამ ტრანსლატორადან იზრდება და სექტემბერში აღწევს მაქსიმუმს. ამის შემდეგ იგი ისევ იწყებს შემცირებას.

ფილოქსერა საკმაოდ სწრაფად ვრცელდება ვენახიდან ვენახში და რაიონიდან რაიონში. გასავრცელებლად მას მრავალი საშუალება აქვს. შეუძლია გავრცელდეს როგორც ნიადაგში ფესვიდან ფესვზე გადასვლით, ისე ნიადაგის ზედაპირზე მოძრაობით. გავრცელებას ძალიან უწყობს ხელს ქარი, ნიალურები და ვენახის რწყვა. ვენახიდან ვენახში ვრცელდება ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების, ადამიანის ტანისამოსისა და ფეხსაცმლის საშუალებითაც. განსაკუთრებით ძლიერ ვრცელდება ფილოქსერა ამერიკული ვაზის სადედებიდან. ფოთლებიდან ფილოქსერას იტაცებს ქარი ან წყალი და გადააქვს ვენახიდან ვენახში, ზოგჯერ კი რაიონიდან რაიონშიაც.

ასევე ძლიერ ვრცელდება ფილოქსერა შუა ზაფხულში, როდესაც ფესვის ფილოქსერებს შორის ნიადაგში მრავლად ჩნდებიან, ე. წ. მოხეტიალე ფილოქსერები, რომლებიც ამოდიან ნიადაგიდან და დაცოცავენ როგორც ნიადაგის ზედაპირზე, ისე ვაზებზე. ამ დროს თუ ნიადაგი უხეად ირწყვება ანდა ნიალვარი მოვარდა, წყალი ნიადაგის ზედაპირზე მყოფ ფილოქსერებს აატივრივებს და იხალ იდგილის გადაიტანს. ვაზებზე მყოფი ფილოქსერა კი ქარს გადააქვს. .

რაც შეეხება ფილოქსერის გავრცელების რაიონიდან რაიონში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ამას ხელს უწყობს ფილოქსერით დაავალებული დაფესვიანებული ვაზების გადატან-გადმოტანა.

ბრძოლის ღონისძიებანი. ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლა ოთხი მეთოდით ხდება. ეს მეთოდებია: 1. ქიმიური, 2. აგროტექნიკური, 3. ფიზიკურ-მექანიკური და 4. წინასწარ გამაფრთხილებელი ანუ ქარანტინი.

1. ქიმიური მეთოდი. ეს მეთოდი გამოიხატება ფილოქსერის წინააღმდეგ რაღიალურ ღონისძიებათა ჩატარებასა და ვაზის წამლობაში. პირველ მათგანს იყენებენ იმ ქვეყნებში ან

რაიონებში, საღაც საერთოდ ფილოქსერა არ არის გავრცელებული, მაგრამ შემთხვევით მოხვდა ერთ ან რამდენიმე უჯვანახში. ასეთ ვენახში და ვენახის გარშემო აწარმოშეტენია მასკვამ დაგის დეზინსექციის გოგირდნახშირბადის დიდი რაოდენობით. დეზინსექციის შემდეგნაირად აწარმოებენ: პირველად ნიადაგში ყვაველ კვადრატულ მეტრზე შეაქვთ 400 გრამი გოგირდნახშირბადი 9 ადგილას 15 სმ-ის სილრმეზე, შემდეგ კი ნიადაგის ზედაპირზე ასხამენ ნავთს. ნავთს იმიტომ ასხაშენ, რომ ფილოქსერა მოსპონ ნიადაგის ზედაფენებში, რაღან აქ გოგირდნახშირბადი ვერ მოქმედებს. დეზინსექციის შედეგად ისპობა ფილოქსერის უმეტესი ნაწილი და ვაზი ხმება. ამის შემდეგ ვაზებს ჩეხენ და წვავენ. შემდეგ ამავე წესით ერთხელ კიდევ იმეორებენ ნიადაგის დეზინსექციის, რათა საბოლოოდ მოსპონ ნიადაგში ჩარჩენილი ცოცხალი ფილოქსერები. ვინაიდან ამ ნაკვეთში შეიძლება კიდევ გადარჩეს ცოცხალი ფილოქსერა, ამიტომ უკრძალავენ იქ 6 წლის განმავლობაში ვენახის გაშენებას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთწლოვანი კულტურების სათვალი.

ეს ლონისძიება საქართველოს სინამდვილეში არ ტარდება, რადგან ფილოქსერა ყველგანაა გავრცელებული.

თუ კი ვენახში ვაზის ფესვები ძლიერ არ არის დაზიანებული ფილოქსერით და ნიადაგის პირობებიც ხელს უწყობს, შეიძლება ფილოქსერასთან ბრძოლის მეორე ლონისძიების გამოყენება, ე. წ. ვაზის წამლობა. წამლობა ტარდება იმავე გოგირდნახშირბადით, რომელსაც თითოეულ კვადრატულ მეტრზე იღებენ 30—40 გრამის რაოდენობით. გოგირდნახშირბადი ყვაველ კვ. მეტრზე 4—5 ადგილას შეაქვთ 12—15 სმ-ის სილრმეზე. ასეთი დეზინსექციის დროს ფილოქსერის რაოდენობა მცირდება, მცირდება მისი ვაზისადმი საზიანო მოქმედებაც. დეზინსექციის ჩასატარებლად საუკეთესო დროა შემოდგომა, მოსავლის აღების შემდეგ, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა და მისი ტენიანობა სასურველ პირობებს ქმნის წამლობისათვის.

დეზინსექციის ჩატარება შეიძლება ვაზაფხულზედაც, თუ ხშირი წვიმების გამო ნიადაგი ძლიერ სკელი არ არის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ წამლობის დროს ნიადაგის ტემპერატურა არ უნდა იყოს 13° -ზე დაბა-

ლ. ნიადაგის სადეზინსექციოდ ტექნიკურ გოგირდნახშირ-
ბადს იყენებენ. შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებულით აუ-
პოლიქლორიდებიც.

ა ბრძოლის აგრძოთექნიკური მეთოდი. ეს მეთოდი შემ-
დეგ ღონისძიებებს შეიცავს: 1. ამერიკული ვაზის რქების
საძირებად გამოყენებას, ე. ი. ნამყენი ვაზებით ვენახების
გაშენებას, 2. სილა-ნიადაგების გამოყენებას და 3. სადედებ-
ში შემოდგომით, ზამთარში ან აღრე გაზაფხულზე ვაზების •
მიწით დაფარვას.

ამერიკული ვაზის რქების საძირებად გამო-
ყენება. ყველა ჯიშის ვაზს ერთნაირად არ აზიანებს ფილოქ-
სერა. ასე, მაგ., ფოთლის ფილოქსერა იშვიათად და ისიც
ძლიერ სუსტად აზიანებს ევროპულსა და აზიურ ჯიშებს. სა-
მაგიეროდ ძლიერ აზიანებს ამერიკული ჯიშების უმეტესობას.

ქართულ ჯიშებში, როგორც აღვნიშნეთ, მთელი ზაფხუ-
ლის პერიოდში დაზიანება (გალები) გვხვდება ცოლიკაურისა
და ბუერას ჯიშებზე. ამ დაზიანებას უშუალოდ ფოთლებზე
უარყოფითად მოქმედების მხრივ თითქმის არაეითარი მნიშ-
ვნელობა არა აქვს. მისი უარყოფითი მხარე უფრო იმაში
გამოიხატება, რომ შემდეგ გალებში მყოფი ფილოქსერა ფეს-
ვებზე გადადის და იქ აწარმოებს დაზიანებას. ამერიკული
ვაზის ჯიშებიც სხვადასხვაგვარი გამძლეობის უნარს იჩენს
ფოთლის ფილოქსერიისადმი. ასე, მაგ., ბერლანდიერი X რი-
პარია 420 ა. 420 ბ და 420 ც, ჩვენში გავრცელებულ სხვა
ჯიშებთან შედარებით, ძლიერ გამძლენია, სამაგიეროდ მეტად
ზიანდება რიპარია X რუპესტრის .101¹⁴, 3309, 3306 და
რუპესტრის დულო.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობა არის ფეს-
ვის ფილოქსერის მხრივ. უკანასკნელი ძლიერ აზიანებს ევ-
როპულ და აზიურ ჯიშთა ფესვებს, და საერთოდ, შეუდარებ-
ლად მცირედ - ამერიკული ვაზის ჯიშებს, თუმცა მათ შო-
რისაც არის გამძლეობის მხრივ გარკვეული განსხვავება.

ფესვის ფილოქსერიისადმი გამძლეობის საკითხებზე პირვე-
ლად რავაზი და ვიალა მუშაობდნენ. ქოთნის კულტურებზე
ცდების შედეგად მათ შეაღინეს გამძლეობის 20-ბალიანი
სკალა. უკანასკნელის მიხედვით 20 ბალი მიაკუთვნეს ფესვის

აბსოლუტურად გამძლე ჯიშებს, 0-დან 1-მდე კი—ყველა არა-
გამძლე ჯიშს.

შემდევში ამ ჯიშების უფრო ფართოდ და ზესტრუქტურულად
ნებრივ პირობებში) შესწავლის დროს გამოიჩინა, რომ ისინი
გადახრებს იძლევიან სკალიდან. ამასთან გამოიჩინა ისიც, რომ
პრაქტიკულად საძირებად გამოსაღევია მხოლოდ რიპარია,
რუპესტრის და ბერლანდიერის სახეობანი და მათი პიბრიდე-
ბი. მაგრამ აქაც მთელველობაშია მისაღები ის გარემოება,
რომ ყველა საძირე ერთნაირ მოთხოვნებს არ აყენებს ნია-
დაგის მიმართ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა მათი
შეგუების სხვადასხვა უნარიანობა კირის მიმართ. სხვებთან
შედარებით კირს უკეთესად იტანს ბერლანდიერი X რიპარია
420 ა, 420 ბ, 420 ც, შასლა X ბერლანდიერი 41 ბ და
ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ.

ამერიკული ვაზის ფესვის ფილოქსერისაღმი და ევროპული
ვაზების ფოთლის ფილოქსერისაღმი გამძლეობის თვისებებს.
დიდი ხანია ფართოდ იყენებენ საერთოდ ფილოქსერით მოდე-
ბულ ქვეყნებში და კერძოდ ჩვენში. ამ მიზნით ევროპული და
ამერიკული ვაზების რქებს იმგვარად ამყნიან, რომ საძირე იყოს
ამერიკული ვაზის და სანამყენო ევროპული ვაზის რქა. ამ
წესით იცავენ ვაზებს ფოთლისა და ფესვის ფილოქსერისა-
გან და იღებენ საესებით ნორმალური რაოდენობისა და
კარგი ლირსების მოსავალს.

საქართველოს პირობებში საძირებად ძირითადად გამო-
ყენებულია ხემდევი ჯიშები:

რიპარია X რუპესტრის 101^{1/4}, 3309, ბერლანდიერი X რი-
პარია 40 ა, ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ და შასლა X
ბერლანდიერი 41 ბ.

სილიანი ნიადაგების გამოყენება. ფილოქსე-
რისაგან ვენახების დასაცავად იყენებენ სილიან ნიადაგებ-
საც. მაგრამ ყველა სილნარი არ არის გამოსაღევი ვაზის გა-
საშენებლად თავის ფესვებზე. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ
რამდენად მცირე რაოდენობითაა ამ ნიადაგში თიხა. და რამ-
დეხად წვრილია ქვარცის ქვიშა. ქვარცის ქვიშა მიწაში არ უნდა
მოიპოვებოდეს 65%-ზე ნაკლები. ნიადაგი უნდა შედგებოდეს
ქვიშის ძლიერ წვრილი ნაწილაკებისაგან, რომელთა დიამეტრი
იმდენად მცირე უნდა იყოს, რომ მათ შორის ფილოქსერამ
ვერ იმოძრაოს; ნიადაგი მცირე რაოდენობით უნდა შეიცავდეს
თიხას და ასეთი ნიადაგის სისქე არ უნდა იყოს 1 მ-ზე ნაკლები.

ამ ნიადაგების დადებითი თვისებები იმაში გამოიხატება, რომ
აქ ფილოქსერა ვერ ახერხებს მოძრაობას; ეს კი საჭიროა რაღაც
რაღაც ერთ ადგილზე ყოფნის დროს ის ფესვს იმდენად იყოფა
აზიანებს, რომ მის საკუებად უკვი აღარ ვარგა და აუცილე-
ბელია ადგილის გამოცვლა ფესვზე,—მის სალ ნაწილზე გა-
დასვლა. მაგრამ რაღაც სილაში ფილოქსერა ვერ ახერხებს
ახალ ადგილებზე გადასვლას, იგი შიშილით იღუპება. ამას
გარდა, ფილოქსერის მიმართ ნიადაგის იმუნობაზე გავლენას
ახდენს ნიადაგის ტენიანობა. ნიადაგი გამძლეა, თუ მისი
ტენტევადობა $35^{\circ}/_0$ -ზე მეტი არ არის. სამწუხაროდ ასეთი
სილიანი ნიადაგები საჭართველოში არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება მესამე აგროტექნიკურ ღრინისძიებას, ე. ი. შე-
მოდგომით, ზამთარში ან ადრე გაზიაფხულზე, კვირტების გა-
მოლვიძებამდე, ვაზების მიწით დაფარებას, იგი ტარდება ამერი-
კული ვაზის სადედებში და მიზნად ისახავს ვაზის ფოთლის
ფილოქსერისაგან დაცვას. მიწა უნდა დაეყაროს 12—15 სან-
ტიმეტრის სიმაღლეზე ვაზის თავიდან. ასეთ პირობებში ვაზის
ვეგატაცია გვიანდება. ნორმალურ ვადებში გამოჩეული ფი-
ლოქსერა კი უსაკვებობის (ფოთლები არ არის) გამო იღუ-
პება.



სურ. 11. სადედებში ფოთლის ფილოქსერასთან ბრძოლა ვაზებზე მიწის
დაყრით: 1. მიწის კოკოლა ვაზის თავზე; 2. კარგად და 3. ცუდად გაკეთე-
ბული კოკოლა; 4. კოკოლის ქვეშ ყლორტების განვითარება (ორიგ.).

3. ფიზიკურ-მექანიკური მეთოდი ითვალისწინების ნებს თრ ლონისძიებას: 1. ფილოქსერიან ვენახებშეკრისტალურ დატბორებას და 2. ამერიკულ ვაზთა სადედეში გეპლეტჩენტების ფოთლების მოქრეფას და დაწვეს.

პირველის მიზანია ფილოქსერა მოაქციოს უპაერო გარემოში, რომელშიაც ის მოიგუდება. ვინაოდან წყლის გარემოში ფილოქსერა იღუპება, კვერცხები კი არა, საჭიროა წყალი იმდენას იყოს დატბორებული ვენახში, რომ კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლებიც გაიგუდოს. ამისათვის საჭიროა 30—40 დღე.

წყლის დატბორება შემოღომით ხდება, რთეულის დამთავრებისთანავე. ამ ლონისძიების ჩასატარებლად საჭიროა, რომ ვენახი ვაკე ადგილას იყოს გაშენებული, წყალი უხვად მოიპოვებოდეს, ვენახის ქვენიადაგი წყალმეონი იყოს, შემოღომა კი თბილი და ხანგრძლივი, და დაგუბების შემდეგ წყლის დაწრეტა დაუბრკოლებლად ხდებოდეს.


რაც შეეხება მეორე ლონისძიებას, იგი ტარდება გაზაფხულზე. გალებიანი (პარკუტებიანი) ფოთლების მოქრეფა და დაწვა უნდა ჩატარდეს მანამდე, სანამ მოზამთრე კვერცხებიდან გამოჩეკილი ფილოქსერები კვერცხების დებას დაიწყებდნენ.

4. შინახწარ გამაფრთხილებელი ანუ კარანტინის მეთოდი. როგორც აღნიშნული გვქონდა, ფილოქსერა ერთი ქვეყნიდან მეორეში და ხშირად რაიონიდან რაიონში საძირე და სანერგე მასალის საშუალებით ვრცელდება. ამის გამო საჭიროა სათანადო საკარანტინო ლონისძიებათა გამოყენება. კარანტინი ორგვარია: შინაგანი და გარევანი. გარევანი კარანტინის დანიშნულებაა. არ მისცეს ნება დაავადებული სანერგე მასალის შემოტანისა სხვა ქვეყნებიდან; შინაგანი კარანტინი კი უკრძალავს ვაზებისა და მისი რეების (ამერიკული ჯიშის იქნება ის თუ ადგილობრივი) გადატანას ფილოქსერით დაავადებული რაიონიდან მისგან თავისუფალ რაიონში.

ამიერკავკასიის მარმარილოს ლრაჭა

დაზიანება. ლრაჭას მატლები აზიანებს ვაზის შტამპის ნიადაგში მდებარე ნაწილს, მის ძველსა და ნაწილობრივ ნორჩი ფესვებს და იგრეთვე ჭიგოებს. მატლი ლრღნის მათ. ვაზის 24


 უტამბის ლრონას ლრაჭა იშვებს ქვემოდან და მიყვება
 ზემოთ ნიადაგის ზედაპირისაკენ. ამის შემდეგ ვაზი ან მოკლები ულვა-
 ნად იღუპება, ანდა ხშირად იმდენად სუსტდება, რომ მისი
 ვენახში გაჩერება იღარ ლირს. ვაზს ლრაჭა უფრო მეტად
 აზიანებს სანერგეში და ახალგაშენებულ ვენახებში, სადაც
 ვაზის ლეროს დიამეტრი მცირება.



სურ. 12. ამიერკავკასიის მარმარილოს ლრაჭას მატლი
და მისგან დაზიანებული ვაზი.

ალწერა. ხოჭო სიგრძით 33 მმ-მდე ილწევ'. იქვს მარაოსებ-
 რი ულვაშები. დედალ ხოჭოს ბევრად უფრო მოკლე ულვა-
 შები იქვს, ვიდრე მამალს. ხოჭო ძირითადად შვია, თეთრი
 მარმარილოსებრი ლაქებით წინა ფრთებზე. ლაქები შედგება
 თეთრი ქერცლებისაგან. ლაქებს შორის ერთეული ქერცლე-
 ბია თანაბრად მოფანტული.

ახალგამოჩეუილი მატლის სიგრძე 12—13 მ-ია, ზრდის დას-
რულების შემდეგ კი მისი ზომა 8 სმ-ს აღწევს. უმცირ ფას-
მხოლოდ სამი წყვილი მკერდის ფეხი. იგი მოყვითალოა და
რკალივით მოღუნული. კუპრი დიდია და ყვითელი.



სურ. 13. ამიერკავკასიის მარმარილოს ლრაჭას მამალი (1) და
დედალი (2) ხოჭო.


ხოჭოს კვერცხი პირველად თეთრია, შემდეგ ბაცი ყავის-
ფერი. იგი სიგრძით 3,5—4,5 მმ-ია, სიგანით 2,7—3 მმ.
ჩანასახის განვითარებასთან დაკავშირებით, მისი მოცულობა
თანდათან მატულობს და სიგრძით აღწევს 6—7 მმ-ს, ხოლო
სიგანით 4,5—5 მმ-ს.

გავრცელება. მარმარილოს ლრაჭა ფართოდ არის გავრცე-
ლებული როკორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართვე-
ლოში. ვაზის ეს მავნებელი უფრო დიდი რაოდენობით
გვხვდება კახეთსა (თელავის, გურჯაანისა და სიღნაღმის რაიო-
ნებში) და ქართლში (გარდაბანისა და გორის რაიონებ-
ში). დასავლეთ საქართველოში კი მარმარილოს ლრაჭას
მასობრივად გავრცელება აღნიშნულია ქუთაისის და ზესტა-

ფონის და ბათუმის რაიონებში. გვხვდება აგრეთვე ქობულე-

თიდან ანაპამლე.

საქართველო
გიგანტები



სურ. 14. ამიერკავკასიის მარმარილოს ღრაპას კვერცხები (ორიგ.).

ყოფა-ცხოვრება. ხოჭოები ივნისის უკანასკნელი რიცხვებიდან წნდებიან. მათი გამოჩენა გრძელდება აგვისტოს შუა რიცხვებამდე. მასობრივად ივლისში ფრენენ. ხოჭო დღისით არ ფრენს. იგი ფრენს მხოლოდ საღამოთი მზის ჩასვლის შემდეგ ღამით ხოჭოები საესებით წყვიტენ ფრენას. ხოჭოები სრულიად არ ფრენენ თუ გარემოს ჰაერის ტემპერატურა 13° ან უფრო ნაკლებია. ისინი ფრენენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰაერის სითბო $13,2^{\circ}$ -ზე მეტია. ფრენის ხანგრძლიობა არ არის დიდი. იგი 15—45 წუთს უდრის. როგორც დაკვირვებიდან ირკვევა, ეს ხოჭო შორეულ მანძილზე გადაფრენის უნარს მოკლებულია. იგი ჩვეულებრივ 1—20 მეტრის მანძილზე ფრენს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწევს 500 მეტრამდე. უფრო მეტ მანძილზე ფრენს მამალი ხოჭო. ხოჭოების სუსტი ფრენით აიძსნება უმთავრესად მათი გავრცელების არეალის შეზღუდულობა. ნიადაგიდან ამოფრენილი ხოჭო იქვე ჯდება საღმე, მაგ., ვაზზე, ხეხილზე, ბუჩქზე, სარეველა ან კულტურულ ერთწლიან მცენარეებზე და უცდის მამალს. მამალი კი,

როგორც ალვინიშვილი, უფრო შორეული მანძილიდან მოფრინავს დედლისაკენ. უკანასკნელი იზიდავს მას. დედალს 700-შეტყოფულ მანძილიდან შეუძლია მიიშიდოს მამალი. იკვებება როგორც შეუძლებამდე, ისე შეუღლების შემდეგაც. მისი საკვების კვიპაროსის წიწვი და ვაზის ფოთლები. უპირატესობას აძლევს კვიპაროსს. საერთოდ ბევრ საკვებს არ იღებს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დედლის კვერცხის დებისათვის. ზოგი ხოჭო ხშირად სრულიად არ იკვებება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაკვებ დედალზე ნაკლებ კურცხებს როდი სდებს. საღამოთი საამისოდ შემზადებული ხოჭო ულლდება. დედალი მთელ ღამეს გარეთ რჩება მცენარეზე, და მხოლოდ დილით ჩადის ნიადაგში. რაც შეეხება მამალს, იგი ნიადაგიდან ამოს-კლის შემდეგ როგორც ღამით, ისე დღისით, ნიადაგის ზე-მოთ იმყოფება მცენარეზე.

განაყოფიერებიდან 4—6 დღის შემდეგ დედალი იწყებს კვერცხის დებას. კვერცხებს ათავსებს ნიადაგში 5 სმ-იდან 35 სმ-ის სილრმემდე, ჩევულებრივ კი 20—25 სმ-ის სილრმეზე. კვერცხის დების სილრმე დამოკიდებულია ნიადაგზე. საღაც აერაცია კარგია და სილრმეზე ხოჭოს ჩასვლა იდვილი, იგი კვერცხებს ღრმად დებს. ღრმად დებს ხოჭო კვერცხებს მაშინაც, როდესაც ნიადაგის ზედაფენა გამოგვალულია. ხოჭო დებს მაქსიმალურად 41 კვერცხს. კვერცხის დება გაჭიანურებულია და გრძელდება 10—12 დღეს. კვერცხები მიწის პატარა ბულევებშია მოთავსებული. ისინი 1—3 სმ-ის დაშორებით აწყვია ერთმანეთისაგან.

კვერცხებიდან მატლების გამოჩეკა მთლიანად დამოკიდებულია გარეშოს ტემპერატურასა და ტენიანობაზე. ასე, მაგ., როდესაც კვერცხები სავმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო მოთავსებული 15° პირობებში, შემდეგ კი მოხვდა $22-27^{\circ}$ სითბოში, მათგან მატლები 37 დღეში გამოიჩეკა, $22-29^{\circ}$ პირობებში კი $17-21$ დღეში.

კვერცხიდან ახალ გამოჩეკილი (ბუნებაში გამოჩეკ ა ხ თება 18—21 დღეში) მატლი იწყებს კუბას. მატლი იკვებება როგორც შეცნარის დამპალი ნაწილებით, ისე ვაზის რქის კანით, მერქნით და წვრილი ფესვებით. ამ მატლის მიერ მიყენებულ ზიანს არა აქვს დიდი უარყოფითი მნიშვნელობა. მატლის მოქმედება საზიანოა იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით

შეიძლება მცენარეში შეტანილ იქნეს რაიმე ავადმყოფობის
(ბაქტრიული ან სოკოვანი) ინფექცია.

ასე იკვებებიან მატლები მანამდე, სანამ ნიადაგის ტემპერატურა
რატურა საგრძნობლად არ შემცირდება. ეს კი ჩვეულებრივ
ხდება ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბერში, როდესაც 20 სმ-ის
სილრმეზე ნიადაგში ტემპერატურა $10-12^{\circ}$ -ზე დაბლა დაი-
წევს. ამ დროს მატლი ანებებს თავს ნიადაგის ზედაფენას და
ჩადის ნიადაგში $25-30$ სმ-ის სილრმეზე, ხშირად კი უფრო
ლრმადაც. ასეთ სილრმეზე იმყოფება მატლი მთელ ზამთარს
და გაზაფხულის იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ საკმაოდ
ცივა. ნიადაგში ტემპერატურის აწევასთან დაკავშირებით,
გაზაფხულზე (აპრილში) მატლი ნიადაგის ლრმა ფენებიდან
ისევ ზედაფენაში ამოდის. ეს მოხდება მაშინ, როდესაც 20
სანტიმეტრის სილრმეზე ნიადაგის ტემპერატურა $10-12^{\circ}$ -ზე
ზევით აიწევს.

ასეთსავე დამოკიდებულებაში არიან მატლები ტემპერატუ-
რისადმი კვების მხრივ. ისინი იწყებენ კვებას, როდესაც ნია-
დაგში ტემპერატურა 11° -ია. განსაკუთრებით კარგად იკვებ-
ბიან $15-18^{\circ}$ ზე.

ბუნებრივ პირობებში, ჩვეულებრივ, მატლების პირველი
კანის ცვლა იწყება ივნისის პირველ რიცხვებში და მთავრ-
დება აგვისტოს ბოლოს. ამ უკანასკნელ თვეში კანს მატლე-
ბის მცირე რაოდენობა იცვლის. კანის ცვლა უფრო მასობ-
რივად ივნისშია შენიშნული.

მატლი ვაზს სერიოზულად აზიანებს პირველი კანის ცვლის
შემდეგ, ე.ი. მეორე და მესამე ასაკში ყოფნის დროს. ამ დროს
იგი აზიანებს მცენარის სხვადასხვა ნაწილს და კიგოებს. მეორე
ასაკის მატლი კანს იცვლის მეორე წლის ივლისში. ამგვარად,
პირველი კანის ცვლიდან მეორე კანის ცვლამდე 12 თვეა.
მესამე კანის ცვლა ხდება მაისში. მაშასადამე, მესამე ასაკის
ხანგრძლიობა 11 თვეს უდრის. როგორც წესი, მატლების
სტადია 3 წელიწადს გრძელდება. ამ წესს მატლების საკმაოდ
დიდი პროცენტი არღვევს და ამ სტადიის გავლას $4-5$ წე-
ლიწადს ანდომებს. გამონაკლისს შეადგენენ პირველი ასაკის
მატლები, რომლებიც ზრდას ყოველთვის ერთ წელიწადში
ამთავრებენ, ზოგჯერ კი აღრეც. განვითარების გახანგრძლი-
ვება იწყება მეორე ასაკიდან, რომლის გასაცვლელად მატლე-

ბის 36 პროცენტს ორი წელიწადი სჭირდება. ასევე ვინაზე
წრებს ერთ წელიწადში ზრდის დამთავრებას მესამედურულში
მყოფი მატლების 60 პროცენტი. განვითარების მატლები ვინაზე
ორი წელიწადი სჭირდებათ.

გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში მატ-
ლები ნიადაგში ყოველთვის ერთ სიღრმეშე არ იმყოფებიან.
მათი სიღრმეში გადანაცვლება ხდება როგორც ტემპერატუ-
რასთან, ისე ნიადაგის ტენიანობასთან დაკავშირებით. გაზაფ-
ხულშე, მაგ., ატმოსფერული ნალექების სიხშირის გამო,
მატლები ნიადაგის ზედაფენებში თავსდებიან, ზაფხულში კი
ლრმად მიღიან ნიადაგში და ზედაფენებში ბრუნდებიან მხო-
ლოდ შემოდგომის დისაწყისში, როდესაც აქ წვიმების გამო
ტენიანობა იზრდება.

ზრდის დასრულების შემდეგ მატლები იმავე ნიადაგში
იჭუპრებენ, სადაც ვითარდებოდნენ. მათი დაჭუპრების პე-
რიოდი საემაოდ ხანგრძლივია. იგი იწყება იქნისის პირველი
რიცხვებიდან და გრძელდება აგვისტოს შუა რიცხვებამდე.
მასობრივი დაჭუპრება ხდება ივნისში. დაჭუპრებაც სხვადა-
სხვა სიღრმეშე ხდება ნიადაგის სტრუქტურისა და ტენიანობის
მიხედვით. გამოგვალულ ნიადაგებში ჭუპრები უფრო ლრმა
ფენებში არიან მოთავსებული. ლრმად არიან მოთავსებული
აგრეთვე ფხვიერ ნიადაგებში; საერთოდ კი, ეს სიღრმე 6—
40 სანტიმეტრს შორის მერყეობს. დაჭუპრების წინ მატლი
მიწისაგან იკეთებს ბუდეს. ბუდეებს ვხვდებით როგორც
ქვეთიხნარ და ლამიან, ისე ქვექვიშნარ ნიადაგებში.

ზრდოლის ლონისძიებანი. ამიერკავკასიის მარმარილოს
ლრაქასთან ბრძოლის ერთ-ერთ ლონისძიებას წარმოადგენს
პლანტაციის დროს ნიადაგში შემჩნეული მატლებისა და ჭუპ-
რების ამოკრეფა და დახოცვა. მატლებისა და ჭუპრების ხე-
ლით მოგროვება და მათი მოსპობა ხდება გაშენებულ ვენა-
ხებშიაც. ეს ლონისძიება უნდა ჩატარდეს ნიადაგის ყოველ-
გვარი დამუშავების (ხენის, ბარვის, თოხნის, კულტივაციის
და სხვ.) დროს.

ამ ლონისძიების ჩატარება დიდ ეფექტს იძლევა აპრილ-
მაისში (ზოგჯერ მარტის მეორე ნახევარში, თუ სითბო ადრე
დაიჭირა) და სექტემბერ-ოქტომბერში, რაღვან მატლები აშ
დროს ნიადაგის ზედაფენებში არიან მოთავსებული.

თოხნის, ბარეისა და კულტივაციის დროს მატლებისა და კუპრების ერთ წელიწადს შეეროვება და მოსპობა კუპრების კბარი. იგი სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ყოველი კალათა და მატლების კბარი.

ლრაჭას მატლების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ქიმიური შხამებითაც, მაგრამ ეს უკანასკნელი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სანერგედ გათვალისწინებულ ნაკვეთებში. აქ შეიძლება შხამის დიდი რაოდენობით გამოყენება ფართობის ერთეულზე, რადგან ამ შემთხვევაში ვაზის დაწვის საშიშროება არ არსებობს.

ქიმიური შხამებიდან კვადრატულ მეტრზე იღებენ 150 გრამ გოგირდნახშირბადს ან 40 გრამ ქლორპიკრინს. როგორც ერთი, ისე მეორე ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე ვაზების დარგვამდე 10 დღით ადრე მაინც, ან შემოდგომით სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა 12°-ზე ნაკლები არ იქნება. შხამის შეტანის საჭირო სიღრმედ ითვლება 12—15 სმ. ქლორპიკრინი ნიადაგში ინკიქტორით შეაქვთ.

ტკაცუნები ანუ მავთულა ჭიები

ტკაცუნები იდან საქართველოს მეცნახეობის რაიონებში, როგორც ვაზის მავნებლები, ჯერჯერობით მხოლოდ ტრამალის და ნათესების ტკაცუნები არიან აღნიშნული.

დაზიანება. აღნიშნული ორი სახეობა მატლის სტადიაზი ყოფნისას, მრავალი კულტურული და სარეველა მცნარის გარდა, აზიანებს ვაზის კვირტებსა და ახალგამოტანილ ყლორტებს სანერგეში და ახალგაშენებულ კენახებში, სადაც ვაზები ჯერ კიდევ მიწის კოკოლების ქვეშ არიან მოთავსებული.


სანამ ყლორტები განვითარდებოდეს ნიადაგში, მატლები იკვებებიან კვირტებით, რომლებსაც ხშირად მთლიანად გამოსკამენ ხოლმე. ასეთ პირობებში კვირტებიდან ყლორტები ველაზ ვითარდება. ყლორტების წარმოშობის შემდეგ მატლები იწყებენ მათ დაზიანებას. ახალგაზრდა მატლები ამ დროს შედიან ყლორტში და მის შიგნეულს სკამენ, მსხვილი

მატლები კი. თუ შიგ ვერ ეტევიან, გარედან ლრონიან მას.
როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ძლიერ დაჭრილებულ
ყლორტი იღუპება. დაზიანებული ყლორტის მაგიურა აუქაშა ნამყენი ახალ ყლორტს ივითარებს, მაგრამ ისიც ხშირად
მატლის მსხვერპლი ხდება. ასე მეორდება რამდენჯერმე.
ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვაზს დაზიანებულის მაგიურ
მძინარე კვირტებიდან 5-ჯერ გამოუტანია ახალი ყლორტი
და ხუთივე დაღუპულია.

უკანასკნელი ყლორტი კიდეც რომ
გადაურჩეს მატლებს, იგი მეტწილად
იმდენად სუსტი გამოდის, რომ ვენახის
გასაშენებლად ასეთი ვაზის გამოყენება
არ შეიძლება. ამასთან, დაზიანებათა
შედეგად, ყლორტი ხშირად მრუდე გა-
მოდის, რაც ვაზის ნაკლად უნდა ჩაით-
ვალოს.



სურ. 15. ტრამალის ტკა-
ცუნას მატლებისაგან და-
ზიანებული ყლორტები
(ორიგ.).



სურ. 16. ტრამალის ტკაცუნას ხოჭო
(ორიგ.).

აღწერა. ტრამალის ტკა-
ცუნას ხოჭო სიგრძით 8—13
მმ-ია, მუქი წაბლისფერი.
ზურგის ბეწვები ყოველთვის
უკან აქვს მიმართული,
გარდა ფუძისა, სადაც
ბეწვებს მრუდე მიმარ-
თულება აქვს. ზურგი სიგრ-

ძით უფრო მეტია, ვიდრე განით. ზურგი დაფარულია, ხშირი
წერტილებით; წერტილთშორისი მანძილი უფრო მცირებულია
ვიდრე თვით წერტილის დიამეტრი.

ხოკის ფარი სიგრძით 3-ჯერ მეტია | სიგანეზე. ზედა
ფრთებს აქვს წერტილოვანი ლარები, რომელთა შორის
არეები თანაბარი სიგანისაა.

ნათესის ტკაცუნას ხოჭო სიგრძით 6—8 მმ-ია,
მოშავო-მურა ან მურა-წითელია, მურა-ყვითელი ზურგის წინა
და უკანა ნაპირით, ულვაშებითა და ფეხებით. მისი ზურგის
სიგრძე შესამჩნევად მეტია სიგანეზე, || დაფარულია ბრტყვიალა
ხშირი წვრილი წერტილებით. მისი პიტარა ფარის სიგრძე
ოდნავ მცირეა სიგანეზე.

ტრამალის ტკაცუნას კვერცხი ოვალურია, სადა,
თეთრი, დაახლოებით 0,6—0,7 მმ სიგრძის.

ამ ტკაცუნას მატლი სიგრძით 30
მმ-მდე აღწევს. იგი სხვ იდასხვანარეადაა
შეფერილი—ლია მურა ფერიდან წაბ-
ლისფერადმდე. თავი ზემოდან ბრტყელი
აქვს. სამივე წყვილი ფეხი თანაბარი
სიღიღისაა. მუცელი ბოლოში მომ-
რგვალებულია. ამ ნაწილს ფუძეში
აქვს ოვალური, მსხვილი სასუნთქერის
ხერელი.

ნათესების ტკაცუნას მატლი ლია
ყვითელია, სიგრძით ზემოთ აღწერილზე
ბევრად მცირე.

ამ ორი სახეობიდან საქართველოში
გაზის სანერგებში უფრო მასობრივად
არის გავრცელებული ტრამალის ტკა-
ცუნა. თუ რამდენად მასობრივია იგი
ჩვენში, ეს ჩანს თელავის და ნაწილობრივ



გურჯაანის რაიონის გამოკვლევებიდან. გამოკვლეულ სოფლებში
(ნაფარეულში, სანიორეში, ართანაში, შალაურში, ზემო ხოდა-
შენში, კისისხევში, კონდოლში, წინანდალში, აკურასა და მუ-
კუზანში) გაზის არც ერთი სანერგე არ აღმოჩნდა მავნებლები-
საგან თავისუფალი. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მატ-
ლების რაოდენობასა და მათ მიერ მი ყენებულ დაზიანებაში
3. ვაზის მთავარი მავნებლები.

გამოიხატება. ასე, მაგ., შალაურის კოლმეურნეობის სანერგე-
ში ნამყენთა საშუალო დაზიანება 80—85 პროცენტის და, სანიორეში 70—76 პროცენტს; იყო მთელი რიგი სანერ-
გები, რომლებიც 15—20 პროცენტით ან კიდევ უფრო მცი-
რედ იყო დაზიანებული. ამგვარად, ზოგიერთი სანერგისათვის
ამ მავნებელს დიდი უარყოფითი ექონომიური მნიშვნელობა
აქვს.

რაც შეეხება მეორე სახეობას—ნათესების ტკაცუნას, იგი
სანერგებში შედარებით იშვიათად გვხვდება. ამის გამო მისი
უარყოფითი ექონომიური მნიშვნელობა ნაკლებია. მის მიერ
გამოწვეული დაზიანება ჯერჯერობით შენიშნულია მხოლოდ
კურდლელაურის სანერგეში.

ყოფა-ცხოვრება. ტრამალის ტკაცუნა ზამთრობს მხოლოდ
მატლის სტადიაში, ნათესების ტკაცუნა კი როგორც მატ-
ლის, ისე ხოჭოს სტადიაში. მატლები ამ დროს მოთავსებუ-
ლი არიან ნიადაგის ღრმა ფენებში 40—70 სმ-ის სიღრმეზე.
ნიადაგის ზედაპირთან, შედარებით, ახლო იმყოფება ნათესის
ტკაცუნას ხოჭო. მოზამთრეობიდან მათი გამოსვლის ვადა
დამოკიდებულია გაზაფხულის სითბოს პირობებზე. რაც უფ-
რო ადრე დათბება ბუნებაში, მით უფრო ადრე გამოდიან
ისინი მოზამთრეობიდან. 1936 წლის გაზაფხულზე მატლებისა
და ხოჭოების დიდი ნაწილი კახეთში 25 მარტს უკვე აქტიურ
მდგომარეობაში იყო, ე. ი. მოზამთრეობიდან გამოსული იყო
და ნიადაგის ზედაუენებში (2—5 სმ) გვხვდებოდა. მატლების
მოზამთრეობიდან გამოსვლა ხდება ნამყენი ვაზების სათბუ-
რიდან სანერგეში გადარგვამდე 10—15 დღით ადრე.

ეს მატლები პირეელად სხვადასხვა ბალახოვნი მცენარის
ნაჩენებით, ნეშომპალით, მათი ცოცხალი ფესვებითა და
ნიადაგში არსებული ლეროებით იკვებებიან, შემდეგ კი, რო-
დესაც ვაზები დაირგვება, მათ კვირტებსა და ახალ გამოტა-
ნილ ყლორტებს სჭამენ.

ნიადაგის ზედაუენებში მატლები მანამდე რჩებიან, სანამ
ნიადაგის ტენიანობა მათთვის ხელსაყრელია. შემდეგ, როდესაც
სიცხეები დაიწყება, ისინი ანებებენ ამ გამოვალულ ფენას
თავს და უფრო ღრმა ფენებში (30—40 სმ) გადადიან. სავა-
რაუდო ცდების მიხედვით მათთვის ოპტიმალურ ტენიანო-



ბად 26°-ის პირობებში ნიადაგის ტენიანობის სრული ტემპურა დობის 70%, უნდა ჩაითვალოს.

ზაფხულის პერიოდში ნიადაგის ზედაფენებში ტენიანობა, როგორც წესი, 70%-ზე ნაკლებია, რაც იწვევს მატ-ლების ღრმა ფენებში გადანაცვლებას. ეს წესი დროებით ირლვევა ავტორიან დღეებში, როდესაც ნიადაგის ზედაფენებში ტენიანობა იზრდება და ამის გამო მატლები უკან ბრუნდებიან.

ამგვარად, ტენიანობა მატლებისათვის საჭირო რაოდენობით ნიადაგის ზედაფენებში გაზაფხულზე და შემოდგომით არის მოცემული. მაგრამ მატლები ამ ფენაში შემოდგომითაც არ იმყოფებიან დიდ ხანს. ამის მიზეზია ის, რომ ამ პერიოდში მათთვის საჭირო ტემპერატურა ეცემა, რაც კვლავ იწვევს მათ სილრმეში გადანაცვლებას.

ასე მიმდინარეობს ტრამალის ტკაცუნას მატლების ცხოვრება 3 წლის განმავლობაში, ნათესის ტკაცუნას მატლებისა კი—4 წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში ისინი კანს დაახლოებით 8-ჯერ იცვლიან. ზრდის დასრულების შემდეგ მატლები თავსდებიან სათანადო სილრმეზე (8—15 სმ-ზე) და იქ იქუპრებენ. ტრამალის ტკაცუნა იქუპრებს ივნისის მეორე ნახევარში, ნათესის ტკაცუნა კი იგვისტოში. კუპრის სტადიის ხანგრძლიობა სახეობის მიხედვით სხვადასხვანაირია და ნათესის ტკაცუნასათვის უდრის 7—9 დღეს, ტრამალის ტკაცუნასათვის კი—14 დღეს და მეტსაც.

კახეთში ტრამალის ტკაცუნას მასობრივი ფრენა ხდება იყლისში. ფრენენ საღამოს 5 საათიდან. ფრენა თანდათანობით ძლიერდება და 6 საათისათვის მას მასობრივი ხასიათი ეძლევა. 7 საათიდან ფრენა საგრძნობლად ნელდება და 9 საათსა და 30 წუთზე უკვე მფრინავი ხოჭო იშვიათი შესახვდრია. 7 საათიდან ხოჭოების დიდი რაოდენობა ზალაბის წევროს ფოთლებზე ზის. ბალახებზე ისინი კარგი ხანს რჩებიან, რის შემდეგ ნიადაგში გადადიან. დილით არ ფრენენ. ხოჭოები ძლიერ იშვიათად ფრენენ შუადლითაც.

ფრენის დროს აქტიურობას იჩენენ მამალი ხოჭოები. მამლები იმყოფებიან ნიადაგის ზემოთ, დეტლები კი გოროხებში, ბალახების ქვეშ და ნიადაგის ნაპრალებში არიან. მათი პოვნა

მამალი ხოჭოების საშუალებით ხდება. მამლები ჩვეულებით
ვად ფრენენ დაბლა—30 სანტიმეტრის სიმაღლეზე და მასთან
იშვიათად კი მეტრ-ნახევარზედაც აღდან. ფრენის დროს ისინი
ეძებენ დედალ ხოჭოს და როდესაც აგნებენ, ეშვებიან მას-
თან ძირს, ნიადაგის ზედაპირზე. ზოგჯერ თითო დედალთან
10-ზე მეტი მამალი ხოჭო იყრის თავს.

ტრამალის ტკაცუნას კვერცხების პროდუქციაზე მცირე
დაკვირვებები მოიპოვება. თანახმად ჩვენი დაკვირვებისა, რო-
მელიც ლაბორატორიულ პირობებშია ჩატარებული სამ დე-
დალ ხოჭოზე, ერთმა დასდო 170 კვერცხი, მეორემ 510, ხო-
ლო მესამემ—133. კვერცხებს ხოჭო სდებს ჯგუფურად,
ჯგუფში 3—12 ცალს, ჩვეულებრივ კი 4 ცალს.

ემბრიონული განვითარება იმ მავნებელს საკმაოდ ხან-
გრძლივი აქვს. იგი $26,2^{\circ}$ — $39,9^{\circ}$ ტემპერატურის პირობებში
უდრის 16—19 დღეს; ცხადია, გარემოს ტემპერატურასთან
დაკავშირებით ეს დრო შემოკლდება ან გახანგრძლივდება.

ტრამალის ტკაცუნას ახლად გამოჩეული მატლები სწრა-
ფად იზრდებიან და იცვლიან კანს. ასე, მაგ., 7—14 აგვისტოს
გამოჩეული მატლების მეტმა ნაწილმა 20 აგვისტოსათვის
ერთხელ მოასწრო კანის გამოცვლა, დანარჩენმა—ორჯერ.

ბრძოლის ღონისძიებანი. 1. სათბურში გამოყვანილი ნამ-
ყენის აუცილებლად სანერგეში მოთავსება, სანერგედ კი
შეძლებისამებრ მატლებისაგან თავისუფალი ნაკვეთის ამორ-
ჩევა. თუ კი მავნებლისაგან თავისუფალი ნაკვეთი არ მოი-
ძებნება, ვაზების დარგვამდე 2—3 კვირით აღრე უნდა ჩა-
ტარდეს მისი ღეზინსექცია ქლორპიკრინით. უკანასკნელი 1
კვადრატულ მეტრზე აღებული უნდა იქნეს 60 გ-ის რაოდე-
ნობით.

2. წლიური ნამყენი ვაზის მუდმივ აღგილზე დარგვა შე-
მოდგომით ან აღრე გაზაფხულზე.

3. სანერგეში გაზაფხულზე და ზაფხულში, გვალვების დაწ-
ყებამდე, მატლების ხელით შეგროვება და დახოცვა. პირვე-
ლად მატლები უნდა შეგროვდეს ნამყენის გრუნტში დარგ-
ვამდე, როდესაც მატლების ძირითადი მასა მოთავსებუ-
ლია ნიადაგის ზედაპირის ახლოს (1—3 სმ), შემდეგ კი ბა-
ზოებში.

4. მისატყუებელი მასალის მოთავსება ბაზოებში. მისატყუებელ მასალას ამზადებენ შემდეგნაირად: იღებენ 1 კილოგრამ ქართველი გრამ პარიზის მწვანას, 30 კილოგრამ ქართველი კარგად უკრებულ ერთმანეთში და ასველებენ წყლით.

5. სანერგეში ამერიკული ვაზის რქების და წლიური ნამუნის მულმივ ადგილზე დარგვის დროს, გაზაფხულზე მათი ლიად, მიწის დაუყრელად დატოვება. წლიური ნამუნის შემოდგომით დარგვის დროს კი, ზამთრის ყინვებისაგან დასაცავად, მათი დაფარვა მიწით, ხოლო გაზაფხულზე ისევ გახსნა. ეს ლონისძიება იცავს ვაზებს მავთულა ჭიებით დაზიანებისაგან.

მახრა ანუ ბოსტანა

დაზიანება. მახრა აზიანებს მთელ რიგ კულტურულ მცენარეებს და მათ შორის ვაზსაც. ვაზს აზიანებს სანერგეში და ახალგაშენებულ ვენაბში, საღაც იგი მოთავსებულია კოკოლების ქვეშ. ვაზს უზიანებს ნიადაგში ნორჩ, ჯერ კიდევ გაუხევებელ ყლორტებს.

აღწერა. ზრდადასრულებული მახრის სიგრძე 35—50 მმ-ია. იგი ზედა მხრიდან მურა ფერისაა, ქვედა მხრიდან კი მურა-ყვითელი, ხავერდოვანი. აქვს ძლიერ გრძელი ჯაგრისებრი ულვაშები, ზედა ტყავისებრი ფრთები მოკლე აქვს, ქვედა კი კარგად განვითარებული, ჩვეულებრივად მუცელზე ოდნავ გრძელი. წინა ფეხები განიერი აქვს. ისინი მთხრელებია. მუცლის ბოლოში ორი გრძელი კუდის ძაფი აქვს.

მატლი ტანად პატარაა, წააგავს ზრდადასრულებულ მახრას.

ქვერცხი ოვალურია, სიგრძით 3—3,5 მმ, სიგანით 2—2,5 მმ., მოყვითალო-მომწვანო.

გავრცელება. მახრა საქართველოში ცველგან გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ბევრია დასავლეთ საქართველოში. ზოგიერთ წელს იგი საგრძნობი რაოდენობით ლუპავს ახალგაზრდა ნამუნებს სანერგებსა და ახალგაშენებულ ვენახებში.

უოფა-ცხოვრება. მახრა ზამთრობს მატლისა და ზრდას/რულებული ფორმის სახით ნიაღაგში. ზამთრობიდან კვებებული ხულშე გამოდის და იწყებს კვებას. კვების შედეგად მწიფებული ვითარდება, ზრდადასრულებული კი სქესობრივად მწიფებული და ულლდება. შემდეგ დედალი დებს კვერცხებს, რომლებ-



სურ. 18. მახრის განვითარება: 1—კვერცხები; 2—ანალგარდა მატლი; 3—ზრდადასრულებული მატლი; 4—ნიმფა; 5—ზრდადასრულებული მწერი (ბოგდანოვ-კარკოვიდან).

საც ნიაღაგში ათავსებს. მახრა კვერცხებს მასობრივად აპ-რილსა და მაისში დებს, ნაწილობრივ ივნისში. მალე მოშრდილი ასაკის მატლიც ამთავრებს ზრდას და ისიც იწყებს კვერცხის დებას. კვერცხების დადებამდე დედალი მახრა ნია-

დაგში წინასწარ იკეთებს მიწის ბუღეს სხვადასხვა სილრმუზი. ყველა მახრა ერთნაირი რაოდენობით არ დებს კერძოს ქართველები მეტს დებს და ზოგი ნაჯლებს. საერთოდ კი კვერცხს მოიყვარა რაოდენობა 145—350-შემდე მერყეობს.

კერძო ძლიერ მგრძნობიარება სინათლისადმი. ჩანასახი მზის პირდაპირი სხივების გავლენით რამდენიმე წუთში კვდება. კერძო იტანს კერძო მზის არაპირდაპირი სხივების გავლენას, თუმცა ამ შემთხვევაში ჩანასახი უფრო გვიან კვდება. კვერცხი, რომელშია ჩანასახი მკვდარია, ნორმალური მოყვითალო-მომწვანო ფერის ნაცვლად შეა ფერს იღებს.

კვერცხიდან მატლის გამოსაჩეკად, გარემოს ტემპერატურის მიხედვით, სხვადასხვა დროა საჭირო. თბილ ამინდებში მატლი ხშირად 7 დღეში იჩეკება, გრილ ამინდებში კი გამოჩეკა 28 დღემდეც კი ჭიანურდება.

ახალგაზრდა მატლისათვის კანის პირველ გამოცვლამდე დამხახასიათებელია ხტომა. ამ უნარს იგი ჰქარგავს პირველი კანის გამოცვლის შემდეგ. გამოჩეკიდან 11—17 დღის შემდეგ მატლი პირველად იცვლის კანს და მეორე ასაკში გადადის. მეორედ კანს იცვლის 9—16 დღის შემდეგ. მომდევნო ასაკის ხანგრძლიობაც დაახლოებით ისეთივეა, როგორიც წინა ასაკებისა.

მახრას სრული განვითარებისათვის 12—14 თვე სჭირდება.

მახრა კარგად ცურავს წყალში, რომელშიაც მას შეუძლია დაყოს 7 საათიამდე. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ მასთან ბრძოლა წყლის დატბორებით უშედეგო იქნება. კერძო იტანს მახრა გვალვას. ამიტომ ზაფხულში, ძლიერ გამოგვალულ ნიადაგში იგი იშვიათად მოიპოვება. მახრების უმეტესობა გამოდის გამოგვალული ნაკვეთებიდან და სახლდება რეს ნაპირებზე, ხშირად რუში, ტალახის ქვეშ, თუ იქ წყალი არ არის. უმცირესობა რჩება იმავე ნაკვეთებში, მხოლოდ ჩადის ლრმა ფენებში, საღაც მეტია ტენი.

მახრის გავრცელებისა და გამრავლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის სტრუქტურას, ორგანული ნივთიერების რაოდენობას მასში და ტენიანობას. მაგ., მძიმე თიხნარ ნიადაგებში მახრა იშვიათად მოიპოვება, რადგან უწვიმო პერიოდში ის იგვალება და მახრას უძნელდება ხვრელის გაკეთება და მოძრაობა. ყველაზე მეტად მახრებს

უხვდებით სათბურებში და ნასათბურალ ადგილებში, რაც გამოიყენება მისა მათ ამ ადგილის სითბო იზიდავს. გორის ამისა, ეს ადგილები მდიდარია ორგანული ნივთების კიაყელებითა და შეტრების მატლებით; რითაც იკვენება მახრა. ამასთან, ასეთი ნიაღავი ფხვიერია, რის გამო იქ ხვრელის გაქეთება აღვილია.

ბრძოლის ღონისძიებანი: 1. მოშხამული მისატყუებელი მასალების გამოყენება. ამ მასალით ბრძოლა უმჯობესია. გაზაფხულზე, მახრის გამოსვლისთანავე ზამთრის ძილიდან, რაღაც ხშირად ამ დროს იგი არ არის უზრუნველყოფილი საკვები მცენარეებით და ძალაუნებურად ეტანება ამ მისატყუებელ მასალას. მისატყუებელ მასალად უმჯობესია აღებული იქნეს სიმინდი, მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით მისი ნაკლებობის გამო, იყენებენ ქატოსა და კოპტონს.

მისატყუებელ მასალად სიმინდის გამოყენების დროს მას მსხვილად დერლავენ (თითო მარცვალს 2—3 ნაწილად), შეძლევ ხარშავენ წყალში მანამდე, სანამ მისი გული შესაფერისად არ დარბილდება. ამის შემდეგ ამოილებენ წყლიდან და გადაიღებენ ბრეზენტზე ან გეჯაზე, მოაყრიან შხამს და თანურევენ ჯოხით, რომ შხამის ნაწილები თანაბრად განაწილდეს სიმინდის მარცვლებს შორის. ამის შემდეგ მოშხამული მისატყუებელი მასალა შზად არის მოსაბნევად. მობნევა სასურველია ახალმოხნულ ნიაღავზე, რადგან აღვილია მისი ჩამალვა ნიაღავში დაფარცხვით.

მისატყუებელი მასალის მოსაშხამავად მიღებულია თეთრი დარიშხანა, რომელიც წმინდად უნდა იყოს დაფხვნილი, რაღან მსხვილი მარცვლებით მოშხამულ სიმინდს მახრა არ ექარება. ოც კილოგრამ სიმინდზე იღებენ ერთ კილოგრამ და რიშხანს. მახრასთან საბრძოლველად ამ პრეპარატის გარდა ხშირად იყენებენ პარიზის მწვანის (400 გრამი 8 კილოგრამ სიმინდზე), ფლუორისა და კაფფლუორის ნატრიუმს.

სიმინდის მოსაშხამავად ფართო ხმარებაშია დარიშხანოვანი ნატრიუმიც. მას 400 გრამის რაოდენობით ხსნიან 12 ლიტრ წყალში. შემდეგ ხსნარში ყრიან 12 კილოგრამ დალერლილ სიმინდს და აღულებენ მანამდე, სანამ სიმინდი არ დარბილდება. ხარშეის დამთავრების შემდეგ ხსნარს ღვრიან თრმო-

ში, რომელსაც ზემოდან მიწას აყრიან, სიმინდს კი კარგად
წურავენ და იღებენ ბრეზენტზე ან გეჯაზე, აცივებენ, და მათ უკავა
შემდეგ ისეთივე წესით აბნევენ ნიადაგზე, როგორც ეჭიშვილისა
მოთ იყო აღწერილი.

2. ცნობილია, რომ მახრის კვერცხი სრულებით ვერ იტანს
გზის სინათლეს. ამით უნდა ვისარგებლოთ და კვერცხების
მასობრივი დების დამთავრების შემდეგ ნაკვეთი გავთოხნოთ,
კვერცხებიანი ბუდეები და გაშალოთ, თვით კვერცხები კი ნია-
დაგის ზედაპირზე მოვაბნიოთ ან დავსრისოთ.

შემოდგომის პურეულის ხვატარი

დაზიანება. შემოდგომის პურეულის ხვატარი ვაზებს აზია-
ნებს როგორც სანერგეში, ისე უკვე გაშენებულ ვენახში. სა-
ნერგეში იგი აზიანებს ფოთლებს და ნიადაგში არსებულ
ნორჩი ყლორტებს. იმ შემთხვევაში, თუ ვაზმა ახალი ყლორტი
ვერ გამოიტანა დაზიანებულის მაგიერ, იგი დაიღუპება; თუ
კი შეძლო გამოტანა, ვაზი მაინც სუსტი ვითარდება. 1930
წელს ეს ხვატარი მასობრივად მოედო იყალთოს სანერგეს,
საღაც რამდენიმე ჰექტარზე დააზიანა ნამყენი ვაზის ახლად
გამოტანილი ყლორტები. მეორედ ხვატარის მასობრივი
აფუთქარება მოხდა 1935 წელს აღმოსავლეთ საქართველოსა
(ქახეთში) და აზერბაიჯანში (შემახაში). კახეთში ყველგან
მოედო ვენახებს, განსაკუთრებით კი ხირსის მეურნეო-
ბაში.


აღწერა. შემოდგომის პურეულის ხვატარი საკმაოდ დიდი
პეპელაა. იგი გაშლილი ფრთებით 45 მმ-ს აღწევს. დედალს
ჯაგრისებრი ულვაშები აქვს, მამალს კი სავარცხლისებრი.
წინა ფრთებზე ზედა მხრიდან პეპელას აქვს 3 ნაცრისფერი
ლაქა, რამდენიმე განივი ტალღისებრი ხაზი, ერთი თირქმ-
ლისებრი და ერთი წრისებრი ლაქა.

კვერცხი თეთრია, მრგვალი, წიბოებიანი.

მატლი მიწისფერია, ზემოდან მომწვანო ელფერით, სიგრ-
ძით 50 მილიმეტრამდე. აქვს კაუჭებიანი 8 წყვილი ფეხი—
3 ნამდვილი და 5 ცრუ.

გაგრცელება. საქართველოში თითქმის ყველგან გეხედება.

ყოფა-ცხოვრება. ხეატარი, ოოგორც წესი, ზრდადის უკან
ლებული მატლის სახით ზამთრობს ნიადაგში, სახნაფიანულო მატლი
სილრმეზე. ახალგაზრდა მატლი ვერ იტანს ზამთარზ, რძს გა-
მო, თუ დაიზამთრა, იღუპება. გაზაფხულზე მატლების ნაწილი
საკვების მიუღებლად იჭუპრებს, ნაწილს კი დაკუპრებამდე
სჭირდება წინასწარ დამატებითი საკვების მიღება. იჭუპრებს
ნიადაგშივე, ჩვეულებრივ 5—6 სმ-ის სილრმეზე. ჭუპრიდან
პეპლის გამოფრენა იწყება გაზაფხულზედვე, აპრილში, რაც



სურ. 19. შემოდგომის პურეულის ხეატარი: 1—დედალი და
მამალი პეპლა, 2—მატლი.

ჩვეულებრივ 21 დღემდე გრძელდება. პეპლები გამოფრენი-
დან 2—3 დღის შემდეგ ულლებიან და იწყებენ კვერკების
დებას. ოოგორც ლამის მწერები, ისინი ფრენას, კვებას, შე-
ულლებას და კვერცხების დებას მხოლოდ ლამით აწარმოე-
ბენ. მართალია, ფრენას მზის ჩასვლის შემდეგ იწყებენ, მაგ-
რამ ჟველაზე მეტად შუალამისას ფრენენ. ფრენას გათენები-
სას წყვეტენ.

პეპლა დებს 200-დან 2300-დე კვერცხს. კვერცხების
რაოდენობაში ასეთი დიდი განსხვავება აისსნება მთელი

რიგი მიზეზებით. უპირველეს ყოვლისა ეს დამოკიდებულია მატლის კვების პირობებშე. რაც უფრო უკეთ იქვებება მატლის განსაკუთრებით უკანასკნელ ხნოვანებაში, მით შეტრანსფერისა ნისგან განვითარებული დედალი პეპლის მიერ დადებული კვერცხების რაოდენობა და პირუკუ, მატლის ცუდი კვების დროს მცირეა კვერცხების რაოდენობა. ასეთსავე დიდ გავლენას ახდენს კვები თვით პეპლებშედაც. ცუდი კვების დროს პეპლა მცირე რაოდენობით დებს კვერცხებს. ბუნებრივ პირობებში საკვების დაკლება პეპლებისათვის ხდება მაშინ, როდესაც მცირეა მინდვრიდ ყვავილებიანი მცენარეები. არის შემთხვევები, როდესაც ყვავილებიანი მცენარეები ბუნებაში ბევრია, მაგრამ მათში მცირეა ნექტარის მქონე ყვავილები ანდა თვით ნექტარი მცირეა ყვავილში. კვერცხების რაოდენობაზე გავლენას ახდენს მეტოროლოგიური ფაქტორებიც: ტემპერატურა, ტენიანობა და ნალექები. თუ ჭუპრების განვითარება ხდება $22,5^{\circ}$ და $75-80\%$ ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის პირობებში, მაშინ გამოფრენილი დედალი პეპლა დებს 2000 ცალამდე კვერცხს. პეპლები მცირე რაოდენობით დებენ კვერცხს დიდი და ხანგრძლივი წვიმების დროსაც.

შემოდგომის ხვატარი თავის კვერცხებს სათითაოდ ათავსებს სხვადასხვა ადგილზე: ნიადაგში, ნაგავში, ნამჯაში, ფესვის ნარჩენებში და მცენარეებშე. აღნიშნულია 50-მდე სახეობის მცენარე, რომლებშედაც უნახავთ მისი კვერცხები. პეპლა მცენარის ისეთ ადგილზე ათავსებს კვერცხებს, რომელიც უფრო ახლოა ნიადაგის ზედაპირთან, რადგან იქ ნაკლებია განათება და, ამასთან ერთად, შედარებით სუსტია ქარების მოქმედება.

კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი თავის ცხოვრებას ატარებს ნიადაგში, ნიადაგის ზედაპირზე, გოროხებისა და ჩამოცვენილი ფოთლების ქვეშ და თვით მცენარეზე. მატლს არ უყვარს სინათლე, რის გამო დღისით ნიადაგში და ფოთლების ქვეშ იმყოფება, ღამით კი ამოდის მალლა. ამის მიხედვით მატლი დღისით თუ ნიადაგში მყოფი ნაწილებით იკვებება, ღამით მის ზემოთ მდებარე ნაწილებს ეტანება და ანადგურებს.

მატლი სულ 5-ჯერ იცვლის კანს, რის შემდეგ იჭუპტებს. შის განვითარებას, ამინდების შიხედვით, სხვადასხვა სკირდება. უმკერალია, გაზაფხულზე და შემოდგომით განვითარებას შეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ზაფხულში.

შემოდგომის პურეულის ხვატარი საქართველოში იძლევა შელიწადში 3 და იშვიათად 4 თაობას.

ბრძოლის ღონისძიებანი. ვენახებსა და სანერგებში შემოდგომის ხვატარის მოსასპობად შეიძლება მთელ რიგ ღონისძიებათა გამოყენება:

1. სარეველა ბალახების მოსპობა. ამ ღონისძიების განხორციელებით ძლიერ მცირდება იმ მცენარეთა რაოდენობა, რომელთა ყვავილებითაც იკვებებიან პეპლები. თუ ნაკვეთი გაითოვნა პეპლების მასობრივი კვერცხის დების პერიოდში, მოჭრილი ბალახები უნდა მოგროვდეს და გატანილ იქნეს ნაკვეთიდან. ეს სარეველები დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს საქონელს საკვებად ან დასილოსდეს. უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაიწვას.

2. ნიადაგის დამუშავება. ეს ღონისძიება უნდა ჩიტარდეს მასობრივი დაჭუპტების პერიოდში.

3. მატლების ხელით შეგროვება და დახოცვა. მავნებლის მასობრივი გავრცელების დროს, მატლების ხელით შეგროვება კარგ შედეგს იძლევა. განსაკუთრებით დიდია მისი შედეგი ვაზის სანერგებში. ამ საშუალებით იყალთოს საბჭოთა მეურნეობამ, აგრონომ მ. ოვჩარენკოს ხელმძღვანელობით, შეძლო ახალგაზრდა ნამყენი ვაზების დიდი ნაწილის გადარჩენა. ღონისძიება ტარდება შემდეგნაირად: ბაზებში ჩიჩქიან მიწის ზედაფენას და სპონენ შეხევდრილ მატლებს, ანდა ბაზოებს შორის პატარა გროვებად ჰყრიან სარეველა ბალახებს, რომელთა ქვეშ გროვდებიან მატლები. ამ მატლებს სისტემატურად ქრეფენ და ხოცავენ. მატლები შეიძლება შინაური ფრინველების საკვებად იქნეს გამოყენებული მეურნეობაში.

4. ქიშიური ბრძოლა. ხვატარს ებრძვიან ქიშიური საშუალებებითაც. პირველ რიგში აღსანიშნავია მოშხამული მისატყუებელი მასალის გამოყენება მატლების მოსასპობად. მისატყუებელ მასალად კარგია წვრილად დაჭრილი კარხალი, ჭარხლის ფოთლები, კარტოფილის ფოთლები და ტოტები,

სამყურა და სხვადასხვებ სარეველა. ჭარხლის მოსაშხამიად
იყენებენ პარიზის მწვანას ან დარიშხანოვან ნატრიუმს (100 გრამის
წილი ჭარხალი და 1—2 წილი შხამი). პარიზის მწვანას გამოსაკვლევა
ყენების შემთხვევაში მისატყუებელ მასალას ასველებენ წყლით;
10 ქვ მასალაზე საჭიროა 2—3 ლიტრი წყალი. თუ დარიშ-
ხანოვან ნატრიუმს ხმარობენ, მაშინ უკანასკნელს ჯერ წყალ-
ში ხსნიან და შემდეგ ურევენ მისატყუებელ მასალაში. ამ
წესით დამზადებულ მისატყუებელ მასალას ანაწილებენ პა-
რაზი თრიოებში ორი-სამი მეტრის დაშორებით ერთამეო-
რისაგან, ზემოდან კი თხლად აფარებენ მიწას.

ეს ღონისძიება უნდა ჩატარდეს ნაკვეთის გათონნის ან
მოხვნისთანავე.

მისატყუებელ მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქა-
ტოც. ყოველ 98 გ ქატოზე ილებენ 2 გ პარიზის მწვანას.

პარიზის მწვანას მაგიერ შეიძლება ალებულ იქნეს კაფლუო-
როვანი ნატრიუმი. ყოველ 95 გ მასალაზე ილებენ 5 გრამ
კაფლუოროვან ნატრიუმს.

როდესაც ვაზის სანერგიის გარშემო მდებარე ნაკვეთებზე
ძლიერ არის მოდებული მავნებლების მატლები, სანერგეს
უნდა შემოევლოს გარშემო თხრილები, თხრილში კი ჩაი-
ყაროს მოშხამული მისატყუებელი მასალა. ამ ადგილებში
მოზიდული მატლები დროდადრო უნდა გაისრისოს. ამ მე-
თოდის მაგიერ ან მის დამატებად შეიძლება გამოყენებულ
იქნეს შესხურების მეთოდი.

შესასხურებლად ხმარობენ პარიზის მწვანას. ყოველ 12
ლიტრ წყალზე ილებენ 18 გრამ პარიზის მწვანას და 36 გრამ
ახალდამწვარ კირს.

თუ მატლები ფოთლებსაც აზიანებს, შეფრქვეულ უნდა იქ-
ნეს დარიშხანული კალციუმი.

3240ს გიზიზედა ნაწილების—ჟტამბის,

ულორტისა და რძის გავნებლები

გირდის გლობელები

მერქნის მლრღნელებიდან საქართველოში, როგორც ვაზის
მავნებელი, ცნობილია ხოჭოს სამი სახეობა: ბოსტრიხუსი-

(*Bostrychus capucinus*), სინოქსილონი (*Sinoxylon perforans*)
და ხარაბუზა — კლიტანტუსი.

დაზიანება. სამივე სახეობა აზიანებს გაზის შტაშბის. სინიშ
ეტანებიან რაიმე მიზეზით, — მაგალ., ზამთრის ყინვით, ფი-
ლოქსერით, ვენახის მოუვლელობით და სხვ. — დასუსტებულ
ვაზებს.

ბოსტრიხუსი ვენახებში ხშირად აზია-
ნებს სარებსაც — ფულრავს მთლიანად
მათ.

აღწერა. ბოსტრიხუსი სხვადასხვანაი-
რი შეფერილობისაა. ჩვეულებრივად
იგი შავია, ხოლო მისი ზედა ფრთები



სურ. 20. ბოსტრიხუსისგან
(*Bostrychus capuci-
nus*) დაზიანებული
ვაზის შტაში (ორიგ.).



სურ. 21. ბოსტრიხუსი: 1 — ხოჭო;
2 — მატლი.

და მუცელი წითელი; ზოგჯერ იგი მთლიანად (ფრთებიანად)
შავია, სიგრძით 8—14 მმ. მისი მატლი ჰავას ლრაჭას მატლს,
მუცლის ბოლო მოლუნული აქვს და მკერდის სეგმენტები
მსხვილი, მხოლოდ ტანად ბევრად მცირეა.

სინოქსილონის ხოჭო სიგრძით 6—7,5 მმ-ია, მოშავო-
ყავისფერი, ღია წაბლისფერი ზედა ფრთებით. ზედა ფრთფშის რეაცია
უკანა ნაწილში, და-
ქანებულ ადგილას, 4
ქაცვი აქვს.

კლიტანტუსს ზედა
ფრთების თითო მხარე-
ზე აქვს სამი შავი ლა-
ქა, მათგან წინა—წრი-
სებრია. ქვედა გარდი-
გარდმო ლაქებს უკა-
ვია ფრთის მთელი სი-
განე.

გავრცელება. ბოს-
ტრიბუსი და კლიტან-
ტუსი ჯერჯერობით
აღნიშნულია კახეთში,
სინოქსილონი კი ბორ-
ჩალოში, დუშეთში და
თბილისის რაიონში.

ბრძოლის ონისძიე-
ბანი, 1. სალი ვაზე-
ბის აღზრდა; 2. მავ-
ნებლით ძლიერ მოდე-
ბული ვაზების დაზია-
ნებული ნაწილის ქვე-
მოთ გადაჭრა და დაწ-
ვა; დაზიანებული სა-
რების ვენახებიდან გა-
ტანა და დაწვა, მათ
მაგიერ კი სალი, ქერქ-
გაცლილი, მშრალი
სარების გამოყენება.



სურ. 22. სინოქსილონის ხოჭო.



სურ. 23. კლიტანტუსის ხოჭო.

სუნიანი მერქნიჭამია

დაზიანება. სუნიანი მერქნიჭამია მატლის სტადიას ვაზის შტამპში ატარებს, აქ აზიანებს ლაფანს. დაზიანების შედეგად აჩენს მრავალ ხერელს.

აღწერა. პეპელა დიდია, გაშლილი ფრთებით 8,5 სმ სიგანისა. ტანი და ფრთები ნაცრისფერი აქვს, ფრთებზე მრავალი განივი შავი ზოლი მიუყვება. მუცელი სქელი აქვს.

მატლი სიგრძით 8 სმ-მდე აღწევს. ზურგის მხრიდან წითელია, გვერდების მხარეზე კი მოწითალო-ყვითელი. ჭუპრი, რომელიც ყოველთვის პარკშია მოთავსებული, მურა ფერისაა.

ყოფა-ცხოვრება. ივნის-ივლისში დედალი პეპელა თავის კვერცხებს ჯგუფ-ჯგუფად ათავსებს ქერქის ნახეთქებში. დებს 1000-მდე კვერცხს. მატლები გამოჩეკისთანავე შედიან მერქანში და ლაფანში აჩენენ მრავალ ხერელს. ორ ზამთარს რჩებიან მერქანში. ამის შემდეგ მაის-ივნისში იქუპრებენ. 14—28 დღის განმავლობაში, ჭუპრის სტადიაში ყოვნის შემდეგ, გამოდიან პეპლები. ამგვარად, როგორც ჩანს, სუნიან მერქნიჭამიას განსავითარებლად ორი წელიწადი სკირდება.

ბრძოლის ღონისძიება. დაზიანებული ვაზის იმ ნაწილის ამოჭრა, სადაც მავნებელი ზის, და დაწვა.

მ ა ჟ ა უ რ ა

დაზიანება. მაეთურა აზიანებს ვაზის ყლორტებს და რქებს გულამდე. აზიანებს აგრეთვე შტამპს. დაზიანების შედეგად ხშირად ყლორტი ჭკნება, ხმება და ვარდება ძირს. შტამპსა და ყლორტებზე ცხოვრების დროს ლაფანში აჩენს უსწორ-მასწორო ხერელებს, შემდეგ კი მთლიანად ხრავს გულს.

აღწერა. პეპელა თეთრია. ფრთებზე აქვს მუქი ლურჯი ლაქები, ზურგზე 6 ასეთივე ფერის ლაქა. მუქი ლურჯი ლა-



ქებით არის მოდებული მუცელის ნაწევრებიც. დედალს აქვთ
ძაფისებრი ლურჯი ულვაშები. მამლის ულვაში ფუტკერისა
ფრთისებრია. დედალი გაშლილი ფრთებით 6—7 სმ-ია, მა-
მალი—5 სმ.

მატლი მოყვითა-
ლოა, შავი ლაქებით.
თავი, კეფა და ანალუ-
რი ფარები მუქი მუ-
რა ფერისა. მისი სი-
გრძე 6 სმ-მდე აღწევს.


ჭუპრი სიგრძით 4
სმ-მდეა. იგი მოყვითა-
ლო მურაა.

ყოფა-ცხოვრება. შე-
უდლების შემდეგ დე-
დალი პეპელა დებს
კვირცხებს. უკანისკ-
ნელთ ათავსებს კვირ-
ტებზე ან ქერქის ნა-
ხეობებში. სულ დებს
1000-მდე კვირცხს.

10—12 დღეში იჩეკება მატლი, რომელიც ღრღნის ყლორ-
ტებს და შედის გულამდე. ექსკრემენტებს მატლი არ ტოვებს
ხერელში. მას ყრის იმ ხერელიდან, რომლიდანაც შევიდა,
ანდა სპეციალური ხერელიდან. ერთი ყლორტის დაზიანების
შემდეგ, რომელიც ხშირად ვარდება, გადადის ახალ, უფრო
მსხვილ ყლორტზე და იქ აგრძელებს კვებას. ზამთრის შემ-
დეგ მატლი კიდევ იცვლის ადგილს, გადადის უფრო მსხვილ
რქებზე, შემდეგ კი შტამბზე, სადაც მეორედ იზამთრებს.
მაისში ან იქნისში იქვე იქუპრებს შესავალი ხერელის მახლო-
ბლად, ხოლო 10—12 დღის შემდეგ მისგან გამოფრინდება
პეპელა. ამრიგად, ერთი თაობის განვითარებას ორი წელი-
წადი უნდება.

ბრძოლის დონისძიებანი. 1. დაზიანებული ყლორტებისა და
საქიროებისამებრ შტამბის ამოქრა და დაწვა. 2. აგროტექნი-
კურ ლონისძიებათა გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს
ძლიერი გაზების განვითარებას.

4. განის მთავარი მავნებლები.



სურ. 24. მაჟაურა: 1—მისგან მიყენებული
დაზიანება; 2—მატლი; 3—პეპელა.

ვაზის ჭრიჭინა

აღწერა. ზრდადასრულებულ ვაზის ჭრიჭინას თავი მრგვალი აქვს, თვალები დიდი; აქვს მარტივი თვალებიც, რომლებიც გარკვევით არ ჩანს. აქვს ძლიერ გრძელი ულვაზები. ჭინა ფეხები სარბენია, უკანა—სახტომი. მასვე ახასიათებს მრავალნაწევრიანი გრძელი ცერკვები, დედლებს კი გრძელი კვერცხსადებიც. სხეული ლია ჩალისფერია ან ოდნავ მომწვანო, ლია ფერის ბეწვებით დაფარული. მამლების ზედა ფრთები გამკვირვალეა, დედლისა კი არა. ფრთები ვიწროა, დალაგებული გრძლიდ სხეულზე. დედლის სხეულის სიგრძეა 11—14 მმ, მამლისა 9—15 მმ.

კვერცხი ლია ყვითელია, სჭორი გვერდებით, სიგრძით $3\frac{1}{4}$, მმ.

გავრცელება. გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ყოფა-ცხოვრება. ვაზის ჭრიჭინა ლამის მწერია. დღისით იგი უმოძრაოდ იმყოფება მცენარეზე ან სხვა რომელიმე მოფარებულ ადგილას. მოძრაობაში მოდის შებინდების შემდეგ ამ დროს ეძებს იგი საკეპს. მისი ძირითადი საკეპია მცირე მოცულობის მწერები და მათ შორის ვაზის ნაზი ფოთლები, რომლებზედაც ღრღნის დროს პატარი ორმოებს აჩენს.

იგვისტოში დედალი ხვრეტს ვაზის ან სხვა რომელიმე მცენარის ახალგაზრდა ყლორტს და შიგ დებს 3—4 ცალ კვერცხს ერთად. კვერცხები ჩაღაგებულია ყლორტში სიგრძით. ნახვრეტს ზემოდან გადაკრული აქვს ლია მოყვითალო აპკი—სითხე, რომელსაც გამოყოფს ჭრიჭინა კვერცხის დების დროს და რომელიც შემდევ ჭირზე შრება.


ხშირად ერთ ყლორტში 300-მდე კვერცხია მოთავსებული.

ნახვრეტები თითქმის ყოველთვის ერთ გასწვრივ რიგში არიან განლაგებული.

კვერცხებიდან მატლები იჩეკებიან მაის-ივნისში. ყლორტიდან გამოსული მატლი იწყებს მცენარის ნიშილებით და მწერებით კვებას, ვითარდება, იღწევს იმაგოს სტადიას, ულლადება და



დებს კვერცხებს აგვისტოში იმ წესით, როგორც ეს ზემოთ
იყო აღწერილი. იგი კვერცხებს დებს როგორც ევროპული კულტურის
ისე ამერიკული ვაზის ყლორტებზე.



სურ. 25. ვაზის ჭრიჭინასაგან მიყენებული დაზიანებანი; 1—რქის დაზიანე-
ბის გარეუგანი სახე; 2—რქის გასწერილი განაკვეთი, შიგ ჭრიჭინას კვერც-
ხებით; 3—ჭრიჭინასაგან რქაზე გაკეთებული ხერელები, სადაც დებს
კვერცხებს.

ვაზის ის ყლორტები, რომლებშიაც კვერცხებია მოთავსე-
ბული, ხშირად ჭრის და ხშირად დაზიანებული ადგილებიდან
ზევით დისტალურად. ამის შედეგად რქა ხშირად ველარ

შწილება. ამასთან ნახვრეტებში ზოგჯერ შედის ინტენცია სოკოს ან სხვა რაიმე მიკროორგანიზმის სახით. უკრავება კახეთის პირობებში ზოგიერთი მევენახე ძლიერი უძახილეს მავნებელს, რადგან იგი იმდენად მასობრივად არის მოღებული, რომ ვაშს აღარ ჩეხება თავისუფლი რქები მომავალი წლისათვის სამამულედ და სანაყოფელ.

ხშირად იგი აზიანებს ამერიკული ვაზის ყლორტებსაც. ასეთი შემთხვევა შენიშნულია ჩვენ მიერ ურიათუბანში.

ბრძოლის ღონისძიება. ამ მავნებლის წინააღმდეგ ჯერჯერობით არ არის დამუშავებული საჭირო ღონისძიებანი. ერთადერთი, რის ჩევაც ამეამად შეგვიძლია, ეს არის რქების შეძლებისამებრ კარგიდ დათვალიერება შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე და ყველა დაზიანებული რქის ან მისი ნაწილის მოჭრა და დაწვა.

აღნიშნულთა გარდა მიწის ზემოთ მდებარე ვაზის ყლორტებს, რქებსა და შტამბს აზიანებს შემდეგი მავნებლები:

1. აზიური კალია (იხ. გვ. 54), აზიანებს ყლორტებს.
2. ვაზის ფევილისებრი ცრუფარიანა (იხ. გვ. 103), აზიანებს ყლორტებს, რქებსა და შტამბს.
3. აკაციის ფარიანა (იხ. გვ. 119), აზიანებს ყლორტებს, რქებსა და შტამბს.

კვირტებისა და ფოტლების მავნეპლები

კ ა ლ ი ა

ვაზის მავნებელი კალიებიდან საქართველოში ვხვდებით იტალიურ კალიას, მაროკოს კალიას, აზიურ კალიას—და ეგვიპტურ კალიას. ამათგან ეგვიპტური კალია ჩვენში იმდენად მცირე რაოდენობითა გავრცელებული, რომ მისი აღწერა საჭიროდ არ მიგვაჩინა.


დაზიანება. კალია თუმცა ვაზის სპეციფიკურ მავნებლად არ ითვლება, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით მასობრივი გამრავლება-გაფრცელების შემთხვევაში, შეუძლია დიდი ზიანის მიუენება. ასე, მაგალითად, აზიური კალია აზიანებს ვა-

ზის ნაზ ფოთლებს, ზოგჯერ კი ყლორტებსა და მტევნის კლერტებს.* ასეთი დაზიანების შედეგად მტევნები ცვიფრებით გამოიყენება.

უფრო მეტად იკვებება ვაზის ფოთლებით მაროკოს კალია. იგი ზოგჯერ ვაზის მთლად ცლის ფოთლებიდან. მაროკოს კალიას საქართველოში უკავია ელდარის ველი, საიდანაც შეიძლება შემოფრინდეს შიდა კახეთში და დააზიანოს ვენახები, თუ აღვილუხვე არ იქნა მის წინააღმდეგ მიღებული გადამწყვეტი ზომები.

საქართველოს პირობებში ვაზისათვის უველაზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია იტალიურ კალიას, რადგან იგი ხშირად მასობრივად არის გაერცელებული და ბევრი აღვილი უკავია შევენახეობის რაიონებშიაც. ეს სახეობაც ფოთლებს აზიანებს.

ალწერა. იტალიური კალიის ზრდადასრულებული დედალი სიგრძით 21—34 მმ-ია, მამალი კი 13—22 მმ. ფერით სხვადასხვაგვარია, საერთოდ კი მოყვითალო-მურა ან ნაცრისფერია. მკერდის ფარზე აქვს სამი ერთიმეორის პარალელური ზოლი. წინა მკერდზე, წინა ფეხებს შორის, აქვს საქმიანდ



სურ. 26. იტალიური კალია: 1—ზრდადასრულებული ცალ მზარენებ გაშლილი ფრთებით; 2—პარკუტები კვერცხებით (ერთი მათგანი გახსნილია); 3—კალია 5 სხვადასხვა ზოვანებაში (სხვადასხვა ავტორიდან).

გრძელი კონუსისებრი წანაზარდი. ქვედა ფრთები ფუძის მიხ-
ლობლად ვარდისფერია, მუქად დაწინჭყლული მისი ბაზაზე მოკლე და ვანიერია. უკანა წვივები წითელია ან ნარჩენის-
ფერი. ულვაშები სხეულზე მოკლე აქვს.

კვერცხი მოთავსებულია 35 მმ სიგრძისა და 6 მმ დიამეტრის
შენობა სპეციალურ პარკუჭში. თვით კვერცხი მღვრიე თეთ-
რია, სიგრძით 4—5 მმ და სისქია 1 მმ. პარკუჭში კვერცხე-
ბი 4 წყებადაა მოთავსებული, სულ 18—100 ცალის რაოდე-
ნობით.

მაროკოს კალიის დედლის სხეული სიგრძით 20—33
მმ-ია, მამალი 17—30 მმ. იგი მოქარცისფრო ყვითელია მუ-
ქი ლაქებით; ზურგზე აქვს სამი ვარდივიგარდმო ლარი; უკანა
ნაწილი შუაში მუქია. ზედა ფრთები მუცელზე გრძელი აქვს;
უკანა ბარძაყები ჩალისფერია, ზემოდან სამი შავი ლაქით.
შავი აქვს ნუხლებიც, უკანა წვივები წითელი. წინა ფეხებს
შორის აქვს წანაზარდი.

კვერცხები მოთავსებულია პარკუჭში, რომელსაც ცილინ-
დრული ფორმა აქვს. პარკუჭი ვიწროა, სიგრძით 16—32 მმ;
ზოგჯერ იგი მოღუნულია. პარკუჭის ზედა მხარეზე ნაჩერე-
ტია, რომელსაც ეფარება მრგვალი საცობი. პარკუჭში კვერც-
ხები 4 რიგადაა მოთავსებული საშუალოდ 35—40 ცალამდე.

აზიური კალი ა. ზრდადასრულებული დედალი კა-
ლიის სიგრძე 45—55 მმ-ია, მამალი კალიისა 35—50 მმ.
იგი ნაცრისფერია, ზოგჯერ მწვანე ან მომწვანო; ზურგზე
გასწვრივად გასდევს ნაოჭი. უკანა ბარძაყები მოყვითალო
აქვს, შიგნითა მხარეზე მოშავო-მოლურჯო ლაქით. უკანა
წვივები ჩვეულებრივად ყვითელი აქვს, იშვიათად გარდის-
ფერი.

კვერცხები მოთავსებულია ცილინდრულ, ზოგჯერ სწორი
ფორმის პარკუჭში. ზედა ნაწილში პარკუქს აქვს ლრუბლისებ-
რი საცობი, რომელიც მთელი პარკუჭის $\frac{1}{3}$ სიგრძისაა. კვერც-
ხები შიგ 4—5 გასწვრივ, რიგად არიან ჩაწყობილი. თითო
პარკუჭში ეხვდებით საშუალოდ 55—115 ცალამდე კვერცხს.
კვერცხი ყვითელია, სიგრძით 6—8 მმ.

გავრცელება. საქართველოში იტალიური კალია გავრცელი-
ბულია: სილნალის, წითელწყაროს, გურჯაანის, ყვარლის,
ლაგოდეხის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, თბილისის

მაროკოს კალიის გაერცელების ადგილებია ელდარის და შირაქი.

აზერური კალია საქართველოში ხედება აზერბაიჯანის მხრიდან. მუდმივი რეზერვაციები კი მას აქ არა აქვს. მისი ძირითადი კერტებია: სირ-დარიის, ამუ-დარიის, სულაქისა და ყუბანის მიღამოები.

ყოფა-ცხოვრება. სამიერ სახეობის კალია ზამთრობს ნია-დაგში კვერცხის სტადიაში. კვერცხები ამ დროს მოთავსებულია პარკუჭში. უკანასკნელი წარმოადგენს დამატებითი სასქესო ჯირკვლების გამონაყოფს და მასთან შეკოწიწებულ მიწის ნაწილებს.

კვერცხში, რომელსაც კალია ზაფხულში დებს, მალე იწყებს ჩანასახი განვითარებას, მაგრამ მთლიანად ვერ ვითარდება და ასე იზამთრებს. კვერცხიდან მატლები იჩეკებიან გაზაფხულზე. მათი ადრე თუ გვიან გამოჩეუა დამოკიდებულია, პირველ რიგში, სახეობის თვისებებზე და, მეორე რიგში, შეტეოროლოგიურ; ნიადაგობრივ და რელიეფურ პირობებზე. თბილ რაიონებში თბილი გაზაფხულის პირობებში, სამხრეთის დაქანებებზე და აგრეთვე ისეთ ნიადაგებზე, რომლებიც კარგად თბება მზის სხივებით, ერთი და იმავე სახეობის კალია ადრე იჩეკება. ტენიან და წყლით დატბორებულ ნაკვეთებში მატლების გამოჩეუა გვიანდება.

ახალგამოჩეუილი მატლი ნიადაგიდან ამოსვლისთანავე იცვლის კანს—იძრობს ხალათს. ეს კანის გამოცვლა ასაკების გასარჩევ კანცვლად არ ითვლება. კანგამოცვლილი კალია რძისფერია, მაგრამ მალე, განსაკუთრებით თბილ ამინდებში, იგი მუქდება.

კვებასთან ერთად კალია იზრდება, რამდენიმეჯერ იცვლის კანს და ზრდადასრულებულ ფორმაში გადადის.

თუმცა კალიას უკანასკნელი კანის გამოცვლამდეც აქვს ფრთები, მაგრამ მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში. უკანასკნელი კანის გამოცვლის შემდეგ კი მას უკვე სავსებით განვითარებული აქვს ფრთები.

ზრდის დასრულების, ე. ი. უკანასკნელი კანის გამოცვლის შემდეგ, კალია მაშინვე არ არის სქესობრივად მომწიფებუ-

ლი. სქესობრივად მოსამწიფებლად საჭიროა დამატებითი კვების მიღება 5—10 დღის განშავლობაში.

სქესობრივად მომწიფების შემდეგ იწყება შეუღლებული საც თან სდევს კვერცხების დება. თითოეული დედალი კალია დებს 2—3 პარეულ კვერცხებს.

კალია მრავალნაირი მცენარით იკვებება, მაგრამ უპირატესობას მაინც თავთავიან მცენარეებს აძლევს. სხვადასხვა კალია სხვადასხვა თავთავიან მცენარეს ეტანება. ასე, მაგ., გადამფრენი კალია უპირატესობას ლერწამს აძლევს, იტალიური კალია—აბზინდას.

საკვებს კალია ყველა ასაკში ერთნაირი რაოდენობით არ იღებს. ყველაზე მეტს ჭამს ზრდადასრულებული ფორმა, ნაკლებს 1-ლი ასაკის მატლი. ხშირად საკვებს ეტანება არა კვების მიზნით, არამედ მხოლოდ წყლის მისაღებად, რადგან ცხელ ამინდში კალია ბევრ წყალს კარგავს თავის სხეულიდან, ზოგჯერ თავის დილის წონის $50-71\%$. მატლი ყველა ასაკში ერთნაირად არ იკვებება. მეტსა ჭამს შუა ასაკში, ნაკლებს დასაწყისსა და დასასრულს.

როგორც ცნობილია, კალიები სახეობის მიხედვით ატარებენ ჯოგურ ან არაჯოგურ ცხოვრებას.

აზიური და მარკოს კალია ჯოგურად ცხოვრობს, იტალიური კალია კი ფაქულტატიურად (პირობითად) ჯოგურად. ჯოგური თვისებების მქონე კალიების დამახასიათებელია ის, რომ ისინი გამოჩეკიდან ზრდის დასრულებამდე ერთად არიან, ერთად იკვებებიან, ფრენენ და ერთად დებენ კვერცხებს.

როგორც წესი, კალიები ლამეს მცენარეებზე ატარებენ, ხოლო თუ მცენარეები არ მოიპოვება—მიწაზე. თუ ლამით მცენარეებზე სხედან, დილით ჩამოდიან ძირს და იწყებენ კვებას მცენარეულით (შეიძლება მცენარიდან ჩამოსელამდეც დაიწყონ კვება). კვების შემდეგ იწყებენ მოძრაობას. მოძრაობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე. მოძრაობენ მაშინ, როდესაც ნიაღავის ზედაპირი $33-40$ °-მდეა გამობარი. თუ ნიაღავი ძლიერ გაცხელდა, მაგ., 45 °-მდე, კალიები წყვეტენ მოძრაობას, თავსდებიან ჩრდილში და იმყოფებიან გაყუჩებულ მდგომარეობაში.


ზრდადასრულებული კალია ორგვარად ფრენს: ერთს უწოდებენ მოკლე და წრისებრ ფრენას, მეორეს ემიგრაციულსა და პირველი ფრენა ხანმოკლეა და ამდროს კალია მცირე შენიშვინისა და გადის, მეორე კი ხანგრძლივია და მაშასადამე დიდ მანძილს გადის. ამასთან, მეორე ფრენას მეტ-ნაკლებად ახასიათებს მიმართულების განსაზღვრულობაც. ემიგრაციული ფრენის დროს მაღლა ადის ჰაერში, მოკლე და წრისებრი ფრენისას კი დაბლა იმყოფება ჰაერში. ფიქრობენ, რომ მოკლე ფრენა დაკავშირებულია კვებასთან და კვერცხის დებასთან.

კვერცხების დასადებად კალია გარეულ მოთხოვნილებას უყენებს ნაკვეთს. ასე, მაგ., აზიური კალია კვერცხებს დებს დაბლობ ტენიან ადგილებში, წყლის ნაპირებზე, მაროკოს და იტალიური კალია კი—მშრალ, ყამირ მიწებზე.

ჯოგურად მცხოვრებ კალიებს ერთნაირი სიღიდის ტერიტორია არ უკავიათ გამოჩეულიდან ზრდის დასრულებამდე. მათ მიერ დაკავებული ტერიტორია თანდათანობით იზრდება კალიების ზრდასთან ერთად. პლოტნიკოვის გამოანგარიშებით, თუ ჯოგთან ბრძოლა არ ჩატარდა, ტერიტორია კალიების დაფრთიანებამდე 130-ჯერ გაიზრდება. ტერიტორიის ასეთი დიდი ზრდა ხდება მაშინ, როდესაც ნაკვეთის ერთეულზე ძლიერ ახლო-ახლო მდებარეობს პარკუშები. როდესაც პარკუშები თხლადაა ნიადაგში, ჯოგის შემდგომი ზრდა ბევრად ნაკლებია.

კალიების ამა თუ იმ ნაკვეთზე დასახლება დამოკიდებულია ნაკვეთის მიეროვაზე. ცალკე სახეობა ინ სახეობათა ჯგუფი განსაზღვრულ მოთხოვნილებას უყენებს მიეროვას. მიკროვაზე კი, მაკროვაზის გარდა, გავლენას ახდენს ნაკვეთზე გავრცელებული მცენარეთა სახეობანი, მათი სიხშირე და სიმაღლე, ნიადაგის ტიპი და მისი მექანიკური შემაღლენლობა, რელიეფი, ტენიანობა და სხვ. ხშირად საქმიანობისა ბოცემულ ადგილას ერთი ჩამოთვლილთაგანი არ იყოს მისაღები კალიის გარკვეული სახეობისათვის, რომ იგი იძულებული გახდეს დასტოვოს ეს ადგილი. ამ სახეობის კალიებს ეკოლოგიურად არაპლასტიკურ კალიებს უწოდებენ და განსხვავდებიან მეორეთაგან, ე. ი. ეკოლოგიურად პლასტიკურთაგან იმით, რომ ისინი ნაკლებ მოთხოვნილებას უყენებენ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ კალიას ყველა პირობებში ერთნაირი
მოთხოვნილება არა აქვს. ადგილსამყოფელისადმი იღერჩეული
ლოეთიდან სამხრეთისაკენ იცვლება და თუ ჩრდილოეთში
რომელიმე სახეობა უფრო მშრალ ნაკვეთებზე გვხვდება და-
სახლებული, სამხრეთში მას უფრო ტენიან ნაკვეთებზე
ვხვდებით.

კალიას მრავალი მტერი ჰყავს. ამათგან უფრო მეტი მნიშ-
ვნელობა აქვს სოკო—ემპუზა გრილის, რომელიც ტენიან
წლებში დიდი რაოდენობით სპობს კალიებს როგორც მატ-
ლის, ისე იმაგოს სტადიაში. კალიას ბევრი მტერი ყავს პა-
რაზიტებიდან და მტაცებლებიდანაც, რომელთა მატლები იკ-
ვებება კალიის კვერცხებით.

ბრძოლის ღონისძიებანი ისეთივეა, როგორიც კუტეალიე-
ბის წინააღმდეგ (იხ. ქვემოთ).

კ უ ტ კ ა ლ ი ე ბ ი


დაზიანება. კუტკალიები აზიანებს ვაზის ფოთლებსა და
კვირტებს. მათ მიერ მიყენებული ზიანი უფრო თვალსაჩი-
ნოა გაზაფხულზე, როდესაც ვაზს ფოთოლი ჯერ კიდევ არა
აქვს გამოტანილი. ამ დროს ისინი ესევიან ვაზის კვირტებს
და მთლიანად ანადგურებენ. ამის გამო ვაზს უვითარდება
ყლორტების ნაკლები რაოდენობა და ამასთან დაკავშირე-
ბით მცირე მოსავალსაც იძლევა.

ალწერა. კუტკალია თავისი გარეგნული ნიშნებით ზოგადად
შაგავს კალიას. განსხვავდება იმით, რომ ულვაშები ბევრად
გრძელი აქვს, სხეულის სიგრძის ნახევარზე უგრძესი. ამას-
თან დედალ კუტკალიას აქვს გრძელი სპეციალური კვერც-
ხადები. მართალია კუტკალია ფრენს, მაგრამ კალიასთან
შედარებით ბევრად სუსტად.

გავრცელება. საქართველოს რაიონებიდან კუტკალია მა-
სობრივად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, სახელ-
დობრ: ალაზნის ველზე, მილარზე, სამგორში და გარე კახეთ-
ში. ამ იდგილებში კუტკალია გავრცელებულია საძოვრებზე,
სარეველა ბალახით მოდებულ კულტურულ ნაკვეთებზე და

მათ მიჯნებზე. კუტკალია ზოგიერთ წელს მასობრივად აზიანებს ვენახებს სიღნაღის რაიონში (წნორისწყლის მიდამუქურულა-ში), საღაც ამ დროს საჭირო ხდება მის მოსასპობად გეგმურობების ციალური ზომების მიღება.

ყოფა-ცხოვრება. კუტკალია ზამთრობს ნიაღაში კვერცხის სახით სხვადასხვა სიღრმეზე (2–3 სმ), რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახეობის კუტკალიას კუთვნის კვერცხი. ამა თუ იმ სახეობის კუტკალიას კვერცხსადები, რომლითაც ნიაღაში უშვებს კვერცხებს, სხვადასხვა სიგრძის იქნება.



სურ. 27. კუტკალია.

კუტკალია კვერცხიდან იჩეკება გაზაფხულზე. მისი ადრე თუ გვიან გამოჩეკა დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე. ჩვეულებრივ გამოჩეკა იწყება აპრილის დასაწყისში, მაგრამ თბილ ამინდებში იგი შეიძლება უფრო ადრეც მოხდეს, მაგ., მარტის შუა რიცხვებში. მასობრივად კუტკალია იჩეკება აპრილის შუა რიცხვებში.

ჰაერის ტემპერატურის გარდა, მატლების გამოჩეკის ვადები დამოკიდებულია ნიაღაში, ატმოსფერულ ნალექებზე და იმ სიღრმეზე, რომელზედაც მოთავსებულია კვერცხები. მატლი უფრო ადრე იჩეკება იმ ნიაღაში, რომლის ზედაფენები ძლიერ თბება, ვიდრე იმ ნიაღაში, რომელიც სუსტად თბება. გამოჩეკას აჩქარებს ატმოსფერული ნალექებიც. ამას გარდა, რაც უფრო ახლოა მოთავსებული კვერცხები ნიაღაგის ზედაპირთან, მით უფრო ადრე ხდება მათი დაჩეკა. კუტკალია მატლის სტადიაში იმყოფება ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში თანდათანობით იზრდება და აღწევს ზრდადასრულებულ ფორმას. ზრდადასრულებული კუტკალია გვხვდე-

ბა 15 სექტემბრაშიდე. ზრდის დასრულებიდან 18 დღის გან
ლის შემდეგ (სექტემბრის 1-ლი რიცხვებიდან) იწყებს კუმუტაცია
ხების დებას, რომელთა საერთო რიცხვი 42—62 გილაზითა
უდრის.

ამ მავნებლის ყოფაქცევა და კვება დღე-ლამის განმავ-
ლობაში ძლიერ არის დამოკიდებული ამინდზე. როდესაც
პაერის ტემპერატურა დაიწევს, მაგ., 14° -მდე, იგი წყვეტს
კვებას და ფოთლებქვეშ იმალება. ასევე იქცევა ძლიერი ქა-
რების, წვიმებისა და ღრუბლიანობის დროს.

კუტკალიას ჰყავს მრავალი მტერი, რომელთაგან ზოგი
სპობს მის კვერცხებს, ზოგი კი მატლებს და ზრდადასრულე-
ბულ ფორმებს. ასეთია სხვადასხვა სახის მწერები, ტკიპები,
ნემატოდები, ხვლიკები, ზღარბები და სხვ.

მავნებელი დიდი რაოდენობით იღუპება ზოგიერთი აგრო-
ტკინიური ლონისძიების გამოყენებით. მაგალითად, ხენის
დროს კვერცხების დიდი ნაწილი ამოიყრება ნიაზაგის ზედა-
პირზე, სადაც იღუპება მხის სხივების, ყინვების და სხვ.
გავლენით, ნაწილი კვერცხებისა კი ღრმად იმარხება ნიადაგ-
ში, გამოჩეკილი მატლები ვეღარ ახერხებენ მაღლა ამოსვლას
და იხოცებიან.

კუტკალიების საგრძნობი ნაწილი იღუპება გაზაფხულზედაც
არახელსაყრელი ამინდების გამო. ეს ხდება მაშინ, როდესაც
გაზაფხულზე მათი კვერცხებით მოდებულ ადგილებში ნაად-
რევად ისე დათბება, რომ კვერცხებიდან იჩეკებიან მატლები.
გამოჩეკის შემდეგ კი ხშირად ისევ ყინვები იწყება (მოდის
თოვლი) და ნაადრევად გამოჩეკილი მატლები ვერ იტანენ
სიცივეს და იღუპებიან.

ბრძოლის ხაშუალებანი. კუტკალიების მოსასპობად ყველა-
ზე ფართოდ იყენებენ მოშაამულ მისატყუებელ მასალებს,
როგორიცაა ქატო, კოპტონი, ბრინჯის ჩენჩო, ცხენის ბატი-
ვი და ნახერხი. ნახერხს მათ წინააღმდეგ წმინდა სახით არ
ხმარობენ, მას ქატოში ურევენ, რადგან ასეთი ნარევი უკი-
თესად ითანცება მავნებლით მოდებული ნაკვეთის დამუშა-
ვების დროს. მოსაშხამავად იყენებენ დარიშხანოვან ნატრიუმს
ან დარიშხანოვან კალციუმს 500—700 გ-ის რაოდენობით
24 კგ მისატყუებელ მასალაზე, პარიზის მწვანის 800 გ-ის ან

თეთრ დარიშხანს 500—700 გ-ის რაოდენობით იმავე წონის
მისატყუებელ მასალაზე.

ამ შხამების უქონლობის დროს იყენებენ ფტოროვანის ჰაეფტოროვან ნატრიუმს 1000—1200 გ-ის რაოდენობით 24 კგ მისატყუებელ მასალაზე.

კუტებალიების საშუალოდ გავრცელების შემთხვევაში, ერთ პაზე საჭიროა 24 კგ მასალა. ძლიერ გავრცელების დროს მასალის რაოდენობა უნდა გალიდდეს.

იმის მიხედვით, თუ რომელი შხამით წარმოებს ჩათთან ბრძოლა, მისატყუებელი მასალაც სხვადასხვა წესით შხად-დება. მაგ., დარიშხანოვანი ნატრიუმის გამოყენების შემთ-ხვევაში, მას წინასწარ ხსნიან ცხელ წყალში და შემდეგ ამ-ზადებენ მისატყუებელ მასალას. სხვა რომელიმე შხამის გა-მოყენების დროს საჭიროა წინასწარ არევა იმ მისატყუებელ მასალაში და შემდეგ ცივი წყლით დასველება. ფტოროვანი ნატრიუმით მოშხამული მასალა უნდა დამზადდეს იმნაირად-ვე, როგორც დარიშხანოვანი ნატრიუმით მოშხამული მასალა.

დასასველებლად 16 კილოგრამ მასალაზე საკმარისია 10 ლიტრი წყალი. მასალა ძლიერ არ უნდა დასველდეს, რაღაც ასეთ შემთხვევაში ძნელია მისი თანაბარი გაფანტვა.

აღნიშნული შხამებით დამზადებული მისატყუებელი მასალა (განსაკუთრებით დარიშხანოვანი ნატრიუმით ან დარიშხანო-ვანი კალციუმით) სწვავს მცენარეთა ფოთლებს, რის გამო ვაზის ფოთლებს არ უნდა მოხვდეს იგი. რაღაც კუტებალია ვენახებში გადმოდის მეზობელი, სარეველა ბალახებით მოდე-ბულ ან სათიბი ნაკვეთებიდან, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა, პირველ რიგში, ამ იდგილებში უნდა ჩატარდეს. თუ ამ ნაკვეთებზე კულტურული ნათესები არ არის, შესხურება შეიძლება ჩატარდეს პარიზის მწვანათი (50 გ 10 ლიტრ წყალზე) ან დარიშხანოვანი ნატრიუმით (30 გ იმავე რაოდე-ნობის წყალზე). როგორც ერთს, ისე მეორეს უნდა მიემა-ტოს ორჯერ მეტი კირი.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კარგ შედეგს იძლევა კუტებალიების კვერცხებით მოდებული ნაკვეთების გადახვნაც, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათთან ბრძოლის დროს.

დაზიანება. მიღმევევის ხოჭო ვაზის ფოთლების გაშრეს შეუძლია
დე დაბერილ კვირტებს აზიანებს. იგი კვირტზე აჩენს ორ-
მოებს. ფოთლების დაზიანების დროს ჩვეულებრივად ზედა
პარენქიმას ჭამს, ქვედა პარენქიმას კი არ ეხება; ფოთოლს
ყოველი მხრიდან იშვიათად აზიანებს. დაზიანება მოკლე ზო-
ლების სახით არის წარმოდგენილი. მოზარდ ფოთლებზე დარ-
ჩენილი დაუზიანებელი პარენქიმა წყდება და ამგვარად მასზე
მრავალი ნაჩერეტი ჩნდება. ზრდადასრულებულ ფოთლებზე
დარჩენილი პარენქიმა ჩვეულებრივად არ წყდება. დაზიანების
შემდგომი სახეა ფოთლების მილად დახვევა; ასეთი ფოთლე-
ბი ვაზიდან უკვე ძირს ცეივა.




სურ. 28: ვაზის ცხვირგრძელასაგან დაზიანებული ფოთლები.

აღწერა. ხოჭოს ზედა ფრთებზე აქვს წერტილების მწერივე-
ბი. ბრჭყალები განკეთილი აქვს, სხეულის ზედა მხარე ლი-
თონისებრი, ტიტველი, მომწვანო ოქროსფერია, ლურჯი ან
მეტნაკლებად მწვანე. ფრთების მიხედვით ეს მავნებელი რამ-
დენიმე აბერაციისაგან შედგება: 1. ლურჯფრთიანი, 2. მოი-
სფრო-ლურჯი ზედაფრთებით, სხეულის დანარჩენი ნაწი-



ლი მწვანე, 3. მწვანე ზედაფრთხებით და მოიისფრო-ლურჯი სხეულით, 4. მთლად მომწვანო სპილენძის ფერი. ხოჭოს ჟირაბითია გრძე 5,5—9 მმ-ს უდრის.



სურ. 29. ვაზის ცხვირგრძელას ხოჭო (თავისა და მკერდის ნაწილი).

კეერცხი ოვალურია, სიგრძით 1 მმ და სიგანით 0,75 მმ. მატლი უფერულია მოყავისფრო თავით, ჯაგრებით სხეულზე, სიგრძით 6—8 მმ.

საქართველოში იგი ყველგან გეხვდება, მაგრამ მევენახეობისათვის მცირე უარყოფითი მნიშვნელობა აქვს.

უოფა-ცხოვრება. ეს მავნებელი ზამთრობს ხოჭოს სახით წაადაგში. ჩვეულებრივად ზამთრობილან გამოდის მაისსა და აპრილში არა ერთბაშად, არამედ გაჭიანურებულად.

ხოჭოების მეტი ნაწილი ზამთრობილან მაშინ გამოდის, როდესაც ყლორტები კვირტებიდან ოდნავ განვითარებულია. ადრე გამოსული ხოჭო ღრღნის დაბერილ კვირტებს და ღრმა ორმოს აჩენს. ფოთლების განვითარების შემდეგ ხოჭო ფოთლებზე გადადის; აქ იგი, როგორც წესი, ფოთლის ზედა

მხარეზე თავსდება და აზიანებს მას. შედარებით იშვიათად
აზიანებს ფოთლის ქვედა მხარესაც.

მავნებელი კვების დროს უპირატესობას ვაზს აძლევს, შეგ-
რამ ხშირად მსხალზედაც ვხვდებით. ეს ორი მცენარე მისი
ძირითადი საკვები მცენარეებია. ისე კი მის მიერ გამოწ-
ვეულ დაზიანებას, თუმცა მცირე რაოდენობით მაგრამ მაინც
ეხვდებით არყვე, თხილზე, ქოლოზე, ცაცხვზე, მუხაზე, ალვის
ხეზე, ვერხვზე, კომშზე, ბალზე, ვაშლზე, ქლიავზე, ნეკერ-
ჩხალზე და სხვ., რაც მის პოლიფაგობას ამტკიცებს. კვების
დროს იგი უპირატესობას ყოველთვის ნაზსა და შეუბუსავ
ფოთლებს აძლევს.

წინასწარი კვების მიღების შემდეგ, რაც საჭიროა მათი
სქესობრივი მომწიფებისათვის, ხოჭოები ულლებიან. შეულ-
ლება ხდება ზამთრობიდან გამოსვლიდან 8—10 დღის შემ-
დეგ. შეულლების შემდეგ დედალი ხოჭო ფოთლისაგან ამზა-
დებს მილს (სიგარას), რადგან იგი მხოლოდ მასში ათავსებს
კვერცხებს. ამ დროს იგი ჩვეულებრივად ვაზის ერთი ფოთ-
ლით კმაყოფილდება, იშვიათად კი ორ ფოთოლს ან მთელ
ყვავილებს ახვევს. მსხალზე ხოჭო რამდენიმე ფოთლისაგან
აკეთებს მილს. მილის გასაკეთებლად მავნებელი დამკენარ
ფოთლებს იყენებს. ფოთლის დასაკენობად იგი წინასწარ გა-
დალრნის ხოლმე ფოთლის ყუნწს შუა ადგილას იმგვარად,
რომ ეპიდერმისი ძლიერ არ დაზიანდეს. ამ დაზიანების შე-
დეგად წვნის მოძრაობა ფოთოლში წყდება და ფოთოლი
ჩამოეკიდება, ოლონდ არ ვარდება ძირს მანამდე, სანამ მის-
გან მილი არ გაკეთდება და შიგ ხოჭო კვერცხებს არ ჩა-
დებს.

როცა ერთ ყუნწს გადალრნის, ხოჭო გადადის მეორეზე,
მესამეზე და ა. შ., სანამ საჭირო რაოდენობით არ დაამზადებს
ფოთლებს კვერცხების მოსათავსებლად.

თითოეული დედალი ხოჭო დღეში 1—2 მილს აკეთებს.
მილს იგი ახვევს ფოთლის ერთ-ერთი ნაპირიდან.

თითო დედალი ხოჭო მთელი თავისი სიცოცხლის განმავ-
ლობაში 22—30 მილს აკეთებს. მილის დახვევის პროცესში
იგი კვერცხებსაც დებს.

თითოეულ მიღწი მასობრივი გამრავლების წლებში, ხშირად
15 ცალი კვერცხი შეიძლება იყოს, ჩვეულებრივად კი 4-5 კვერცხი განვითარება
ცალია.

ემბრიონული განვითარება კვერცხში 8—16 დღეს გრძელ-
დება.

კვერცხებიდან მატლების გამოჩეულის შემდეგ მიღწი ვაზი-
დან ვარდება ძირს, საიდანაც ნიადაგში ხვდება და ლპება.
ხრწნაში შესული ფოთოლი კი მატლებისათვის საუკეთესო
საკვებს წარმოადგენს; მატლი ლრნის მიღწის მთელ შიგნე-
ულს, იზრდება და აღწევს 6—8 მმ-ს. მატლის სრული განვი-
თარებისათვის საკმარისია 21—35 დღე.

მატლი იჭუპრებს ნიადაგშივე მიწის ბუდეში, 6—8 სმ-ის
სიღრმეზე. ჭუპრის სტადია გრძელდება 7—14 დღეს. ამგვა-
რად ეს მავნებელი იმავე წელიწადს იძლევა ხოჭოებს და
აქვს ერთი თაობა. ხოჭოების უმეტესი ნაწილი შემოდგომას
და ზამთარს ბუდეებში ატარებს. მხოლოდ მათი მცირე ნა-
წილი ამოდის მაღლა და ვაზის ფოთლებს აზიანებს. სიცი-
ვების დაწყებისთანავე ხოჭო იზამთრებს ჩამოცვენილ ფოთ-
ლებები.

ბრძოლის საშუალებანი. ამ მავნებელთან ბრძოლის ერთ-
ერთ კარგ საშუალებად ხოჭოებისა და მათ მიერ დახვეული
ფოთლების შეგროვება და მოსპობა უნდა ჩაითვალოს. ეს
ღონისძიება საჭიროა რამდენიმეჯერ გატარდეს აპრილსა და
მაისში.

მის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ქიმიური მეთოდითაც.
იგი ტარდება დარიშხანული კალციუმის შეფრქვევით ხოჭოე-
ბის პეპლაობის დაწყებამდე.

კვირტის ჭია ანუ ბუკნა

დაზიანება. იმის მიხედვით თუ ამ მავნებლის მატლი ვაგი-
რაციის რომელ დროს იმყოფება ვენახში, აზიანებს ვაზის
კვირტებს ან ფოთლებს. იშვიათ შემთხვევაში მესამე ასაკის
მატლი აზიანებს ერთსაც და მეორესაც. რაც შეეხება დაზია-
ნების სიღილეს, იგი ცვალებადობს მატლის ასაკის მი-
ხედვით.

ა. ვაზის მთავარი მავნებლები.

პირველი და მეორე ასაკის მატლები, რომლებიც ფოთოლის შედეგიან, ვამენ ფოთოლს ქვედა მხრიდან. ასეთი მესამე ასაკის მატლები ცხოვრობენ ფოთლის ზეტულის შედეგი და, მაშასადამე, აქედანაც აზიანებენ მას. მატლი, როგორც წესი, მესამე ასაკშივე ზამთრობს და აგრძელებს თავის საზიანო მოქმედებას გაზის მიმართ გაზაფხულზე. ამ დროს იგი კვირტებით იკვებება.

ზამთრობიდან გამოსვლის შემდეგ მატლი კვირტებს გარედან აზიანებს და თანდათან ჩადის შიგნით. ბოლოს მთლად კვირტში თავსდება. ამგვარად დაზიანებულ კვირტს გარედან მეტად წვრილი ხერელი ემჩნევა. მატლი ონ მთლად გამოლოდნის კვირტის შიგნეულს ონ მხოლოდ მის ნაწილს და შემდეგ ახალ კვირტზე გადავა. კვირტის გარეთა ნაწილებს მატლი ორ ეკარება. პირველი სახის დაზიანების დროს კვირტიდან ყლორტი სრულიად ორ ვითარდება, ხოლო მეორე ხასიათის დაზიანების დროს იშვიათად ხდება ყლორტის განვითარება.

ამ ასაკის მატლი ზოგჯერ კერ ასწრებს კანის გამოცვლას კვირტების გაშლამდე და, მაშასადამე, მას კიდევ ერთხელ ეძლევა ფოთლით კვების საშუალება.

მეოთხე ასაკში მატლი (გარდა იმ მატლებისა, რომლებმაც ამავე ასაკში დაიზამთრეს და კვირტებით იკვებებოდნენ გაზაფხულზე) ძირითადად ფოთლებით იკვებება. იგი, როგორც წესი, ფოთლის ქვედა, იშვიათად ზედა მხარეზე ზის და იქვე იკვებება. კუნძულის შეფეგად მრავალ სხვადასხვა სახის დაზიანებას იწვევს ფოთლობზე. ფოთლის ქვედა მხარეზე მჯდომი მატლი სჭამს მთელ სიჩბილეს და ტოვებს შეუჭელს მხოლოდ ძარღვებს.

მეხუთე ასაკის მატლები ფოთლის ზედა მხარეზე იმყოფებიან და აზიანებენ მას. ფოთლის ქვედა მხარეზე ისინი იშვიათად არიან. ამ ასაკმდე თუ მატლი მხოლოდ შიგნითა ნაწილებს აზიანებდა, ახლა უკვე მის ნაპირებსაც აზიანებს. ამასთან, ჰეხუთე ასაკის მატლი თითქმის მუდამ მთლიანად გამოსჭამს ფოთოლს, ე. ი. იშვიათად ტოვებს ეპიდერმისს შეუჭმელს.

განსაკუთრებით ღიდ ზიანს აყენებს ფოთოლს მეექვსე ასაკის მატლი. იგი ყოველთვის ჭამს წვრილ ძარღვებს, ზოგჯერ მსხვილ ძარღვებსაც და ტოვებს მხოლოდ ფოთლის ყუნწს.

კვირტის ჭიას მთავარი ზიანი მოაქვს გაზაფხულზე კვირტების გაშლამდე. ამ დროს ხშიროდ 50%-მდე აზრის გაზის კვირტებს. ასეთ ვაზზე მცირე რაოდენობით ვითარდება ყლორტები. ძლიერ დაზიანების შემთხვევებში ვაზს ყლორტი მძინარე კვირტიდან გამოაქვს. ასეთი დაზიანების შედე-



სურ. 30. კვირტის ჭია: 1 და 2—დედალი და მამალი პერლა, 3—მატლუნი ვაზის რქაში, 4—დაზიანებული კვირტი, 5—დაზიანებული ფოთოლი.

გად ვაზი თანდათან სუსტდება, მოსავალს ამცირებს და ბოლოს სრულიად ხმება. იმ ვენახებში, რომლებშიაც კვირტის

ჭია მასობრივად არის მოდებული, ხშირად კალოკალოზი /
გვევდება დაღუპული ნაკვეთები. სარიცხული/

გაფრცელება. იგი მეტ-ნაკლებად მასობრივი სახით გავრცე-
ლებულია: მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ორჯონიქიძის, ჩხარის,
ჭიათურის, გორის (ატენის ხეობაში), საგარეჯოს (ხაშვში),
კასპისა (ალიანში) და თბილისის (გლდანში) რაიონებში.

აღწერა. პეპელა გაშლილი ფრთებით 22—25 მმ სიგრძი-
საა, სხეულის სიგრძე 9—10 მმ-ია. პეპლის სხეულის ზედა
მხარე ბრჭყვიალა ლურჯია, ქვედა მხარე კი მუქი, არა-
ბრჭყვიალა; ზედა ფრთები მუქი ყავისფერია და გადაჭრავს
ბრინჯაოსებრი ელფერი. მამალს გრძელი სავარცხლისებრი
ულვაშები აქვს, ხოლო დედალს — მოკლე.

კვერცხი სიგრძით 0,7 მმ-ია, სიგანით 0,5 მმ; ახალდადე-
ბული კვერცხი მოყვითალოა; მისი ზედაპირი ბაღისებრი
სტრუქტურისაა.



სურ. 31. ბუქნა: 1 — კვერცხი; 2 — მატლი; 3 — დაზიანებული ფოთოლი.

ახალგამოჩეული მატლი მკრთალი ყვითელია, შავი ზურგით
და თავით; სიგრძით 1 მმ-მდე იღწევს; 2—3 დღის კეების
შემდეგ მომწვანო ფერს იღებს. მეორე ასაკის მატლი მკრთა-
ლი ყვითელია, სიგრძით 3 მმ და სიგანით 1 მმ; სხეულშე
საკმაოდ მრავალი ლია ფერის ბეჭვი მოეპოვება. ამასთან,
ზურგზე, მკერდის მხრიდან, მას გასწვრივად 2 მოწითალო
ხაზი გასდევს; მესამე ასაკის შემდეგ მატლი მომწვანო და

ყვითელი შეფერებით ხასიათდება; ამ დროს 5 მმ სიგრძისაა
ზურგზე აქვს 3 წითელი ზოლი და გვერდებზედაც 2 (თითო
შხარეზე თითო), რომლებიც თანდათან მუქდება. ამ პრეცენტით
მას უჩნდება პატარა უფერული მეპეპები; მეოთხე ასაკის
მატლს ზურგზე წითელი ფერი ისევ რჩება, გვერდებზე არ-
სებული ზოლები კი მუქ წითელ ფერს იღებს. ბეჭვებიანი
მეპეპები მოწითალო-მურა ფერისაა. მატლის სიგრძეა 6—7 მმ;
მეხუთე ასაკის მატლის სიგრძე 9—10 მმ-ია, მეექვსისა კი
14—15 მმ.

კუპრი ყვითელია, მრავალი შავი წერტილით და ზოლით;
სიგრძით 9—11 მმ; სამამლე კუპრი უფრო პატარაა, ვიდრე
სადედლე. კუპრი მოთავსებულია თხელ პარკში.

ყოფა-ცოფრება. როგორც მკელევართა დაკვირვებებიდან
ჩანს, კვირტის ჭია, კლიმატური პირობების მიხედვით, სხვა-
დასხვა სტადიაში ზამთრობს. იტალიაში, მაგ., ზამთრობს
კუპრის, საფრანგეთში კვერცხის, ხოლო სხვა ქვეყნებში მატ-
ლის სტადიაში. თვით მოზამთრე მატლებს ერთ რომელიმე
ასაკში არ ხედებიან. სმოლიანი კოვის დაკვირვებით,
დერბენტში მატლები მესამე და მეოთხე, ხოლო დასავლეთ
საქართველოში მეორე, მესამე და მეოთხე ასაკში ზამთ-
რობენ.

დასახამთრებლადაც ყველა რაიონში ერთნაირ ადგილებს
არ ირჩევს. დასავლეთ საქართველოში იგი იზამთრებს ვაზის
შტამბისა და ჭიგოების ამსკდარ ქერქევეშ, ჭიგოებისა და
სარების ფულუროებში და აგრეთვე ვაზის ყლორტების გულ-
ში. დერბენტში ამ ადგილებს გარდა ზამთრობს გარეული
კამის, ვარდაჭავაჭას და ზოგიერთი თავთავიანი მცენარის ლე-
როებშიაც.

დაზამთრების წინ მატლი იქეთებს თეთრ, თხელსა და
მკერივ პარკს და შიგ თავსდება. დასავლეთ საქართველოში
ზამთრობით, როდესაც ჭიგოები ძველია და დამპალი, მატ-
ლები შემდეგნაირად ნაწილდებიან:

| | |
|----------------------------------|-------|
| ვაზის ყლორტების გულში | 37,5% |
| ვაზის შტამბის ქერქევეშ | 12,5% |

სარის ქერქვეშ, მის ნაპრალებში და

დამპალ ნაწილებში

40%

ასახვევ მასალაზე

5%

ხმელ ფოთლებზე

5%

როდესაც ვენახში ახალი უქერქო ჭიგოებია, მოზამთრე გატლების 70% ვაზის ყლორტების გულშია მოთავსებული (ნ. სიფროშეილი). მატლების ზამთრობაზე საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩატარებული აგრონომ ქათამაძეს. იგი შემდეგ სურათს იძლევა მათი განაწილების შესახებ:

სარის ნაპრალებში და დამპალ ნაწილებში

ზამთრობს

31%

ვაზის შტამპის ნაპრალებში

10%

სარის ქერქვეშ

12%

ვაზის შტამპის ქერქვეშ

15%

ვაზის ასახვევ მისალაზი

2%

ვაზის ყლორტის გულში

18%

ფოთლებზე

4%

ვაზის ყლორტების კანქვეშ და კვირტების

ფუძესთან

8%

ვაზაზულზე მატლების ზამთრობიდან გამოსვლის ვადები ამინდებზე არის დამოკიდებული და ამიტომ წლების მიხედვით ეს ვადები ძლიერ იცვლება. ვაზის ფენოლოგიასთან დაკავშირებით მატლების ზამთრის ძილიდან გამოსვლა ხდება კვირტების მასობრივად გაღივებამდე 3—4 დღით ადრე ანდა იგი ემთხვევა მასობრივი გაღივების დასაწყისს.

ზამთრობიდან მატლები უცებ არ გამოდიან. იგი გაჭიანურებულია და დამოკიდებული, ერთის მხრივ, მათი ზამთრობის ადგილებზე და, მეორე მხრივ, ამინდის მდგომარეობაზე მათი გამოსვლის პერიოდში. ეს პერიოდი დერბენიში უდრის 10—16 დღეს, ხოლო ზესტატონში 12—14 დღეს. ცხადია, ნიადაგის ზედაპირთან ახლო მდებარე და ამასთან სამხრეთისაკენ მიქცეული ნაწილებიდან უფრო ადრე გამოვლენ მატლები ზამთრობიდან, ვიდრე ვაზის მაღლა მდებარე და ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ნაწილებიდან.

მთავარ ზიანს გაზის ზამთარგამოელილი მატლი აყენებს, რადგან მისი ზამთრის ძილიდან გამოსვლა ხდება მაშინ, როგორც კულტურული ვაზე მხოლოდ კვირტებია. ამ დროს მატლი გადადის კვირტზე, შედის მის შიგნით და ლრღნის მის ყველა ნაწილს; ამის შედეგად ვაზი ივითარებს მცირე რაოდენობის ყლორტებს, რის გამოც ძლიერ მცირდება მოსავალი.

ფოთლის განვითარებისთანავე მატლი გადადის და იწყებს მის დაზიანებას. ამ დროს მატლი ვითარდება, იცელის კანს ექვსჯერ (მეექვედ დაჭუპრების წინ, რაც ასაქების გარჩევაში არ შედის) და იჭუპრებს, მაგრამ სანამ დაიჭუპრებდეს საკმაოდ დიდხანს იმყოფება ჭუპრის წინა სტადიის მდგომარეობაში. სიფროშვილის დაკვირვებით, ზრდის დასრულების შემდეგ მატლი იკუმშება (იკრუნჩხება) და ასეთ მდგომარეობაში 2—4 დღეს იმყოფება უმოძრაოდ. ამის შემდეგ იკეთებს თხელ ბუდეს, რისთვისაც თხელი აბლაბუდით ამაგრებს ქერქს ვაზზე ანდა სარის ქერქს სარზე. ამ ბუდეში მატლი 17—20 დღეს რჩება, შემდეგ იკეთებს ნამდვილ პარკს. პარკის გაკეთებას 2—3 დღეს ანდომებს, რის შემდეგ შიგ თავსდება. აქაც 6—7 დღე ჭუპრის წინა (prepup) მდგომარეობაში იმყოფება და ისე იჭუპრებს. ამგვარად, ზრდის დასრულებიდან მატლის დაჭუპრებამდე გადის 27—34 დღე.

სიფროშვილის დაკვირვებით, მატლების დაჭუპრება დასავლეთ საქართველოში ხდება ვაზისა და სარის ამსკდარი ქერქის ქვეშ, სარების ფულუროებში და მათ დამპალ ნაწილებში და, როგორც მეტად იშვიათი გამონაკლისი, ფოთლებზედაც. მათი ამ აღგილებში პროცენტული განაწილება ასეთია:

| | |
|--------------------------------------|-----|
| ვაზის ქერქმვეშ | 34% |
| სარის ქერქმვეშ, მის დამპალ ნაწილებში | |
| და ნაპრალებში | 66% |

აგრ. ქათამაძე კიდევ უფრო ზესტ ცნობებს იძლევა ჭუპრების განაწილების შესახებ. მის მიერ წარმოებული ალრიცხვებით, ჭუპრები ვაზის შტამბის სიმაღლის, ვაზის ასაკისა და სარების მდგომარეობის მიხედვით სხვადასხვანაირად ნაწილდებიან.

მაღალტანიან ვაზებზე, რომლებსაც ბევრი აქვს ამსკდარი ქერქი, თუნდაც რომ სარები ძეველი და დამპალი დამპალი დეს, ჭუპრები სხვადასხვა ნაწილზე შემდეგი რაოდენობით გვხედება:

| | |
|----------------------------------|-------|
| ვაზის შტამბზე | 56,5% |
| სარზე | 39% |
| ფოთლებზე | 3% |
| ვაზის ასახეევ მასალაზე | 1,5% |

სურათი იცვლება, როდესაც ვაზი ახალგაზრდაა და, მაშასადამე, ამსკდარი ქერქი შტამბს მცირე აქვს. აქ, იმ შემთხვევაში თუ სარი ძეველია, ჭუპრები ასე არიან განაწილებული:

| | |
|----------------------------------|-----|
| სარზე | 52% |
| ვაზის შტამბზე | 41% |
| ფოთლებზე | 5% |
| ვაზის ასახეევ მასალაზე | 2% |

ზოგჯერ, თუ ვენახში სოია და სიმინდია გამოთხვილი, ჭუპრებს სოიას ლეროზე და სიმინდის ფოთლის ილლიებში ვჰვდებით.

როგორც სმოლ დანიკოვის დაკვირვებიდან ჩანს, კვირცის ჭიას დასაჭუპრებელი დაგილები დერბენტში მეტი იქვს. იგი იჭუპრებს დამატებით ნიაღავის დამსკდარ ადგილებში და აგრეთვე ქვების, ფიცრების, ვენახში შემთხვევით მოხვედრილი ჩერების და სხვ. ქვეშ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძველი ჩერების ქვეშ უნახავთ 50-მდე პარკი ჭუპრით. მისივე გამოკვლევით დერბენტში ჭუპრების განაწილება ნიაღავში სილრმის მიხედვით ასეთია: 2 სმ-ის სილრმეზე — 54%, 1 სმ-ის სილრმეზე — 26%, და 3 სმ-ის სილრმეზე — 10%. მატლები ვაზზე ნიაღავის ზედაპირთან ახლო მდებარე ნაწილებს ირჩევენ დასაჭუპრებლად.

ვაზის მწვანე ნაწილებს მატლები დასაელეთ საქართველოში მაისიდან თანდათანობით ანებებენ თავს და მიღიან დასაჭუპრებლად, რასაც ამფავრებენ ივნისის დასაწყისში. დერბენტში კი დასაჭუპრებლად წასვლა იწყება ივნისის პირველ დეკადაში და გრძელდება ერთ თვეს.

ჭუპრის სტადიას, ამინდების შიხედვით, სხვადასხვა  ცოდნული სკირდება. ლაბორატორიულ პირობებში დაყენებულ ჭუპრის აგრ. ქათამაძემ ჭუპრის სტადიის შემდეგი ხანგრძლიობა მიიღო:

| ჭუპრის გარეშე | სანგრძლიობა დღეების |
|---------------|---------------------|
| ტემპერატურა | მიხედვათ |
| 32° C | 9—9,5 |
| 28 " | 11,5 |
| 24 " | 13,5 |
| 22 " | 15 |
| 18 " | 17 |
| 16 " | 22 |

ჭუპრის სტადია ბუნებაში 15—18 დღე გრძელდება.

ბუნებაში პეპლების გამოფრენის დასაშენისი, მასობრივი გამოფრენა და გამოფრენის დამთავრება, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ყველა წელს ერთსა და იმავე კალენდარულ ვადებში არ ხდება. გამოფრენა იწყება 16 ივნისსა და 27 ივნისს შორის, ხოლო მასობრივი გამოფრენა ხდება პირველ ივლისსა და 15 ივლისს შორის.

პეპლები ფრენენ დილით და სალამოთი, დილით 6-დან 12 საათამდე, სალამოთი 5-დან 8 საათამდე. სხვა დროს, აგრეთვე ქარიან ამინდში, ისინი ნაკლებად ფრენენ. სრულიად არ ფრენენ წვიმიან ამინდში.

ფრენის უნარი მამალს მეტი აქვს, ვიდრე დედალს. პეპლის ფრენის სიმაღლე 5—6 მეტრს უდრის.

პეპლაობა დღისით წარმოებს. დედალი პეპელა კვერცხების დებას იწყებს შეულლებიდან 1—3 საათის შემდეგ, ზოგჯერ კი მეორე დღეს.

საქმაოდ დიდია პეპლის კვერცხის პროდუქცია, იგი მაქსიმალურად 720 ცალ კვერცხს უდრის.

დედლები დებენ კვერცხებს დაუპეპლავადაც, მაგრამ ასეთ კვერცხებში ჩანასახი არ ვითარდება, 2—3 დღეში კვერცხები ჰქნება და ილუპება. პეპელა ყველა კვერცხს ერთბაშად არ დებს. კვერცხის დება გრძელდება 7—10 დღე. ამასთან პეპელა კვერცხის მთელ თავის პროდუქციას მთლიანად არ დებს. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც რჩება ხშირად მის საკვერცხეში კვერცხები, რომელთა რიცხვი 2—18 ცალს უდრის. დადებულ კვერცხებს პეპელა, როგორც წესი,

ვაზის ფოთლის ქვედა მხარეზე ათავსებს, ზოგჯერ მის ზედა მხარეზე და კიდევ უფრო იშვიათად მტევნებზე, ყლობულების წვეროებზე და სარეველებზედაც. კერპხები ჯგუფ-ჯგუფადა მოთავსებული, ჯგუფში 100-დან 300 ცალამდე; კერპხები ჩვეულებრივად ერთ ფენად, იშვიათად ორ და კიდევ უფრო იშვიათად სამ ფენად არის ჩაწყობილი.

ვენახებში პირველი კერპხები შენიშნულია ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, მასობრივად კი ივნისის მეორე დეკადაში. ივლისის ბოლოს კერპხებს ველარ ვხედებით. პეპლების ფრენის პერიოდი საკმაოდ გაჭიანურებულია და გრძელდება 35—40 დღე. ამის მიხეზია ის, რომ მატლები ზამთრის ბუდიდან სხვადასხვა დროს გამოდიან და სხვადასხვა ხნოვანების არიან.

ემბრიონული განვითარების ხანგრძლიობა ტემპერატურის მიხედვით სხვადასხვანაირია და აგრ. ქათამაძის გამოცვლევით უდრის 15° -ზე— $20,4$, 21° -ის პირობებში— $11,2$, 24° -ზე— $9,2$, 30° -ის პირობებში კი— $7,4$ დღეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ გადაჭარბებული ტენიანობის პირობებში 32° -ზე კერპხების ნაწილში ემბრიონი ვერ ვითარდება და იღუპება, ხოლო 35° -ზე ყველა კერპხი იღუპება.

ახალგამოჩეკილი მატლები ცოტა ხანს იმყოფებიან იქვე, სადაც გამოიჩეკენ, ერთი დღის შემდეგ კი ფოთლებზე იფანტებიან და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მატლი ამ დროს განსაკუთრებით ეტანება ნორჩ ფოთლებს. იგი ყოველთვის ფოთლის ქვედა მხარეზე იმყოფება.

მატლს პირველი კანის გამოცვლამდე, ე. ი. მეორე ასაკში გადასვლამდე, 7 — $7,5$ დღე სკირდება. ამ დღეებში შედის ის ორი დღეც, როდესაც მატლი კანის გამოცვლის წინ საკვებს აღარ იღებს.

მეორედ კანის გამოცვლა, ე. ი. მესამე ასაკში გადასვლა, $5,5$ დღის შემდეგ ხდება. ახლაც 2 — $2,5$ დღე მატლი კანის ცვლის გამო საკვებს აღარ იღებს. ამ ასაკში მატლი $3,5$ — 5 დღე და ზოგჯერ მეტ ხანს ცხოვრობს ფოთლებზე, რის შემდეგ გადადის საზამთრო მდგომარეობაში.

ამგვარად, როგორც წესი, მატლი მესამე ასაკში ზამთრობს, მაგრამ არის მცირე შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოში მატლი მეოთხე ასაკში და კიდევ უფრო იშვია-



მესამე ასაკის, ე. ი. მოზამთრე მატლის განვითარებაში მესამე კანის გამოცვლამდე ბუნებრივ პირობებში საშუალოდ 12,5 დღე სჭირდება, მეოთხე ასაკისას—9, მეხუთე ასაკისას—10,5 და მეექვსე ასაკისას—7,7 დღე. ამგვარად, ზამთრობიდან გამოსვლის შემდეგ მატლს ზრდის დასრულებამდე საშუალოდ 41,9 დღე სჭირდება, აქედან უშუალოდ კვებაზე საჭიროა 24,9 დღე, უჭირელობის მდგომარეობაში ყოფნისათვის (კანთა ცვლის წინ) კი—41,9 დღე.

როგორც აღვნიშნეთ, მატლის სტადიის ეს ხანგრძლიობა საშუალოა და სხვა ტემპერატურულ გარემოში მოხვედრის დროს, ცხადია, იგი შეიცვლება.

პირველი, მეორე და მესამე ასაკის მატლის ფოთლებზე ცხოვრების პერიოდი მის დაზამთრებამდე ხანგრძლივია და უდრის 2—2,5 თვეს (ივლისი, აგვისტო და სექტემბრის ნაწილი).

როგორც ნ. სიტროშვილისა და ქათამაძის დაკვირვებიდან ჩანს, დასაცლეთ საქართველოში კვირტის ჭია ერთ თაობას იძლევა. არის შემთხვევები, როდესაც იგი ბუნებრივ პირობებში მეორე თაობასაც იძლევა, მაგრამ ასეთ შემთხვევათ რიცხვი მცირეა და შეადგენს სულ $3-5\%$ -ს. ამ თაობის მატლებს განსავითარებლად უფრო მეტი დრო სჭირდება (58 დღე). ამ მატლების ნაწილი იღუპება, ნაწილი კი ასწრებს ერთხელ კანის გამოცვლას და ამგვარად მეორე ასაკში ზამთრობს.

ზრდოლის ღონისძიებანი. როგორც ცნობილია, ვენახებში ზამთრობით, სარების ამსკდარი ქერქის ქვეშ და მათ ნაპრალებში, დიდი რაოდენობით ბინავდებიან მატლები. მატლების რაოდენობა ახალგაშენებულ ვენახებში ხშირად მთელი მოზამთრე მატლების 53% -ს და ძეველ ვენახებში $32,5\%$ -მდე აღწევს. ცხადია, პირველ რიგში ბრძოლის ღონისძიება მათ წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული. მატლების მოსასპობად ორი შემდეგი საშუალებიდან შეიძლება ერთ-ერთი გამოვიყენოთ.

1) შემოდგომით, ზამთარში ან ადრე გაზაფხულ-

ზე ვენახებიდან გავიტანოთ სარები და ვენახის მოშეორების
დაყალაგოთ ერთ ადგილას. ვინაიდან გაზაფხულზე, როდესაც
საქმაოდ დათბება, ამ სარებშე დაზამთრებული მატლების დაკა
რეთ გამოდიან, საკებებისათვის იწყებენ ცოცეას და შეიძლება
ისევ მიაღწიონ ვაზამდე, მათი მოძრაობის დაწყებამდე, სა-
რების გარშემო თხრილი უნდა გაეყენდეს და წყლით აივსოს.
წყალს ზემოდან ნავთი მოესხას ისე, რომ მან წყლის ზედაპი-
რი მთლად დაფაროს. ნავთის მოქმედებით მატლები იღუპე-
ბიან.

2) იმავე პერიოდში სარები უნდა მოთავსდეს ნავთ-კირის
ემულსიაში. ემულსის დასამზადებლად იღებენ 600 გრამ
ნავთს და 200 გრამ დაშლილ კირს 12 ლიტრ წყალზე. ემულ-
სიაში სარები $\frac{1}{2}$ —1 საათით უნდა გაჩერდეს.

ამ ლონისძიებათა გატარებამდე სარები უნდა გასუფთავ-
დეს ამსკდარი ქერქისა და დამპალი ნაწილებისაგან. უკანას-
კნელი დაუყოვნებლივ უნდა დაიწვას.

ამასთან ერთად მავნებლით მოდებული ვენახი უნდა გა-
სუფთავდეს ვაზის შტამპის ამსკდარი ქერქისაგან და უკანასკ-
ნელი დაიწვას.

კარგ ეფუძეტს იძლევა აგრეთვე ვაზის ყლორტების გასხვლა
დიაფრაგმაზე და შემდგომ მათი დაწვა.

უნდა აიკრძალოს ვაზის რქების ლობეებად გამოყენების
პრაქტიკა, რადგან ეს ქმნის მავნებლის გავრცელების ერთ-
ერთ სერიოზულ კერას.

მატლების ზამთრობიდან გამოსვლის წინ სამამულე და სა-
ნაყოფე რქებს ფუძეში უნდა გაუკეთდეს მატლის წებოს
რგოლები. ვინაიდან წებო წვევს კვირტებს და ნორჩ ყლორ-
ტებს, რქებს სქელი ქალალდი (1.5 სმ სიგანის) უნდა შემოეკ-
რას ირგვლივ მკვრივად და ამ ქალალდს წაესვას წებო. წებო
ერთხელ წაესმება მხოლოდ, რადგან მატლების გამოსვლა
ზამთრობიდან ორ კვირას გრძელდება და, თუ წებო კარგი
ხარისხისაა, ამ ხნის განმავლობაში არ დაკარგავს თავის მიმ-
კრელობითს უნარს.

პირველი ფოთლების გამოჩენისთანავე სასურველია დარიშ-
ტანული ქალციუმის (ქალციუმის არსენატის) ან მერიიტოლის
შეფრევევა. თუ კი მეურნეობაში ეს პრეპარატები არ მოიპო-
ვება, შეიძლება პარიზის მწვანას შესხურება. სამუშაო ხსნა-

რის დასამზადებლად ლიტრ წყალზე იღებენ 1,5 გრამ პარიზ
ზის მწვანის და 3 გრამ ახალდაშლილ კირს. დარიშხანულობის კალკიუმის და მერიტოლის შეფრქვევა პირდაპირ იმ სახით
შეიძლება, რა სახითაც იგი მზადდება ქარხანაში. მეორე წამ-
ლობა ამ პრეპარატებით ტარდება 6—7 დღის შემდეგ პირ-
ველი წამლობიდან, ხოლო მესამე წამლობა ახალი თაობის
ახალგაზრდა მატლების წინააღმდეგ ზაფხულში—იყლისში.

ზაფხულში პირველი, მეორე და მესამე ასაკის მატლების
წინააღმდეგ, რომლებიც ვაზებზე ივლისსა და აგვისტოში იმ-
ყოფებიან, გამოცდილია ასეთი ღონისძიებაც: ამ თვეებში ეს
მატლები, როგორც წესი, ნამხრევების წვეროებზე მყოფ
ნორჩ, მოზარდ ფოთლებზე არიან მოთავსებული. ამ ნამხრე-
ვებს წვეროებს აწყვეტენ, აგროვებენ ტომარაში და დაუყოფ-
ნებლივ სპობენ. ამ ღონისძიების ჩატარება ძლიერ ამცირებს
მავნებელს ვენახში. კარგი იქნება, თუ ეს ღონისძიება ალ-
ნიშნულ თვეებში რამდენიმეჯერ ჩატარდება.

კარგია აგრეთვე გაზაფხულზე კვირტზე მყოფი მატლების
ხელით შეგროვება და მათი მოსპობა ამა თუ იმ საშუალებით.

ხორბლის ხვატარი

გავრცელება. საქართველოში ბევრგან ვხვდებით, მაგრამ
განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული შიდა კახეთ-
ში (თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში).

დაზიანება. ხორბლის ხვატარის მატლი პოლიფაგია. იგი
იკვებება მინდვრის, ბოსტნისა და ბალჩის მცენარეებით, ხეხი-
ლით, ვაზით, ბამბით, თამბაქოთი, მზესუმზირათი და საკედი
ბალახეულით. საქართველოში იგი განსაკუთრებით უკანასკ-
ნელ წლებში გამრავლდა მასობრივად და იწყო ვენახებისა-
თვის ზიანის მიყენება. აზიანებს კვირტებსა და ფოთლებს-
მისი მავნებლობა, შემოდგომის ხვატართან შედარებით, უფ-
რო სერიოზულია, რადგან დაზიანებას იწყებს გაზაფხულზე-
ე. ი. ვეგიტაციის დასაწყისში, როდესაც მარტო კვირტებია
ვაზებ ანდა იგი ახალი გაფოთლილია. ამ ხვატარს აქვს ერთ-
წლიანი გენერაცია.

აღწერა. პეპელა გაშლილი ფრთებით 35—40 მმ სიგანძია/ შეფერილობით ძლიერ რყევადობს ნაცრისტორიდან მოწირდული მურა ფერამდე. წინა ფრთას შუაში აქვს თეთრი გვარის გვარი; მასვე ახასიათებს ორმაგად დაკბილული გარდიგარდმო ზოლები და ორი ლაქა; ერთი მათგანი წრისებრია, მეორე თირკ-მლისებრი და დაფარულია თეთრი ქერცლით. უკანასკნელი მოთავსებულია შავ გასწვრივ ზოლზე. უკანა ფრთები ნაცრისტერია.

გატლი ძლიერ ჰგავს შემოდგომის ხვატარის მატლს. იგი გრძელიალა, მურა-ნაცრისტერი, ზურგზე სამი ლია ფერის ზოლით, მუქი მურა ფერის თავით. აქვს 5 წყვილი ცრუფები. კვერცხი რძისფერია.

ყოფა-ცხოვრება. ხორმლის ხვატარი შედარებით ჩრდილოეთის პირობებში ზამთრობს ნიადაგში კვერცხის სახით, რომელშიაც მატლი სავსებით განვითარებულია, ჩვენს პირობებში კი—მატლის სახით. ყოფა-ცხოვრება და განვითარება ამ მატლებს ისეთივე აქვს, როგორიც შემოდგომის ხვატარის მატლებს. აქტიურობენ, ე. ი. იკვებებიან ლამით, დღისრთ კი სხედან ნიადაგში ან გოროხების ქვეშ, ახასიათებთ ზაფხულის დიაპაუზა. ზრდის დასრულების შემდეგ მატლები ჩადიან ნიადაგში და იქ იჭუპრებენ 8—10 სმ-ის სიღრმეზე. 20—30 დღის შემდეგ გამოლიან პეპლები, რომლებიც შეულების შემდეგ ნიადაგში დებენ კვერცხებს. პეპლების ფრენა ჩვენს პირობებში შენიშნულია იელისში. ამავე თვეში ხდება კვერცხების დებაც.

ბრძოლის ხაშუალებანი. 1. მისატყუებელი მასალით ბრძოლა. მასალად ილებენ ქატოს და სხვადასხვა ბალახს, რომლებსაც შხამავენ პარიზის მწვანათი, ფრონტის ნატრიუმით (1 კგ შხამი 20 კგ ქატოზე) ან დარიშხანოვანი ნატრიუმით (1 კგ შხამი 59 კგ ქატოზე). მოშხამულ მისატყუებელ მასალას ყრიან მავნებლით მოდებულ ნაკვეთზე საღამო ხანს.

2. შემოდგომით ნიადაგის ღრმად გადახვნა ან გადაბარვა. ამ ღროს ნიადაგის ზედაპირთან ახლომდებარე კვერცხები ხვდება ღრმა ფენებში, სადაც მექანიკურად ზიანდება.

3. გაზაფხულზე ფოთლების გასინჯვა და იქ ნახული მატლების დახოცვა.

სფინქსების საქმაოდ მრავალი სახეობა მავნებლობს ვაშს.
 ჩეენში ამ მხრივ ჯერ-ჯერობით ორი სახეობაა რეგისტრირებული: ხაზოვანი სფინქსი და ვაზის პატარა სფინქსი.

დაზიანება. ორივე სახეობა აზიანებს ვაზის ფოთლებს და ზოგჯერ კუკრებსაც. მასობრივი გავრცელების დროს ხაზოვანი სფინქსი ხშირად ვაზებს ფოთლებისაგან მთლიანად ცლის.

როგორც ერთი, ისე მეორე სახეობა წელიწადში ორ თაობას იძლევა და ზამთრობს ჭუპრის სტადიაში.

აღწერა. ხაზოვანი სფინქსის პეპელა დიდია. გაშლილი ფრთებით მისი სიგანეა 65—80 მმ. წინა ფრთაზე მრუდედ გასდევს თეთრი ზოლი. თეთრია მისი ძარღვებიც. ასეთივე თეთრი ზოლები აქვს პეპელას მკერდის ნაწილში ზედა მხრიდან და გვერდებიდან.



სურ. 32. ხაზოვანი სფინქსის პეპელა.

მატლი სხეულის ორივე მხარეზე პირველსა და უკანასკნელ სეგმენტზე ატარებს შეფერილ თითო მრგვალ ლაქს, რომელსაც შემოვლებული აქვს მუქი ზოლი. მუცლის ბოლოსთან ახლოს აქვს რქა. ზრდადასრულებული მატლის სიგრძეა 7—8 სმ. კვერცხი პატარაა, ლია მწვანე.

გაზის პატარა სფინქსის პეპლის სიგანე გაშლილი ფრთი
ბით 60—65 მმ-ია. წინა ფრთები მოყვითალო-მწვანეა, მუცელი
დისფერი ნაპირებით და ზოლებით. უკანა ფრთები, კუჭუმრისა
გარდა, გარდისფერია, ფუძეში შავი; ვარდისფერია სხე-
ულიც.

მისი მატლი სიგრ-
ძით 8 სმ-მდე აღწევს.
იგი მურა - ნაცრისფე-
რია. მეთერთმეტე სეგ-
მენტზე ატარებს ზავ
რქას, რომელიც წვი-
როში თეთრია. მეოთ-
ხე და მეხუთე სეგმენ-
ტზე გვერდების მხრი-
დან აქვს თითო მრგვა-
ლი თვალისებრი ლაქა.

გავრცელება. სა-
ქართველოში პირველი
სახეობა უფრო მასობ-
რივად არის გავრცელე-
ბული, ვიდრე მეორე.
ასე, მაგალითად, ხაზო-
ვანი სფინქსის მიერ მი-
ჟენებული სერიოზუ-
ლი ზიანი აღნიშნულია
ბორჩალოში (გიაურ-
არხის ამერიკულ ვაზთა
სადედეში), ყვარლის
რაიონში (კოლმეურ-
ნეობის ახალგაშენებულ
ვენახში).

საქ. მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტი-
ტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე). შედარებით მცირე რაოდე-
ნობით მას ვხვდებით დასაელეთ საქართველოშიც (სა-
ქარაში).

მეორე სახეობა ჯერჯერობით რეგისტრირებულია კახეთში.
შესაძლოა იგი საქართველოს მევენახეობის სხვა რაიონებშიც
იყოს გავრცელებული, კერძოდ დასაელეთ საქართველოში.



სურ. 33. გაზის პატარა სფინქსი: 1—პე-
პლა, 2—მატლები გაზის ყლორტებზე.



ბრძოლის დონისძიებაზ. 1. მასობრივი გამრავლების დროს კენახსა და საღედეში მატლების ხელით შეგროვება და საცავის ხოცვა და 2. დარიშხანული კალციუმის შეფრქვევა ან ჰარიზის მწვანას შესხურება.

ვაზის ფოთოლმხვევი

დაზიანება. მატლი პირველ დღეებში აზიანებს დაბერილ კვირტებს, შემდეგ კი ფოთოლს, რომელსაც წინასწარ ახვევს. მავნებლის დიდი რაოდენობით დასახლების დროს ფოთლები იმდენად ზიანდება, რომ მხოლოდ ყუნწები-ლა რჩება.



სურ. 34. ფოთოლმხვევისგან დაზიანებული ვაზის ფოთოლი.

6. ვაზის მსავარი მავნებლები.

არის საკმაოდ ხშირი შემთხვევები, როდესაც მატლი აზიანებს კლერტს და ფოთლის ყუნწს. უკანასკნელი შემთხვევა დროს თუ მავნებელი მასობრივად არის მოდებული, შრევშები და ფოთლები კვერცხა, ხმება და ბოლოს ცვივა.

აღწერა. ფრთაგაშლილი პეპელა სიგანით 20—24 მმ-ია. მისი წინა ფრთები მომწვანო-ყვითელი ან მოჩალისფრო-ყვითელია და ზედა მხრიდან აქვს ოთხი ლაქა, რომელთაგან სამი მრუდეა, ფრთაზე განივალ მიმართული და მოუანგისფრო რუხი. განივი ზოლები მამალს სუსტად აქვს გამოხატული ან სურულიად არ ემჩნევა. საცეცები გრძელი აქვს და წინ წამოწეული. პეპლის მთელი სხეული და თავი საცეცებითურთ მოყვითალოა. კვერცხი მოგრძო თვალურია სიგრძით 1 მმ-მდე. თავდაპირველად იგი მწვანეა, შემდეგ ყვითელი, მოშავონაცრისფერი და ბოლოს, გამოჩეკის წინ, თეთრი.



სურ. 35. ვაზის ფოთოლმხვევის მატლი.

ახლად გამოჩეკილი მატლი სიგრძით 2 მმ-დეა, სხეული მომწვანო-ყვითელი აქვს, თავი და ზურგი კი—ბრჭყვიალა შავი. ზრდადასრულებული მატლი სიგრძით 30 მმ-მდე აღწევს. იგი ზურგისა და მუცლის მხრიდან მწვანეა, გვერდებიდან კი ყვითელი. ზოგჯერ გვერდები მოყვითალო-მონაცრისფრო-მწვანე აქვს; მუცლის მხარეზე ჩასდევს მომწვანო ან მონაცრისფრო-ყვითელი გასწვრივი ზოლები.

კუპრი სიგრძით 14 მმ-მდე აღწევს, მოწითალო-მურაა და ბოლოში 8 მოლუნული ქაცვი აქვს.

გავრცელება. ვაზის ფოთოლმხვევი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე მიკრორაიონში, მაგ., ალაგონში, მუხრანში და სხვ.

საერთოდ კი საქართველოში იგი მცირე ოდენობითაა გრევ-
ლუბებული და ამიტომ ნაკლები ჭარბოფითი ეკონომიკური და ეკო-
ნომიკური მნიშვნელობა აქვს მეცნიერებითა გრევ-
ლუბებული და ამიტომ ნაკლები ჭარბოფითი ეკონომიკური და ეკო-
ნომიკური მნიშვნელობა აქვს მეცნიერებითა გრევ-
ლუბებული და ამიტომ ნაკლები ჭარბოფითი ეკონომიკური და ეკო-

თუ რა დიდი უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობა შეი-
ძლება ჰქონდეს საერთოდ ამ მავნებელს, ეს ჩანს საფრანგე-
თის მაგალითიდან. 1837—1838 წლებში იმდენად ძლიერ
გამრავლებული იქ იგი, რომ მარტო ორ დეპარტამენტში
(რონასა და ლუარაში) მიუყენებია 30—40 მილიონამდე ფრან-
კის ზარალი. იქვე ზოგიერთ აღგილას, ვანსაკუთრებით მა-
შინ, როდესაც მავნებელი რამდენიმე წელიწადს ზედიზედ
მრავლდებოდა მასობრივად, ვენახებიდან ვერ იღებდნენ
მოსალოდნელი მოსავლის $15\%_0$ -ზე მეტს.

ყოფა-ცხოვრება. ვაზის ფოთოლმხვევი ზამთრობს კვირც-
ხიდან ახალგამოჩეუილი მატლის სახით ვაზის შტამპისა და
სარების ამსკდარ ქერქქვეშ ან მათ ნაპრალებში. ზამთრობა-
ში ვადასვლის წინ იგი ქსოვს თეთრ პარკს და მასში თაეს-
დება.

ამ მდგომარეობაში მატლი იმყოფება 9 თვემდე, რის შემ-
დეგ, სითბოსთან დაკავშირებით, გარეთ გამოდის, ჯერ კი-
დევ გაუშლელ კვირტებზე ან გაუშლელ ფოთლებზე გადადის
და იწყებს მათ დაზიანებას. მატლების ზამთრობიდან გამოსვ-
ლა ყველა რაიონში ან წლებში ერთსა და იმავე ვადებში
არ ხდება. იგი დამოკიდებულია გაზიფხულის ამინდებზე.

მატლი ფოთოლსა და ფოთოლს შუა მოთავსების შემდეგ
ახვევს მათ აბლაბუდაში, რითაც იქმნის საფარს გარეშე
უარყოფითი ფაქტორებისაგან თავდასაცავად. შედარებით
მოზრდილი მატლი გადადის დიდ ფოთოლზე, რომლის ერთ-
ერთ ნაპირს მილისებრად ახვევს აბლაბუდის ძაფების საშუა-
ლებით. მატლი ხშირად საფარს იკეთებს ყვავილედსა და
ფოთოლს შორისაც, რისთვისაც მათ ერთმანეთს აკრავს აბ-
ლაბუდის ძაფებით.

კვებასთან ერთად მატლი იზრდება და იცელის კანს 4-ჯერ,
უკანასკნელი კანის გამოცვლიდან 8 დღის შემდეგ ერთხელ
კიდევ გამოიცვლის კანს და იქვე გადავა ჭუპრის სტადიაში,
სადაც იკვებებოდა.

შატლის სტადიის ხანგრძლიობა ზამთრობილან გამოსყელის
შემდეგ სხვადასხვანაირით და დამოკიდებულია გარეშემოწერის
ტეოროლოგიურ ფაქტორებზე (ტემპერატურასა და ტენია-
ნობაზე). ამ სტადიის ხანგრძლიობა ჩვეულებრივ 45—49
დღეს უდრის.

ჭუპრიდან გამოფრენილი პეპელა ამინდის ხელსაყრელ პი-
რობებში საკუების მიულებლად ულლებება იმავე ღამეს (10
საათის შემდეგ) და სდებს კვერცხებს. ბუნებრივ პირობებში
გამოფრენა იწყება ივნისის მეორე დეკადაში და მთავრდება
ივლისის მესამე დეკადაში. ამგვარად, პეპლების ფრენის პე-
რიოდი 37 დღეს უდრის. ასეთივეა კვერცხების დების პე-
რიოდიც. პეპელა ფრენს შებინდებისას, 8—9 საათზე, ღრუბ-
ლიან ამინდში კი ადრეც. ფრენს გვიან ღამემდე. ნათელ
დღეებში უმოძრაოდ იმყოფება დაფარულ ადგილზე და არ
ფრენს, თუ არ დაფრთხა. პეპელა თითქმის არ ფრენს სუს-
ტი ქარის დროსაც კი, ხოლო ძლიერ ქარში საესებით
სწყვეტს ფრენას.

აღსანიშნავია ისიც, რომ პეპელა ღამით ძლიერ ეტანება
ხელოვნურ სინათლეს, რასაც ზოგან ბრძოლის მიზნითაც იყე-
ნებდნენ.

ულლებება და კვერცხებს სდებს ფოთლის ზედა მხარეზე.
კვერცხები მწყრივადაა განლაგებული ფოთოლზე. ვეორე
მწყრივი პირველს კრამიტისებრად ეფარება ოდნავ. კვერცხე-
ბი ერთმანეთზეა მიწებებული დედლის მიერ დამატებითი
ჯირკვლებიდან გამოყოფილი სითხით. თითოეულ ასეთ ჯგუფ-
ში 12—200 ცალამდე კვერცხია.

კვერცხიდან 10—21 დღეში იჩქება მატლი, რომელიც საკ-
ვებს არ იღებს. იგი ძაფით ეშვება ძირს და გადადის საზამ-
თროდ ზემოაღნიშნულ ადგილებში.

ამგვარად, მავნებელი წელიწადში ერთ თაობას იძლევა.
როგორც დაკირვებით ირკვევა, ვაზის ფოთოლმხევევი თავისი
მასობრივი გავრცელების ადგილებშიაც კი არ გვხვდება ყვი-
ლა ვენახში. ვენახში მისი არსებობა, განსაკუთრებით მასობრივი
სახით, დამოკიდებულია ვენახის ტოპოგრაფიაზე. ასე, მაგ.,
მაღლობ ადგილებში გაშენებულ ვენახს მავნებელი ერიდება,
რადგან მისი განვითარების ნორმალურ მსვლელობას აქ ხელს



უშლის ქარი. არ ვხვდებით მავნებელს მშრალ ადგილებშიც: ის ირჩევს უფრო დაბლობ და ოუნავ ტენიან ადგილებს. ვაზის ფოთოლმხვევი მრავალი მცენარით იკვებება. მისი მატლების კვება აღნიშნულია მაყვლის, მარწყვის, იონჯის და სხვ. ფოთლებზე. რაც შეეხება მის კვერცხებს, ისინი აღნიშნულია კუნძლის, ვინკრის-დედის და სხვ. ფოთლებზე. ვაზის ფოთოლმხვევი ბევრი ბუნებრივი მტერი ჰყავს როგორც მტაცებლებიდან, ისე პარაზიტებიდან.

ბრძოლის ღონისძიებანი. 1. ადრე გაზაფხულზე მავნებლის მიერ დახვეული ფოთლების მოკრეფა და დაწვა.

2. შეძლებისდაგვარად ვაზის შტამბის გაწმენდა ქერქისა-გან, ხაესისა და სხვ. და მათი დაწვა.

3. ადრე გაზაფხულზე $0,1-0,15\%$ პარიზის მწვანას ხსნა-რის შესხურება ან დარიშხანული კალციუმის შეფრქვევა.

ვაზის კოლონა

დაზიანება. კოლონა აზიანებს ფოთლის ძარღვებს, კლერ-ტის ფუძეს, კოკრებისა და მარცვლის ყუნწებს. დაზიანებული ადგილები სივდება—მუწუდება.

გაფრცელება. საქართველოს რაიონებიდან ჯერჯერობით რეგისტრირებულია ქართლისა და კახეთის ვენახებში.


აღწერა. ვაზის კოლონა მეტად პატარა ბუზია. მისი სხეულის სიგრძე უდრის $1,6$ მმ-ს. მას აქვს ორი გამჭვირვალე რუხი ფრთა. ფრთების გასწვრივ გასდევს სამი დაუტოტავი ძარღვი.

მატლი უფეხოა, მოვარდისფრო-წითელი, სიგრძით $2-3$ მმ. კვერცხი მოგრძოა, ლია ფერისა.

ყოფა-ცხოვრება. ზამთრობს მატლის სტადიაში. პარქში გახვეული მატლი ამ დროს ნიადაგში იმყოფება. მატლების დაჭუპრება ხდება გაზაფხულზე. გაზაფხულზევე—მაისის პირველ ნახევარში, ხდება ჭუპრებიდან ბუზების გამოფრენა. შეულლების შემდეგ დედალი კოლონა დებს კვერცხებს ვაზის ფოთლის ქვედა მხარეზე და მტევნის კლერტებზე. კვერცხებს ათავსებს ბეწვებში, რომლებიც იცავს მათ ჩამოცვენისაგან.



კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი (იჩეკება 8—11 დღეს კუთხეზე და
დეგ), როგორც წესი, შედის ძარღვებში გვერდის პმხალეამნეა
და იქ იწვევს თანდათანობით ძარღვის შესივებას და ბოლოს
მის დამუშავებას—გალის გაჩენას. გალი ფოთოლზე ორივე
მხრიდან თანაბრად არის შესივებული. გალში ცხოვრობს მატ-
ლი, ვითარდება, ალწევს მატლის უკანასკნელ სტადიას, რის
შემდეგ ხვრეტს გალს, გამოდის იქიდან და ვარდება ნიადაგ-
ზე. აქ იგი მცირეოდენ სილრმეზე ჩადის ნიადაგში და ჭრ-
დება. მტევნებზე იგი გალებს აჩენს მეტწილად კლერ-
ტის ფუძის ნაწილში, რადგან ეს უფრო შებუსვილია და
კოკრებისა და მარცვლების ყუნწებზე. საერთოდ, როგორც



სურ. 36. ეაზის კოლონასაგან დაზიანებული ფოთოლი.



ჩანს, ბუზის მატლი უპირატესობას აძლევს მცენარის ჰუნტერიულის მიღების კონებს, რადგან იქ კვების უკეთესი პირობებიათვა ბია. როდესაც კლერტი გამაგრდება და მას ბეწვები შემოეც-ლება, ბუზი მასზე კვერცხებს აღარ დებს.

2—3 მ-მდე დიამეტრის მქონე გალი პირველად უფრო ლია ფერისაა, ვიდრე ფოთლის ფირფიტა, შემდეგ კი, რო-დესაც მატლი ანებებს მას თავს, ყავისფერი ხდება და კენება.

პირველი გენერაციის მატლების ნიადაგში გადასვლა ხდება გალში შესვლიდან 15—17 დღის შემდეგ. ნოტიო ამინდებში კუპრებიდან გამოდის ბუზის მეორე თაობა, რომელიც დებს კვერცხებს ნამხრევების ფოთლებზე. ბუზის კვერცხის პრო-დუქტია 90 ცალაშედე აღწევს. კვერცხის დების პერიოდი ბუზს საქმაოდ ხანგრძლივი აქვს. იგი პრინცის გამოკვლევით ელენენდორფის (აზერბაიჯანი) პირობებში გრძელდება 12-დან 25 მასისმდე.


უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა. მასობრივი გაერ-ცილების წლებში ვაზის კოლონას დიდი უარყოფითი მნიშ-ვნელობა აქვს. პრინცის მიხედვით ელენენდორფის ერთ ვე-ნახში ეს მავნებელი სამი წლის განმავლობაში 60%-მდე ამ-ცირებდა მოსავალს.

ბრძოლის ღონისძიებანი. ჩვენი დაკვირვებით ურიათუბან-ში, ვაზის კოლონა იშვიათად ჩნდება იმ კვენახებში, სადაც ნიადაგი სისტემატურად და წესიერად მუშავდება. ეს აიხ-სნება იმ გარემოებით, რომ ხენის დროს კოლონას კუპრები ღრმა ფენებში ხდება, საიდანაც ბუზები ვეღარ ახერხებენ ამოსვლას და ზიგ იღუპებიან. ამ დაკვირვებით უნდა ეისარ-გებლოთ და კვენახები წესიერად დავამუშაოთ.

ვაზის ფოთლის აბლაბუდიანი ტკიპა

დაზიანება. ეს ტკიპა აზიანებს ვაზის კვირტებს, ახლად გამოსულ ყლორტებსა და ფოთლებს. დაზიანების პირველი ნიუნები ჩნდება კვირტებზე. ეს ხდება ტკიპების ზამთრობი-დან გამოსელის დასაწყისში, რაც სულ 2—4 დღეს გრძელ-დება. კვირტებიდან ყლორტისა და ფოთლების განვითარე-ბისთანავე ტკიპა ფოთოლზე გადადის და მისი ქსოვილები-

დან წუწის ხორთუმით წვენს. წუწის შედეგად ამ აღზღუდები ჩნდება მუქი წერტილები. ამ პერიოდში ფულები მცირდება და მხრიდან სხედან. ასეთი ხასიათის სტანდარტული ძლიერ ხანმოკლეა, რამდენიმე დღე გრძელდება. ამის შემდეგ ტკიპა გადადის ფოთლის ქვედა მხარეზე, საღაც მთელ ზაფხულს ატარებს. ამ ადგილებში ტკიპის ქვების შედეგად ჩნდება ყავისფერი ლაქები, რომლებიც თანდათან იზრდება და ბოლოს ხშირად მთელ ფოთოლს იკავებს. ასეთი ფოთოლი




სურ. 37. ვაზის აბლაბუდის მეცნებელი ტკიპისგან დაზიანებული ფოთოლი.

კუნება და ვარდება ვაზილან. დაზიანებული მოზარდი ფოთოლი მაისის უკანასკნელი დეკადიდან იწყებს დეფორმირების უაღიანი უკანასკნელის მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდა ტუკილური თოლი დაუშიანებელ ადგილებში იზრდება, დაზიანებულში კი ზრდა შეჩერებულია. ზრდადასრულებულ ფოთოლზე მოხვედრილი ტკიპა მის დეფორმირებას ვერ ახდენს. აქ კვების შედეგად ჩნდება ლაქები. ლაქები ჩვეულებრივად ძარღვების გასწროვ გასდევს. ხშირად დაზიანებული ნაწილები გამოხმება ხოლმე და ცვივა, რის გამო ფოთოლს ფანჯრები უკეთდება. ტკიპის მასობრივად გავრცელების დროს ვაზებს ფოთლები მთლიანად ცვივა. ყველა ჯიში თანაბრად არ ზიანდება ტკიპების მიერ. ზოგიერთი ჯიში ძლიერ ზიანდება, ზოგი კი ნაკლებად. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა შებუსვილი ამა თუ იმ ჯიშის ფოთოლი ქვედა მხრიდან. რაც უფრო ძლიერაა შებუსვილი ფოთოლი, მით უფრო ნაკლებად ვრცელდება მასზე ტკიპა და, ცხადია, ნაკლებადაც აზიანებს მას. ასე, მაგ., კახური საჭარმოო ჯიშებიდან ბევრად ნაკლებად ზიანდება საფერავი.

ალწერა. ტკიპა ძლიერ პატარაა. მისი დედლის სიგრძე არ აღემატება $0,4 - 0,5$ მმ-ს, მამლისა კი $0,25 - 0,35$ მმ-ს. პირველი კანის ცვლამდე ტკიპას 3 წყვილი ფეხი აქვს, შემდეგ კი ოთხი წყვილი; სხეულზე აქვს პატარა მოშავო წერტილები; სხეულსა და ფეხებზე აქვს ჯაგრები. მისი პირის ორგანო მწუწნავი ტიპისაა. ახალდადებული კვერცხი მრგვალია, გამჭვირვალე და წყლისფერი, დიამეტრით 118,8 მიკრონი.

გავრცელება. ტკიპა საჭართველოს მეცნიანეობის თითქმის ყველა რაიონში გვხვდება. იგი ამცირებს მოსავალს როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად.



სურ. 38. ვაზის ფოთოლის აბლაბულის მკეთებელი ტკიპა.

շուշա-պետքենքա. յս մազնեծելո նամտրոնծ նըրգագուշի-
ծով Ծյուկու սածու հողուրց ցածու Շըրամեծից, ույ բոցութեսա-
ամսկդարու յերկու յաջու ճա մուռու հառցենոնծու հարդիկան-
հայեն յանչյաջու. յրտսա ճա ոմայու ցածու Շըրամեծից մոնամտրու
Ծյուկեն տանօնին ար արուան ցանաթուլունու. մատու սրմայ-
լուսուն Շըրամեծի յայուրմու ցայեցեն. այժման մուռունուլուն,
յայումու ճա յայումու մատու հառցենոնծ տանօնատան յալունուն
ճա, ծոլուս, նուագուս նըրգագունուն աելու մուցեարյ նախուլից
ոմայունուն. Ծյուկու յամտրոնուն ցամունուս ցածաց-
սելուն, յայուրմուն յուրացեն ցամունուս ցածացարյենստան յրտագ
ան մասն սյուլ համցենում դուու ագրյ.

յուրացեն ցամասցունուստանայու Ծյուկու ոմայուն յայումուն
ամցենում դուու նըրգագուն յայուրմուն դուասաց. մուսու յայուրմուն
մայսումալուրու პրունցյուն 108 ցալու. հայուլունուրուն ոյց
սուրու նայունուն դուն (33—60 ցալու). յայուրմուն յրտագան
ար դուն. յայուրմուն դուն սայմաու ցամունուն ցայուանուրյենունուն
ճա յուրացեն 15—27 դուու. հայ սուրու աելուս ոմունումալուր
პորունուն ու ցամուն, հոմելունու սուրյեն տան Ծյուկուն,
մուտ սուրու մալու ամտացրյեն ոյց յայուրմուն դուն.

յմերունունուն ցանցուտարյենուն եանցրմանուն մլույր ուրաց-
նա ցամուն մայրուն Ծյումերաթուրաստան ճայացմունուն. ամ
մերու ոմունումալուր Ծյումերաթուրագ սոնցա հաստալուս 25°.
ամ դուու յայուրմուն Ծյուկու 4 դուու ոիյյյեն.

Ծյուկուն մտլուն ցանցուտարյենուն յայուրմուն օմացունուն, Ծյու-
մերաթուրյունուն ճա Ծյունունուն პորունունուն մուսունուն,
սյուր-
դուն 9-դան 29 դուու մուն, նոցչյու յու մուրու.

մուրու յոցի ուրուսուն ցանմացունուն Ծյուկու 9 տառուն ուրու-
ցա. յս մազնեծելու սայմաու ալունուն յուրացուն յոցնաեցմու. մուս
ցայրունուն ելուս ուրունուն յարյեն, ալամուն տացուն ուրունուն
ըանուսամուն սայմացունուն յոցնաեցմուն յոցնաեցմու ցամասցուն
դուու ճա ու ցամուն ամուն համուցարդնուն յուրացունուն,
հոմելունուն ոյցունուն յոցունուն Ծյուկու. ամ յուրացուն ուրուսուն
ճա ցամաայց սեցա ացցուն ան Ծյուկու տացս անցուն մաս ճա
ոմայուն ուրուցա ասալու սայցունուն սամցնունուն.

Ծյուկուն մուրու հոցու մուրյեն յաց. ասետյեն յայուտան
մայսի յուրացուն ուրուսուն, մուրացունուն ծալունուն ճա սեց. ուսու-

ნი ტკიპით იკვებებიან და დიდი რაოდენობით სპონსორები მარტლის, იმაგინს და კვერცხის სტადიებში.

ბრძოლის ღონისძიებაზე. ტკიპებით მოდებულ ვენახებში, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე, ვაზის შტამპის გასუფთავება ამსკდარი ქრებისაგან და დაწყო. ამის შემდეგ ნაფთობის ზეთის ემულსიით ($0,4\%$) ან ნაეთ-კირის ემულსიით მისი გაბანა. ნაეთ-კირის ემულსიის დასამზადებლად საჭიროა 400 გ ნაეთი და 100 გ კირი 12 ლიტრ წყალშე. ასევე კარგ შედეგს იძლევა გაზაფხულზე გოგირდ-კირის ნახარშის ხსნარის შესხურება.


ვაზის ტკიპი

ვაზის ტკიპა გავრცელებულია საქართველოს მევნენახეობის ყველა რაიონში. ტკიპა პატარაა, სიგრძით 140—160 მიკრონი.

ზამთარს ატარებს კვირტის ქრებულების ქვეშ. ზამთრის ძილიდან გამოდის გაზაფხულზე, კვირტების გაშლის პერიოდში, თავსდება ახალგაზრდა ფოთოლზე და იწყებს მის დაზიანებას. კვების შედეგად ფოთოლზე ჩნდება ლუდულოები. როდესაც ტკიპა მასობრივად არის მოდებული ვენახში, მაშინ ის ხშირად საყვავილე კვირტებსა და ნორჩ ყლორტებსაც აზიანებს. პირველი შემთხვევის დროს ზოგჯერ კვირტები ვეღარ ვითარდება და ილუპება, მეორე შემთხვევის დროს კი ყლორტები და ვაზიც სუსტად ვითარდება; თუ ამ დროს დიდი გვალვებიც დაიჭირა, ძლიერ დაზიანებული ფოთლები ხმება და ცვირა.

ფოთლებზე ტკიპების მიერ გამოწვეულ დაზიანებას ზოგჯერ მილდიუმის ან ფილოქსერის მიერ გამოწვეულ დაზიანებაში ურევენ, თუმცა მათ შორის საქმაოდ დიდი განსხვავებაა. ფილოქსერა გალებს, როგორც წესი, მხოლოდ ფოთლის ქვედა მხარეზე აჩენს, ტკიპა კი ამონაბურცებს ფოთლის ზედა მხარეზე. რაც შეეხება მილდიუმს, იგი ამონაბურცებს ანუ გალებს ფოთლებზე სრულიად არ იწვევს. ტკიპის მიერ დაზიანებული ფოთლის ქვედა მხარეზე წარმოიშობა მრავალი გრძელი ბეწვი, რომლებიც გადახლართულია ერთმანეთში. ეს ბეწვები პირველად თეთრია ან მოლურჯო-მოწითალო, შემდეგ კი ყავახფერი. მილდიუმის მიერ გამოწვეულ დაზიანებაში ტკიპის მიერ და-

ზიანებას განსაკუთრებით მაშინ ურევენ, როდესაც შეანაბე/ნელი დაზიანება ახალია და ზეწვები ჯერ კიდევ აფეთქება: ტკიპის მიერ გაჩენილი ღუღუდოები თავდაპირველი ჰარა/რაა, მაგრამ შემდევ იზრდება და ხშირად მთელ ფოთოლს ფარავს. ღუღუდოები ფოთლებზე ქვედა მხრიდან შეზნე/ქილია.



სურ. 39. ვაზის ტკიპები დაზიანებულ ფოთლებში.

ამ შეზნექილ ადგილებში ცხოვრობენ ტკიპები, ვითარდე/შიან და მრავლდებიან. აქვე დებენ კაერცხებს. წელიწალში იძლევიან ათამდე თაობას.

ბრძოლის ღონისძიებანი. ამ მავნებლის წინააღმდევ გამო/სადევია როგორც ქიმიური, ისე წინასწარ გამატროთხილებელი საშუალებანი. ქიმიური საშუალებათაგან კარგია გოგირდის შეფრქვევა ფოთლების ქვედა მხრიდან. პირველი შეფრქვევა

უნდა ჩატარდეს ტკიბების ზამთრის ძილიდან გამოსვლისთავ, ნავე, დანარჩენი წამლობა კი—საჭიროების მიხედვით, შემონაბეჭდი და ნაცრის წინააღმდეგ წამლობასთან ერთად. რაც შეება წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს, ისინი მდგომარეობს შემდეგში: ვინაიდან ტკიბა, როგორც წესი, კრიულდება



სურ. 40. განის ტკიბისაგან დაზიანებული ფოთოლი.

რქით, ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვექონდეს მხედველობაში რქის აღების დროს. რქა აღებულ უნდა იქნეს სალი ვაზიდან, რისთვისაც საჭიროა ასეთი ვაზები ზაფხულშივე ალინიშნოს.

ზემოთ აღწერილთა გარდა, კვირტებსა და ფოთლებს აზიანებენ შემდეგი მავნებლები:

1. ფოთლის ფილოქსერა (იხ. გვ. 7) აზიანებს ფოთლებს.
2. ტკაცუნები ანუ მავთულა ჭიები (იხ. გვ. 31) აზიანებენ კვირტებს.
3. შემოდგომის პურეულის ხვატარი (იხ. გვ. 41) აზიანებს ფოთლებს.

4. ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა (იხ. გვ. 103) აზიანებს.
5. აკაციის ფარიანა (იხ. გვ. 119) აზიანებს ფულობრტემის.

კოქჩის, მტევნისა და მტევნის კლერტის მავნებლები

კურდის ჭია

დაზიანება. პირველი თაობის მატლი ძირითადად აზიანებს კოკრებს. ზოგიერთ კოკორს მთლიანად გამოსჭამს და მხოლოდ მის გარსს დასტოვებს. ზოგიერთს მცირეოდნად გამოჭხრის, ზოგზე კი მხოლოდ ქუდს აზიანებს. პირველი სახის დაზიანების დროს კოკრებან ნაყოფი არ ვითარდება, მეორე სახის დაზიანებისას იგი იშვიათად ვითარდება, მესამე სახის დაზიანების დროს კი კოკორი ნაყოფს იძლევა, თუ იგი ძლიერ არ არის გახვეული აბლაბუდაში. ამას გარდა, კოკრების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ დაუზიანებელია, მაინც ვერ იძლევა ნაყოფს, ჭენება და ცეივა, რაღან აბლაბუდის ქსელში ვირ ახერხებს ყველილობას.



სურ. 41. ყურძნის ჭიისგან
დაზიანებული მტევნი.

მეორე თაობის მატლი ყურძნის მარცვლებს აზიანებს სიმწიფუეში შესვლამდე. დაზიანების სიდიდის მიხედვით მარცვალს უხორცდება დაზიანება და იგრძელებს განვითარებას ან ლპება და ვარდება მტევნიდან. მარცვლები ლპება მატლის მიერ მათი ლრმად დაზიანების დროს და დიდი ტენიანობის პირობებში.

მესამე თაობის მატლი უკვე

სიმწედფეში შესულ მარცვლებს აზიანებს. დაზიანებული მარცვლების მეტი ნაწილი ლპება, რაღაც მათ ზრდა დასრულებულ იული აქვთ და მოკლებული არიან ჭრილობის შეხორციელების უნარს.

აღწერა. ყურძნის ჭიის ფრთაგაშლილი პეპელა 10—13 მმ სიდიდისაა. წინა ფრთები ნაცრისფერი აქვს. ფრთებს ზედა მხრიდან გასდევს ორ-ორი განივი, განიერი, ლია ფერის ზოლი.



სურ. 42. ყურძნის ჭიის პეპელა.


კვერცხი პატარაა, ლია ყვითელი, გამჭვირვალე, რის გამო ხშირად მასში გამოსქვივის ყურძნის მარცვლის მწვანე ფერი. იგი ნახევარი მმ სიგრძისაა, ქვედა მხარეზე ბრტყელი, ზედა მხარეზე კი შედარებით ამობურცული.

ახლად გამოჩეკილი მატლი მოთეთრო-მოყვითალოა, სიგრძით 2 მმ, დიდი შავი თავით. ზრდადასრულებული მატლი მომწვანოა, სიგრძით 8 მმ. თავი და კისრის ფარი მუქი ყავის-ფერი აქვს, ქარცი ელფერით. კისრის ფარს უკანა ნაპირში ზოგჯერ შავი ზოლი მისდევს.

კუპრის სიგრძეა 6—7 მმ. ის ჩეულებრივ მოთავსებულია თეთრ პარკში.

გაფრცელება. ყურძნის ჭია საქართველოს ბევრ რაიონშია გაფრცელებული, მაგრამ უფრო მასობრივად გვხვდება სილნალის, გურჯაანის და მაიაკოვსკის (ვარციხეში) რაიონებში.

ყურძნის ჭიათ უარყოფითი სამეცნელობა სამიშვნელობა გიერთ ააიონში და მეცნეობაში დიდია. მარტო გეთში 1894 წელს მისგან მიყენებული ზარალი 20% უდრიდა, ხოლო 1901 წელს $40-50\%$ -ს. თუ რა ზარალის მოტანა შეუძლია მას ჩვენში, ეს ჩანს ამირანაშვილის ცნობებიდან,



სურ. 43. ყურძნის ჭიათ. 1—მატლი, 2—ყურძნის მარცვალი 1 კვერცხით.

რომლებიც ეხება შერემეტიევის ყოფილ ვენახებს სოფ. კარ-დანახში, საღაც 1907, 1908 და 1909 წლებში მოსაელის $\frac{3}{4}$ დაზღრალდა.

ყოფა-ცხოვრება. ყურძნის ჭიათ ზამთრობს ჭუპრის სახით ვაზის ამსკდარ ქირქვებში, მის ფულუროებში და, შედარებით იშვიათად, სარების ასეთსავე ადგილებში. ჭუპრიდან პეპლების გამოფრენა ხდება პპრილ-მაისში. გამოფრენა ძლიერ გაჭიანურებულია და ხშირად 19—22 დღეს გრძელდება. გამოფრენის ასეთი გაჭიანურების მიზეზია მატლების სხვადასხვა

დროს დაჭუპრება შემოდგომით, გაზაფხულზე ტემპერატურა რის რეევაღობა და აგრეთვე მათი ადგილსამყოფელის ბარეობა მზის მიმართ. იმ მხარეზე, საღაც მხეტ ხანს და ძლიერ ათბობს, პეპლები უფრო ადრე გამოდიან, ვიდრე მოწინააღმდეგე მხარეზე.

პეპლების ფრენა იწყება ნაშუადლევის 4 საათზე, წყდება დაღამებისთანავე და ახლდება დილის რიერაეზე (განთიაღისას). დღისით პეპლები უმოძრაოდ იმყოფებიან ფოთლების ქვეშ და სხვა დაფარულ ადგილებში. როგორც წესი, პეპლები უფრო მეტად ფრენენ საღამოთი, ვიდრე დილით. ამასთან საინტერესოა ის მოვლენაც, რომ ისინი ღრუბლიან დღეში ფრენენ სხვა საათებშიაც. პეპელა მაღლა არ ფრენს. მისი ფრენის სიმაღლე ჩვეულებრივ მტკვნების სიმაღლით განისაზღვრება. არც ხანგრძლივად ფრენს. გაფრინდება რამდენიმე მეტრზე და დაჯდება. ხშირად მას ქარი იტაცებს და გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეზე.

ჭუპრიდან გამოუჩენილი პეპელა სქესობრივად არ არის მომწიფებული. დედალს არ აქვს განვითარებული არც საკერცხე და არც ცხიმოვანი სხეული. ამის გამო იგი იუკილებლად საჭიროებს კვებას. საერთოდ, და განსაკუთრებით ამ პერიოდში, ძლიერ ეტანება ბადაგს, შაქარგარეულ წითელ ღვინოს და სხვ., მხოლოდ ბინდისას და დილის რიერაეზე. დღისით ბადაგსა და ღვინოში პეპელა არ გრძვდება.

საკვების მიღების შემდეგ პეპლები ულლდებიან. ესეც, როგორც მათი დანარჩენი იქტიური ცხოვრება, საღამოთი და დილით ხდება. შეულლებიდან 1—2 დღის შემდეგ დედალი პეპელა იწყებს კვერცხების დებას. პეპელა კვერცხებს ათავსებს კოკრებზე, ყვავილედზე კოკრებისა და ფოთლების ყუნწებზე და ხშირად ყლორტებზედაც.

პეპელა ერთდროულად და ერთ ადგილას ირ დებს კვერცხებს. კვერცხის დება მას საქმიან გახანგრძლივებული აქვს. თითო კვავილედზე ან მტევანზე. ჩვეულებრივ, თითო კვერცხს დებს, შედარებით იშვიათად ორს და კიდევ უფრო იშვიათად სამს. სულ კი დებს 30—90 ცალ კვერცხს.

კვერცხიდან მატლის გამოჩეკას, ე. ი. ემბრიონულ განვთარებას, 5—10 დღე სჭირდება. პირველი თაობის კვერცხე-7. ეაზის მოავარი მავნებლები.

ბიდან მატლების გამოჩეკას უფრო მეტი დრო სცირკულაცია /
ვიდრე შემდეგი თაობების კვერცხებიდან, რაც გარემოქულობა
ბოსთან არის დაკავშირებული.

ახალგამოჩეკილი მატლი შედის ყვავილედის შიგნით, იკე-
თებს აბლაბუდისაგას ბუდეს და შემდეგ იწყებს კვებას. იკე-
ბება საყვავილე კოკრებით, რომლებსაც ახვევს აბლაბუდაში.
ამ დროს მატლი თავისი ბოლოთი ორი ერთიმეორებზე მიღე-
ბული კოკრიდან ეყრდნობა ერთს და ისე შედის მეორეში; ერ-
თი კოკრის შეჭრის შემდეგ მატლი იერთებს ბუდეში მეო-
რეს, მესამეს და ა. შ. მანამდე, სანამ იგი ზრდას არ დაამ-
თავრებს. ზოგჯერ თითოეულ ბუდეში 50 კოკორიც კი არის
მოთავსებული. ეს დამოკიდებულია ყვავილედში კოკრების
სიხშირეზე. რაც უფრო ხშირია კოკრები მტევანში (კუმსი
მტევანი), მით მეტია ბუდეში კოკრები. იმ შემთხვევაში, თუ
მატლს არ ყო ერთი ყვავილედი, გადადის მეორეზე, მაგრამ
ეს გადასვლა არ ხდება ახდილად. იგი მტევნის კლერტზე
თავისი მოძრაობის მიმართულებით ქსოვს თხელ აბლაბუდის
ქსელს და ისე მიიწვევს წინ. თითო მტევანზე მავნებლის საერ-
თო რაოდენობის მიხედვით სხვადასხვანაირია ბუდეების
რიცხვი. მისი მასობრივად გავრცელების დროს იგი ხშირად
მტევანზე ოთხიც კი არის. სამაგიეროდ თითო ბუდეში მხო-
ლოდ თითო მატლი ზის.

ყველა მატლი ვერ ასწრებს ზრდის დასრულებას ნაყოფე-
ბის გამონასკვამდე. მატლების ნაწილი ვაზის ამ უკანასკნელ
ფაზაში ვაკევდება ვენახში და აზიანებს ნაყოფებს. ყურძნის
ჭიის მატლი ძლიერ მოძრავია. შეხებისას იგი ხწრაფად მოძ-
რაობს, იკლაკნება, შედის ღრმად თავის აბლაბუდაში, ხოლო
მეტისმეტად შეწუხების დროს სულ გამოდის იქიდან და აბ-
ლაბუდის ძაფების საშუალებით ეშვება ძირს.

მატლს სრული განვითარებისათვის დაახლოებით 38 დღე
სცირდება, ზოგჯერ კი მეტი ან ნაკლები, რაც გარემოს ტემ-
პერატურასა და ტენიანობაზე არის დამოკიდებული. ამ ხნის
განმავლობაში იგი საშვერ იცვლის ნამდვილ კანს, მეოთხე
კანის ცვლისას კი იჭუპრებს. პირველი თაობის მატლების
დაჭუბრება ხდება აბლაბუდაშივე, მოკეცილ ფოთოლში, ფო-
თოლსა და ფოთოლს შორის ან კოკორშივე. ამ თაობის ჭუპ-
რიდან პეპლის გამოფრენას 12—15 დღე სცირდება. პეპლის

გამოფრენის შემდეგ წვიმისა და ქარის გავლენით აბლაბული
სცილდება ვაზს, რის გამო მას დაზიანების ნიშნები უძლია გადაკიტოვა
ემჩნევა.

მაღალი ტემპერატურის გავლენით, მეორე თაობის კვერც-
ხებიდან პირველი თაობის კვერცხებთან შედარებით, მატლე-
ბი უფრო იდრე იჩეკება (4—5 დღეში). კახეთში მათი მასობ-
რივი გამოჩეკა ხდება დაახლოებით 20—25 ივლისში, მაგ-
რამ ამინდებთან დაკავშირებით შეიძლება იღრეც ან გვიანაც
გამოიჩეკოს. ახალგამოჩეკილი მატლი შედის მტევნის შიგნით,
თავსდება იმ ადგილას, სადაც ორი მარცვალი ერთიმეორეს
ეხება და იწყებს კვებას. ამ დროს იგი ჯერ მარცველის კანს
გამოსჭამს, შემდეგ კი იწყებს მისი რბილეულის ჭამას. კვების
შედეგად მარცვალზე აჩენს ორმოს, რომელიც თანდათან
იზრდება და ბოლოს აღწევს ჯერ კიდევ რბილ წიკწამდე.
უკანასკნელს ისე სჭამს, როგორც რბილეულს. გამოსჭამს რა
მთლიანად ერთ მარცვალს. იგი გადადის მეორე მარცვალზე,
მესამეზე და ა. შ. კვებასთან ერთად მატლი თანდათან შე-
დის მარცვალში და ბოლოს მთლიანად შიგ თავსდება. ყვე-
ლა მარცვალს მატლი ბოლომდე არ აზიანებს. ხშირად იგი
მასზე გამოლრნის პატარა ორმოს, რომელსაც ანებებს თავს
და გადადის მეორეზე, შემდეგ მესამეზე და ასე იცვლის ად-
გილს რამდენიმეჯერ.

დამახასიათებელია, რომ ამ თაობის მატლი აბლაბულის
ქსელს (ბუდეს) არ იკეთებს. მხოლოდ მარცველის გამოლრნ-
ნილ ორმოს ნაპირებში ვხვდებით მის მცირეოდენ ქსელს.
ამ დროს იგი არ საჭიროებს მას, რადგან მთელ თავის ცხოვ-
რებას მარცვალში ატარებს, გარდა იმ დროისა, რომელიც
საჭიროა მისთვის ორმოს გამოსალრლნელად. ამ თაობის მატ-
ლი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე პირველი თაობისა.
ზრდის დასრულების შემდეგ იქუპრებს ჩვეულებრივად და-
ზიანებულ გამჭვარ მარცვალში, სადაც ხშირად არც კი იკე-
ოებს პარქს.

მესამე თაობის პეპლის მასობრივი ფრენა აგვისტოს ბო-
ლოს ხდება. პეპლა თავის კვერცხებს ათავსებს უკვე სიმ-
შიფეში შესულ მარცვლებზე და, მაშასადამე, მათგან გამოჩე-
კილი მატლები აზიანებს ყურძენს ამ ფაზიდან მოყოლებული
მის სრულ სიმწიფემდე.

მათ მიერ მიყენებული ზიანი ისეთივეა, როგორიც შეიძლება
თაობის მატლებისა. მატლების მეტი წილი მოსავლის კარგება
ბამდე ასწრებს სრულ განვითარებას და იქცპრებს ზემოთ მარტივ
ნიშნულ საზომოებების დაგილებში. ის ნაწილი კი, რომელიც ვერ
ასწრებს მთლიან განვითარებას რთვლამდე, თან მიჰყვება
უკრძალის მარანში და იქ მისი დაწურვის დროს ისრისება
წინებში ან ნავში.

ამგვარად, ამ მავნებელს ჩვენში სამი თაობა აქვს.

იგი ყველა ვაზის ჯიშს ერთნაირად არ ეტანება. უფრო
ნაკლებად სახლდება მავნებელი იმ ჯიშებზე, რომლებსაც მცი-
რე რაოდენობის ყვავილედები აქვს; ცხადია, ამის გამო ასე-
თი ჯიშები უფრო ნაკლებად ზიანდება, ვიდრე ისინი, რომ-
ლებსაც ბევრი ყვავილედები აქვს. იგივე ითქმის მტევნების
შესახებაც. კუმსი მტევნის მარცვლები უფრო ზიანდება, ვიდ-
რე მეჩხერისა, რადგან პირველზე უფრო მეტი რაოდენობით
დებს კვერცხებს ეს მავნებელი.

საინტერესოა იმისი აღნიშვნაც, რომ პეპელა თავის კვერც-
ხებს დაჩრდილულ მტევნებზე უფრო დებს, ვიდრე დაუჩრ-
დილავზე და რომ ვაზის ხეივნებში უფროა გავრცელებული
იგი, ვიდრე ვენახებში. ეს მოვლენა კახეთშიაც არის აღნიშნუ-
ლი. ეს აისანება იმ გარემოებით, რომ ხეივანში მეტადაა მტევ-
ნები დაჩრდილული. ჩრდილში მყოფ მტევნებს მზის პირდა-
პირი სხივები (რომლებიც დამღუპველად მოქმედებს კიის
კვერცხებზე) ვერ ხედება.

ბრძოლის ღონისძიებანი. ყურძნის კიის საწინააღმდეგო
ბრძოლა მხოლოდ მოსავლიან ვენახებში ტარდება, რადგან
იგი ძირითადად კოკრებს, კლერტებსა და ყურძნებს აზიანებს.
ვინაიდან მას სამი თაობა აქვს, წამლობა სამჯერ მაინც უნდა
ჩატარდეს. პირველი წამლობა უნდა ჩიტარდეს ყვავილობამ-
დე, კოკრების განვითარებისას. წამლობა წარმოებს დარიმ-
ხანულ კალციუმით ან მერიტოლით, რომლებსაც აფრქვევინ
კოკრებს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პრეპარატები მეურ-
ნეობას არ აქვს, გამოყენებულ უნდა იქნეს პარიზის მწვანა.
უკანასკნელს ჩვეულებრივად ასხურებენ; ამისათვის ერთ ლიტრ
წყალზე იღებენ 1,5 გ მწვანას და 3 გ ახალდაშლილ კირს.

როდესაც მასთან ბრძოლის ვადები ემთხვევა ჭრაქთან
ბრძოლის ვადებს, ზეიძლება პარიზის მწვანას და ბორჯიშის უნდა
სითხის კომბინირებული ხსნარის (1,5 გ პარიზის მწვანა,
10 გ შაბიამანი და 10 გ ახალდაშლილი კირი ლიტრ წყალ-
ზე) გამოყენება. პირველად პარიზის მწვანა უნდა იქნეს არეული
კირწყალზი და შემდეგ ამ ნაზავში ჩაისხას ბორდოს ხსნარი.

ამ წამლობისათვის ერთ ჰექტარზე საჭიროა 10 კგ და-
რიშხანული კალციუმი ან მერიტოლი, 720 გ პარიზის მწვა-
ნა, მისი ცალკე გამოყენების შემთხვევაში (480 ლიტრი ხსნა-
რის ვარაუდით ჰექტარზე), ხოლო 1080 გ კომბინირებულ
ხსნარის გამოყენების დროს 720 ლიტრი ხსნარის ვარაუდით
ჰექტარზე. კომბინირებულ ხსნარის დროს მწვანა მეტია სა-
ჭირო, რადგან მით უნდა შესხურდეს არა შარტო ყვავილე-
დები, არამედ ფოთლებიც.

მეორე წამლობაც იმავე პრეპარატებით ტარდება. წამლო-
ბის ვადად ითვლება ნაყოფის გამონასკეის დამთავრება. ამ
წამლობის დროსაც მშრალი პრეპარატების შეფრქვევა და
ხსნარების შესხურება ხდება მარტო მტევნების მიმართ, გარდა
კომბინირებული ხსნარისა, რომელსაც მთელ ვაზს ასხურებენ.
ამ პერიოდში ჰექტარზე საჭიროა 16 კგ დარიშხანული კალციუ-
მი და მერიტოლი, ხოლო 720 გ პარიზის მწვანა ცალკე გა-
მოყენების შემთხვევაში 480 ლიტრი ხსნარის ვარაუდით ჰექ-
ტარზე.

მესამე წამლობა ტარდება მხოლოდ ნიკოტინისა და ანა-
ბაზინის პრეპარატებით ყურძნის მომწიფების დასაწყისში.
ნიკოტინის პრეპარატებიდან ხმარობენ თამბაქოს ექსტრაქტს
ან ნიკოტინ-სულფატს, რომელთა სამუშაო ხსნარი 0,2 პრო-
ცენტს უდრის (ალკალოიდების მიხედვით). ასეთივე უნდა
იყოს ანაბაზინ-სულფატის სამუშაო ხსნარის პროცენტული
შემადგენლობაც. ვინაიდან აღნიშნული შხამები ერთნაირი
რაოდენობით არ შეიცავს ალკალოიდს, ისინი სხვადასხვა
რაოდენობით უნდა იქნეს აღებული წყლის ერთსა და იმავე
რაოდენობაზე. ნიკოტინ-სულფატი, რომელიც ჩვეულებრივ
40 პროცენტიანია, ლიტრ წყალზე 5 გ-ის რაოდენობით უნ-
და იქნეს აღებული. ამ პრეპარატებისაგან დამზადებულ სა-
მუშაო ხსნარს უნდა დაემატოს საპონი 4 გ-ის ვარაუდით
ლიტრ ხსნარზე.

სამუშაო ხსხარი უშუალოდ მტევნებს უნდა შესხვადეს
რადგან მავნებელი მათზე არის მოთავსებული. გიგანტუროვა

წამლობის ვადების უფრო ზუსტად განსაზღვრის მიზნით
ვენახის დიდ მასივებში უნდა მოეწყოს სპეციალური საჭე-
რები. უკანასკნელი წარმოადგენს თუნუქის ან ხის ჭურჭელს.
რომლის დიამეტრი 32 სმ-ია, სიმაღლე—14 სმ; მასში ჩა-
ხმულია წყალში განზავებული (1 : 8) ბადაგი და ძირით და-
მაგრებულია კეტზე. ჭურჭელის ზედაპირი მტევნების სიმაღ-
ლეზე უნდა იყოს მოთავსებული. ვინაიდან სითხე ორთქლდე-
ბა, ჭურჭელში სისტემატურად უნდა ებარებოდეს წყალი.
ყოველდღიურად საჭერიდან პეპლების ამოყვანით და მათი
დაოვლით არკვევენ შავნებლის რიცხობრივ ზრდას ვენახში და
აღვენენ მასთან ბრძოლის ვადებს.



სურ. 44. ვენახში დადგმული ჭურრძის ჭიის პეპლების საჭერი.

ამ მეთოდის მიხედვით ყურძნის ჭიის პირველი თაობის
წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჩატარდეს მეთხუთმეტე დღეს, დღი-
დან საჭერში პირველი პეპლების მოხვედრისა, მეორე და
მესამე თაობის წინააღმდეგ კი—მეოთხე-მეხუთე დღეს.

მეტად
უფროდა
განვითარებულ
გამოყენებულ
იქნეს ბრძოლის
კურ-მექანიკური მეთოდიც.

როგორც ცნობილია, ყურძნის ჭია ჭუპრის სტადიაში ზამთ-
რობს ვაზის შტამბის ამსკდარი ქერქის ქვეშ და მის ფუღუ-
როებში. ეს მოვლენა გამოყენებულია მასთან საბრძოლველად
შემდეგნაირად: აცლიან შტამბს ამსკდარ ქერქს, გააქვთ იგი
ვენახიდან და წვავენ. ამ საშუალებით დაახლოებით 80% -მდე
ისპობა შტამბზე მოზამთრე ყურძნის ჭია და ამასთან ერთად
სხვა სახეობის მავნებლებიც, როგორიცაა ვაზის ცრუფარიანა,
ვაზის ფოთლის აბლაბულის მკეთებელი ტკიპა და სხვ.

ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა

დაზიანება. ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა სახლდება
ვაზის შტამბზე, ერთწლიან რქაზე, მწვანე ყლორტზე, ფო-
თოლზე, მტევანზე და აზიანებს მათ. ადრე გაზაფხულზე ეს
მავნებელი აზიანებს შტამბის ცოცხალ ქსოვილებს. ამ ქსო-
ვილებიდან იღებს წვენს. ქსოვილში ფარიანა უშეებს თავის
საწუწნ ჯაგრებს კამბიუმის ფენამდე. იმ ადგილებში, სადაც
უარიანა იკვებება, ჩნდება ყავისფერი ლაქები; შემდეგ ეს მავნე-



სურ. 45. ცრუფარიანასგან დაზიანებული ფოთლები და მტევნები.


 ბელი გვხვდება უკვე ფოთლის ყუნწებზე, ფოთლის ჰელ.
 მხარეზე და ბოლოს—მღვენებზე. კვების შედეგად ფოტოები
 ყვითლდება, ჰქნება და ცვიგა. ამის გარდა, ფარიანების შეირ
 გამოყოფილი ტებილი წვენი უხეად იღვენთება ფოთლების
 ზედაპირზე. ამ ტებილ
 წვენი სახლდება კაპ-
 ნოდიუმის გვარის სო-
 კოს სპორები, რომლე-
 ბიც შემდგომ თავისი
 მიცელიუმით ფარიანენ
 მას. ამის გამო ფოთ-
 ლის ზედაპირი მუ-
 რისებრ შავ ფერს
 იღებს. იგი ამ დროს
 ბრჭყალებს და ხელ-
 ზე ეწებება ფარიანას
 წვენის წებოვნების გა-
 მო.



სურ. 46. გაზის ცრუფარიანასაგან ახალ-
დაზიანებული მტევანი.

ასევე მურისებრ შავ
 ფერს იღებს დაზიანე-
 ბული მღვენებიც. ხში-
 რად კლერიკ ფარია-
 ნების მოქმედების გა-
 მო მთლიანად გაშავე-
 ბულია. ფარიანას მა-
 სობრივად დასახლე-
 ბის შემთხვევაში კლერ-
 ტი მთლიანად ჰქნება.
 მასთან ერთად ჰქნება
 თვით. მარცვლებიც,
 რადგან კლერტი მათ
 ველაო აწედის საკ-
 ვებს, თუმცა კიდეს
 რომ მიაწოდოს, წვე-
 ნი მარცვლამდე ველარ მიაღწევს, რადგან ფარიანები ყუნ-
 წის ბალიშებს იმდენად აზიანებენ, რომ აფერხებენ წვენის

შემდგომ გადაჯგუფებას. მთლიან გაკვნობას გადარჩენილი შტევნები შეიძლება გამოდგეს ლვინის დასაყენებლად, არამარტივულად კა ასეთი მასალიდან მიღებული ლვინო დაბალი ხარისხის დგება.

ფარიანების მიერ დაზიანებული სასუფრე ჯიშის ყურძენი საქმელად აღარ გარგა, იგი მხოლოდ საღვინედ გამოდგება.

ვაზის ცრუფარიანას საქართველოს მევენახეობის ბევრ რაონში მეტად დიდი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებს იგი გურჯაანის, სილნალის, ყვარელის, მაიაკოსკის და სხვ. რაიონებს.

ცრუფარიანას მიერ მიყენებული ზარალი მარტო ამით არ ამომწურება. იგი მასობრივად დასახლების შემთხვევაში ვაზს თანდათან ასუსტებს და ბოლოს მთლად ღუპავს მას.

ვაგრცელება. ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა საქართველოში არ არის დიდი ხნიდან ცნობილი. იგი ცნობილი გახდა ჩვენთვის მხოლოდ 1925 წლიდან, როდესაც გურჯაანის რაიონში გამოჩნდა ერთეული ეგზემპლარების სახით. ჩვენში ცრუფარიანას მასობრივი ვაგრცელების თარიღიდან 1937 წელი უნდა ჩაითვალოს.

12 წლის ვანმავლობაში ცრუფარიანა ჩვენში უკვე მასობრივი მივნებელი გახდა. ეს გარემოება, იმის მაჩვენებელია, რომ მისი ვანვითარების, გამრავლებისა და ვაგრცელებისათვის საქართველოში ოპტიმისტური ეკოლოგიური პირობებია მოცული. მისი გამრავლება თითქმის ერთნაირი ინტენსივობით მიმდინარეობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.


ალწერა. ვაზის ცრუფარიანა ხასიათდება მწუწნავი პირის ორგანოებით. იგი თავისი ხორთუმისებრი წაგრძელებული პირის ნაწილებით წუწნის მცენარის სხვადასხვა ორგანოდან თხიერ მდგომარეობაში მყოფ საკედანი ნივთიერებებს.

ცრუფარიანას დედალი და მამალი ფორმები ერთმანეთისაგან გარეგნულად ძლიერ განსხვავდებიან. მამალი უფრო მოკრძოა, ფრთიანი, დედალი კი უფრთო. კირიჩენჯოს ალწერით, ზრდასრული დედალი მეტად ან ნაკლებად ბრტყელია, უფალური, ყვითელი ან ვარდისფერი. მისი სხეული დაფარულია ცვილისებრი ფიფქით. ცრუფარიანას სხეულის გარეთა

ნაპირებზე, თანაბარ მანძილზე ერთმანეთისაგან, მოკლებდა
ქაცვები და ბეწვები, რომლებიც სხეულის ბოლოში გადასახლდებოდა
გრძელია, ვიდრე წინა ნიწილში. წინა ქაცვები 10-ჯერ უფ-
რო გრძელია, ვიდრე უკანა. თითოეულ გვერდზე მოეპო-
ვება ჩეილმეტი ქაცვი. ულვაშები გრძელი აქვს, რეა
ნაწევრიანი; ფეხები ულვაშებზე გრძელი აქვს. დედალ
ცრუფარიანას სიგრძე

3,5 — 4 მმ-ს უდრის.

ცრუფარიანა ყველა
ასაკში დაფარულია
თეთრი ცვილისებრი
ფიფქით. ამ ფიფქს
მოკლებული არიან



სურ. 47. ვაზის ცრუფარიანას
ზრდადასრულებული ფორმა.



სურ. 48. ვაზის ცრუფარია-
ნას 1-ლი ასაკის მატლი.

მხოლოდ ახალგამოჩეული და ახალკანგამოცელილი ფორ-
მები.

კვერცხი პატარაა, ოვალური, ყვითელი, სიგრძით 0,2 მმ.

ცოფა-ცხოვრება. ვაზის ცრუფარიანა ზამთრობს სხეადა-
სხვა ასაკის მატლის და ზრდადასრულებულის სახით. ამ პე-
რიოდში მისი ადგილსამყოფელია ვაზის შტამბი, სარი და
ჭიგო. ამ ადგილებში იგი მოთავსებულია ამსკდარ ქერქქვეზ
და ფულუროებში. ცრუფარიანების უმრავლესობა ზამთარს
ატარებს იმავე ვაზებზე, რომლებზედაც იკვებებოდა ზაფხუ-



ლის განმავლობაში; ბევრად მცირე ნაწილს ვხვდებით რებსა და ჭიგოებზე.

ერთი და იმავე ვაზის შტამპზე მოზამთრე ფარიანები თა-
ნაბრად არ არიან განაწილებული. მათი უმრავლესობა გვხვდე-
ბა შტამპის ქვედა ნაწილზე 30 სმ-ის სიმაღლემდე ნიადაგის
ზედაპირიდან. ზემოთ და ზემოთ მათი რიცხვი თანდათა-
ნობით კლებულობს შტამპზე, ხოლო მეტად მცირე რაოდე-
ნობით ვხვდებით რქებზე. ამას ადასტურებს ველისციხეში
1938 წლის 29 ნოემბერს ჩვენ მიერ ჩიტარებული დეტალური
აღრიცხვების შედეგები. ნიადაგის ზედაპირიდან 30 სანტი-
მეტრის სიმაღლემდე ვაზის შტამპზე აღმოჩნდა 1406, ხოლო
31 სანტიმეტრიდან 60 სმ-ის სიმაღლემდე მხოლოდ 168 ცა-
ლი ფარიანა.

ცრუფარიანას ზამთრობაში გადასვლის პერიოდი საკმაოდ
გატიანურებულია; ზოგჯერ იგი გრძელდება ოქტომბრის უკა-
ნასქნელი რიცხვებიდან დეკემბრის ბოლომდე. როგორც ზამ-
თრობაში გადასვლის დაწყება, ისე მთელი ამ პერიოდის
ხანგრძლიობა მთლიანად დამოკიდებულია შემოდგომის ამინ-
დებზე. თუ შემოდგომით სიცოვეები აღრე დაიწყო, ცრუფა-
რიანებიც ადრე ზამთრობენ, და პირიქით.

აქ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ორი შემდეგი გარე-
მოება: 1. სიცივის გავლენით ფარიანების შტამპზე გადას-
ვლა დასაზამთრებლად და 2. ფოთლების რაიმე მიზეზით
ნააღრევად ჩამოცვენის გამო ფარიანების შტამპზე გადასვლა.
პირველი შემთხვევის დროს ფარიანა სავსებით წავეტს კვე-
ბას, მეორე შემთხვევის დროს კი იგი აგრძელებს კვებას
შტამპის ცოცხალ ქსოვილებზე. უკანასკნელ შემთხვევას ად-
გილი ჰქონდა 1938 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

ცრუფარიანების ზამთრობიდან გამოსვლა და აქტიური
ცხოვრების დაწყება, მაგალითად, კვება, კვერცხების დება და
სხვ., ბუნებაში გაზაფხულზე იწყება. ეს ყოველ წელს ერთსა
და იმავე დროს არ ხდება. იგი დამოკიდებულია აგრეთვე
გაზაფხულის სითბოზე. რაც უფრო ადრე დადგება გაზაფ-
ხულზე თბილი ამინდები, მით უფრო აღრე იწყება მათი ზამ-
თრობიდან გამოსვლა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1938 წელს
კახეთში მათი გამოსვლა მოხდა ი აპრილს, ხოლო 1939 წელს
18 აპრილს.

გამოშამთრებული ცრუფარიანების უმრავლესობა კვერცხები გაზაფხულზე იმავე აღვილებში დებს, სადაც ზამთარი ფასტომის 1938 წელს ნაზამთრი ფარიანების მიერ დადებული მინიჭებული კვერცხები ვაზზე შენიშნული იყო 15 პრილს. მათ კვერცხების დება დაამთავრეს 2 ივნისს.

ქვე უნდა ალინიშნოს ვაზის ცრუფარიანას შემდეგი დამახასიათებელი თვისება: კვერცხის დებისას გამოჰყოფს თეთრ ცვილისებრ ნივთიერებას, რომელიც ძაფის სახეს იღებს. ამ ძაფებში ათავსებს იგი თავის კვერცხებს. ცვილისებრი ძაფები იმდენადა ერთმანეთში გადახლართული და იმდენად მკერიეადაა შეკრული; რომ მათ გაუშლელად შიგ კვერცხების დანახვა თითქმის შეუძლებელია. ცრუფარიანა, როგორც წესი, კვერცხებს ერთ იდგილის დებს ჯგუფად. კვერცხებიდან მატლების გამოჩეკის ვადები ჰაერის ტემპერატურასთან არის დაკავშირებული. რაც უფრო დაახლოებულია ჰაერის ტემპერატურა კვერცხების გამოჩეკის ოპტიმუმიან, მით უფრო აღრენდება მათი გამოჩეკა. ყველაზე სწრაფად იჩეკება ის მატლები ($4-5$ დღეში), რომლებიც მოთავსებული არიან ჰაერის ტემპერატურის $36-37^{\circ}$ -ის პირობებში. რაც უფრო დაბალია გარემოს ჰაერის ტემპერატურა, მით უფრო ხანგრძლვია მათი ემბრიონული განვითარება, ე. ი. კვერცხიდან მატლის გამოჩეკა. ჩვენს ლაბორატორიულ ცდებში იგი უდრიდა:

| | | |
|---------------------|-----------|-------------|
| $30-31^{\circ}$ -ის | პირობებში | $5-7$ დღეს, |
| $23-24^{\circ}$ -ის | " | $6-12$ " |
| 21 | " | $10-15$ " |
| 18-19 | " | $15-22$ " |

ვერ იჩეკება მატლები კვერცხებიდან, თუ ისინი მოთავსებული არიან $12-16^{\circ}$ -ის პირობებში.

ცრუფარიანები ყოველთვის ერთსა და იმავე აღვილებში არ იმყოფებიან ვეგეტაციის პერიოდში და არც ვაზის ერთი და იგივე ორგანოებით იკვებებიან. პირველი თაობის კვერცხებიდან გამოჩეკილი ფარიანები უმთავრესად იკვებებიან ვაზის შტამბზე. განვითარების უკანასკნელ პერიოდში მავნებლის მხოლოდ მცირე ნაწილი გადადის ფოთლებზე და იქ იკვებება. ეს ფარიანები სრულ ასაქში შესვლის შემდეგ კვერცხების დასადებად ფოთლებიდან შტამბზე ბრუნდებიან.

ვაზის შტამბზე დადებული შეორე თაობის კვერცხებიდან გამოჩეკილი ფარიანების უმრავლესობა უკვე ფოთლებსა კულორტებზე სახლდება. მაგრამ ყველა აქ არ იმყოფება მულ-მივად. ზრდის დასრულების შემდეგ მათი ნაწილი კვერცხების დასადებად შტამბზე გადადის, ნაწილი კი რჩება ფოთლებზე. მეორე თაობის კვერცხებიდან გამოჩეკილი ფარიანების ფოთ-ლებსა და კულორტებზე გადასვლის პირველი შემთხვევები 1938 წლის 22 ივნისს იყო შენიშნული გურჯაანსა და ვი-ლისციხეში, ხოლო კვერცხების დასადებად მათი შტამბზე დაბრუნების შემთხვევები — ამავე წლის 13 ივნისს.

ვაზის შტამბზე მესამე თაობის მიერ დადებული კვერცხ-ბიდან გამოჩეკილი ფარიანების უმრავლესობა მტევნებსა და ფოთლებზე სახლდება, აქ იკვებება და ვითარდება. ზრდის დასრულების შემდეგ მათი უმეტესი ნაწილი კვერცხებს დებს მტევნებზე. ამ თაობის ფარიანების მტევნებსა და ფოთლებ-ზე მასობრივად დასახლება 1938 წელს შენიშნულია 21 ივ-ლისიდან, ხოლო მასობრივი კვერცხის დება მტევნებზე — 5 აგ-ვისტოდან.

მეოთხე თაობის ახალგამოჩეკილი ფარიანების უმრავლესობა ზრდის დასრულებამდე მტევნებზე იმყოფება და იკვებება. ესე-ნი მხოლოდ კვერცხების დების წინ გადადიან ფოთლებზე, აქ დებენ კვერცხებს და შემდეგ იხოცებიან. ამ კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები ფოთლებზე რჩებიან დაზამთრებამდე.

ზემოთ აღწერილი ბიოლოგიური თავისებულების, სახელ-დობრ ფარიანების ადგილსამყოფელის გამოცვლის, განსა-კუთრებით კი კვერცხების დების ადგილისა და დების დროის ზუსტ ცოდნას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც ბრძოლის ღონისძიებათა განხილვიდან დაუინახავთ, ამაზეა დამყარებული ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი.

ცრუფარიანა ვაზის მთელი ვეგეტაციის განმავლობაში თა-ნაბარი რაოდენობით არ დებს კვერცხებს. ამის მიზეზია ის, რომ კვების პირობები და გარემოს პარის ტემპერატურა მათ ყოველთვის ერთნაირი არა აქვთ. ყველაზე მცირე რაო-დენობით დებენ კვერცხებს ნაზამთრი ფარიანები, უფრო მეტს მათი შთამომავლობა — პირველი თაობა, და კიდევ უფრო მეტს — დანარჩენ თაობათა ცრუფარიანები.

ნაზამთრი ფარიანების კვერცხის დების პერიოდში გვხვდა კიდევ არა აქვს გამოტანილი ფოთლები; მწერალმა უძლიერი დასახლებულია ვაზის შტამპზე, საიდანაც საკვების მიზნებით შედარებით ძნელია. კვების ცუდ პირობებს ემატება კვერცხების დების პერიოდში გარემოს ჰაერის დაბალი ტემპერატურა და აგრეთვე ის, რომ იგი მთელი ზამთრის განმავლობაში უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში იმყოფებოდა და ამასთან შიმშილობდა კიდეც. სწორედ ამ მიზეზებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ნაზამთრი ცრუფარიანების კვერცხის პროდუქცია ვენახებში საშუალოდ 41 ცალს არ აღმატება და მერყეობს 22—67 ცალს შორის. როგორც აღვნიშნეთ, კვერცხის პროდუქცია მეტი აქვს შემდეგი თაობის (ნაზამთრის მომდევნო) ცრუფარიანებს. იგი საშუალოდ უდრის 114 ცალს და მერყეობს 98—154 ცალს შორის. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდში ვაზის შტამპში წვენთა მოძრაობა გაძლიერებულია და, მაშასადამე, უკეთესია ფარიანების კვების პირობები. ამასთან, უფრო მაღალია გარემოს ჰაერის ტემპერატურა. ამ ფარიანებში უფრო მეტ კვერცხებს დებენ ის ფარიანები, რომლებიც ნაწილობრივ ფოთლებზე იკვებებიან და ნაწილობრივ შტამპზე, ვიდრე ისინი, რომლებიც მარტო შტამპზე იკვებებიან.

შემდეგი თაობის ფარიანების უმრავლესობა, როგორც ცნობილია, ვაზის ფოთლებზე და ნორჩი ყლორტებზე არის დასახლებული. მათი განვითარების პერიოდში გარემოს ჰაერის ტემპერატურა კიდევ უფრო მიახლოებულია მათი სასიცოცხლო პირობების ოპტიმუმთან და ამასთან დაკავშირებით იზრდება ამ ფარიანების კვერცხის პროდუქცია. იგი საშუალოდ უდრის 223 ცალს და მერყეობს 177—277 ცალს შორის.

ლაბორატორიულ პირობებში დაყენებული ცდების მიხედვით, ცრუფარიანა ყველაზე დიდი რაოდენობით დებს კვერცხებს 20—25°-ის პირობებში. ამ ტემპერატურაზე ზემოთ ან ქვემოთ კვერცხის პროდუქცია მცირდება. ფარიანები სრულიად არ დებენ კვერცხებს 14—16°-ის პირობებში, თუნდაც ისინი აქ რამდენიმე თვეს იქნენ მოთავსებული. ასევე არ დებენ კვერცხებს ისინი 36—40°-ის პირობებში.

ცრუფარიანების კვერცხების დება გრძელდება 2—18 დღეს. კვერცხების დების პირველ დღეს კვერცხების დღელამუშაოვთავა პროდუქტია შერყეობს 1—76 ცალს შორის; როგორც შექსპირთავა მუში, აღნიშნულია 137 ცალი.

ვაზის ცრუფარიანა წელიწადში 4 თაობას იძლევა. პირველი თაობა ჩევეულებრივ მცირე რაოდენობით ხასიათდება, შემდეგ თაობებში თანდათან მრავლდება და ყველაზე დიდ რაოდენობას აღწევს უკანასკნელ თაობაში, რომელიც მომწიფებულ მტევნებსა და ფოთლებზე არის მოთავსებული. ეს თაობანი კალენდარული რიცხვების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: I თაობა—15 აპრილი—2 ივნისი (48 დღე), II თაობა—2 ივნისი—14 ივლისი (43 დღე), III თაობა—14 ივლისი—2 აგვისტო (19 დღე) და IV თაობა—2 აგვისტო—19 სექტემბერი (51 დღე).

ცრუფარიანას გამრავლება გაცილებით უფრო მეტი ინტენსივობით მოხდებოდა, რომ მას მთელი რიგი ბუნებრივი მტრები არა ჰყოლოდა; მტრები გვხვდება როგორც პარაზიტების, ისე მტაცებლების სახით. კახეთში ცრუფარიანაზე პარაზიტობს რამდენიმე სახეობის მწერი.

ცრუფარიანებზე პარაზიტობის სიღრიცე ვეგეტაციის განმავლობაში ერთნაირი არ არის. ადრე გაზაფხულზე პარაზიტები ცრუფარიანებში ერთეულების სახით მოიპოვება. ასეთსავე შდგომარეობას აქვს ადგილი ცრუფარიანების მეორე თაობაში და მხოლოდ მესამე თაობის ცრუფარიანებში არის მასობრივად აღნიშნული პარაზიტები. კალენდარული რიცხვების მიხედვით უკანასკნელი მოდის აგვისტოს ბოლო რიცხვებსა და სექტემბერზე. ამ პერიოდში მტევნებზე ცრუფარიანების პარაზიტებით დაავალება ხშირად 80%-ს აღწევს.

როგორც იჩვევა, ცრუფარიანას პარაზიტების რაოდენობა ერთნაირი არ არის არა მარტო მთელი ვეგეტაციის განმავლობაში, არამედ წლების მიხედვითაც. ასე, მაგ., 1938 წელს რთველის პერიოდში პარაზიტიანობა 80%-შედევრით, 1945 წელს იგი 1%-ზე მცირე იყო.

პარაზიტების გარდა საქართველოში, კერძოდ კახეთში, ცრუფარიანას ჰყავს მტაცებლებიც. ამათში მთავარია ჭიამაია ზოქოების ოჯახის ჭარმომადგენელი—სციმნუსები. ესენი ზოგიერთ წელს საქმაოდ მასობრივად მრავლდებიან და ამცირებენ მავნებელს. ამ მწერების დაღებითი თეისება ის არის,

რომ კარგად იტანენ ჩვენს ზამთარს, მაგრამ აქვთ უარყოფა
თი მხარეებიც, როგორიც არის, მაგ., მავნებლის შეკმის
დაბალი უნარი და საუთარი პარაზიტების ყოლა. ტენის უარყოფა
ტები ზოგიერთ წელს მის რაოდენობას ძლიერ ამცირებენ. ეს
უკანასკნელი არის იმის მიზეზი, რომ წლების მიხედვით სციმ-
ნუსის გამრავლება დიდ რყევადობას განიცდის. ყოველმხრივი
შესწავლის შედეგად მივედით იმ დასკენამდე, რომ ცრუფა-
რიანას წინააღმდეგ ეს მწერები ჩვენს პირობებში არ გამოდ-
ვება.

ვაზის ცრუფარიანა მეტად სწრაფად ვრცელდება ვენახი-
დან ვენახში და რაიონიდან რაიონში. მის გავრცელებას
ხელს უწყობს ქარი, რომელიც იტაცებს ამ მწერს და გადა-
აქვს ახალ ადგილებში. გამავრცელებლის როლში გამოდის
თვით ადამიანიც, რომელიც თვეისი ტანისამოსის საშუალე-
ბით ავრცელებს მას ვენახებში. ვრცელდება იგი აგრეთვე
სანერგე მასალით, როდესაც უკანასკნელი ცრუფარიანათი
დავადებული ადგილიდან გადააქვთ.

ბრძოლის ღონისძიებანი. ცრუფარიანას წინააღმდეგ ბრძო-
ლის შემდეგი მეთოდები გამოიყენება: აგროტექნიკური, ქიმიუ-
რი, ბიოლოგიური და კარანტინის. ამათგან პირველი ითვა-
ლისწინებს ვაზის შტამბის ამსკდარი ქერქისაგან გასუფთავე-
ბას, მის ვენახიდან გატანას და დაწევას. ამ ღროს დოდი
რაოდენობით იღუპება მავნებელი. ალსანიშნავია ის გარე-
მოება, რომ ცრუფარიანას გარდა ამ ოპერაციის ჩატარების
ღროს თითქმის 80%-ით იწვის ვაზის მეორე, მეტად სერიო-
ზული უარყოფითი მნიშვნელობის მავნებელი ყუნწის ჭია და
აგრეთვე ვაზის ფოთლის აბლაბუდის მკეთრებელი ტკიპა. ეს
ღონისძიება წელიწადში ორჯერ უნდა ჩატარდეს—ადრე გა-
ზაფხულზე და შემოდგომით—რთვლის შემდეგ. იმის გარდა,
რომ ეს ღონისძიება სპობს მავნებელს, მას ის დადებითი
მხარეცა აქვს, რომ უკეთესი პირობები იქმნება ვაზის შტამბ-
ზე ცრუფარიანასთან ქიმიური ბრძოლისათვის; ამის შესახებ
ქვემოთ გვიჩნება ლაპარაკი.

ქიმიური შეთოდი. ქიმიური მეთოდით ბრძოლა ნაერ-
კირის, ნაერ-საპონის, ნაერობის ზეთის ემულსიებით, ანა-
ბაზინ-სულფატით ან ნიკოტინ-სულფატით ხდება. პირველი



სამით ბრძოლა ხდება შემოდგომით და გაზაფხულზე. ექვემდება
აუცილებლად თან სდევს ამავე ვადებში ჩატარებულ ფრთხოება
კურ-მექანიკურ ბრძოლას, ე. ი. ვაზის შტამპისაგან ამსკდარი

ქრექის აცლასა და დაწვის. როგორც კი ეს უკანასკნელი
ლონისძიება ჩატარდება, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესხუ-
რებული შტამპზე ერთი ამ ემულსიათაგანი. ემულსით კარ-
გად უნდა დასკელდეს ვაზის შტამპი და მისი ფულუროები.

ნავთ-კირის ემულსია შემდეგნაირად მზადდება: იღებენ
100 გრამ ქვა-კირს, ასხამენ მცირეოდენ წყალს და შემდეგ
აზავებენ 12 ლიტრ წყალში, რომელსაც უმატებენ 400 გ
ნავთს. შემდეგ კარგად ურევენ ნაზავს ჯოხით, რომ ნავთი
თანაბრად განაწილდეს სითხეში. ამ წესით დამზადებულ
ემულსიას საცერტი გაწურვით ასხამენ ტრემასის ან ავტო-
მაქსის აპარატში და იწყებენ შესხურებას. სხურების დროს სა-
კიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ნავ-
თი ადვილად ეყოფა სითხეს და მის ზედაპირზე თავსდება, რის
გამო აუცილებელია სასხურებლის მეტად ხშირი ნჯღრევა.

სხურების მაგიერ შეიძლება ემულსის ფუნჯით წასმა,
მაგრამ ამ მეთოდის ეფექტი შედარებით ნაკლებია.

ნავთ-კირის ემულსია საგრძნობად სპობს ვენახში ცრუფა-
რიანებს, რის გამო ზაფხულისათვის მცირე რაოდენობით
რჩებიან ისინი.

ნავთ-კირის ემულსიაზე უკეთეს შედეგს იძლევა ნავთ-საპო-
ნის ემულსია. ამ შემთხვევაში 12 ლიტრ წყალზე იღებენ 60
გრამ საპონს. საპონი შეიძლება იყოს სარეცხის, მწვანე,
დელფინის და სხვ. საპონი თუ მაგარია, წინასწარ აქუცმაცე-
ბენ, ასხამენ თბილ წყალს და ურევენ მანამდე, სანამ იგი
მთლიანად არ გაიქნება წყალში. წყლისა და საპონის ერთმა-
ნეთში არევის შემდეგ ნაზავს ასხამენ აპარატში და სასხურე-
ბენ ვაზის შტამპს.

აღნიშნული ემულსიების მაგიერ შეიძლება გამოყენებულ
იქნეს და უკეთესიც არის ნავთობის ზეთის ემულსია, მაგა-
ლითად, ტრანსფორმატორის. უკანასკნელს $4^{\circ}/_{\text{o}}$ -იანს იღებენ.

საქმიანდ კარგ შედეგს იძლევა ზაფხულის პერიოდში ცრუ-
ფარიანას მტევნებზე დასახლების შემდეგ ნიკოტინ-სულფატი
ან ანაბაზინ-სულფატი. როგორც ერთს, ისე მეორეს $0,5^{\circ}/_{\text{o}}$ -იანი
კონცენტრაციის ხსნარის სახით ასხურებენ შტევნებს და
8. ვაზის მთავარი მავნებლები.

ფოთლებს ქვედა მხრიდან. მტევნები და ფოთლები აღნიშნული სულფატებით კარგად უნდა დასველდეს.

თუ კი ამ სულფატებათ, განსაკუთრებით ნიკოტინ-სულფატით, კარგად ჩატარდა შესხურება, ცრუფარიანების სიკვდილიანობა ხშირად 80—95% -მდე ადის. მხოლოდ კვერცხებში არ მოქმედებს ეს სულფატები, რის გამო ყოველი 7 დღის შემდეგ სხურება ორჯერ უნდა განმეორდეს, რადგან ამ დროისათვის კვერცხებიდან მატლები უკვი გამოჩეკილი არიან.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული სულფატების შესხურება სქესმშიც ურუფარიანებში იწევეს იძულებითს და, ამასთან დაკავშირებით, ნაადრევ კვერცხის დებას. ვინაიდან კვერცხები ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული, მათგან მატლები არ იჩეკებიან. იძულებით დადებული კვერცხების გარჩევა ნორმალურ პირობებში დადებული კვერცხებისაგან ადგილია. იძულებით დადებული კვერცხები ცალ-ცალკე კი არ არის დაწყობილი წვეულებრივ, არამედ გადაბმულია ერთმანეთშე და ხშირად მიღებული აქვს საკმაოდ გრძელი ძეწევის სახე.

ბიოლოგიური მეთოდი. ვაზის ცრუფარიანას წინა-აღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი გულისხმობს ჭია-მაიას ერთ-ერთი სახეობის, სახელდობრ კრიპტოლემუსის (*Cryptolaemus montrouzieri*) გამოყენებას. საქართველოში მრავალი სახეობის ჭიამაიაა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ვაზის ცრუფარიანათი იკვებებიან. მიუხედავად ამისა, ისინი მათ საკმაო ბრძოლას ვერ უწევენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამის მიზნზია ცალკეულ სახეობათა რაოდენობრივი სიმცირე, ნაკლები აქტივობა, პარაზიტებით დაავადება, სხვა მკერდავი მასპინძლის (მწერის) არსებობა და სხვ. ეს იყო მიზნზი იმისა, რომ საქირო გახდა უცხოეთიდან უფრო ენერგიული და მეტი სარგებლობის მომტანი მწერ-მტაცებლის—კრიპტოლემუსის შემოყვანა. იგი პირველად ქაიროდან იქნა ზემოყვანილი ლენინგრადში და იქიდან კი—აფხაზეთში. აფხაზეთიდან იგი გადაყვანილ იქნა აჭარაში, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში. და კახეთში 1938—1940 და 1944 წლებში.

კრიპტოლემუსის სამშობლოდ ითვლება აცსტრალია. იქიდან იგი ხელოვნურად გაავრცელეს ზოგიერთ მწერთან საბრ-



ძოლველად კალიფორნიაში, ჰავაის კუნძულებზე, აფრიკაში და აზიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ესპანეთში, საბჟოთა კავშირში და სხვ. კრიპტოლემუსი ყველგან ერთნაირად კარგ შედეგს არ იძლევა. ამის მიზეზია ამა თუ იმ ადგილის ჰავა. იქ, სადაც ჰავის მხრივ ხელსაყრელი პირობებია, კრიპტოლემუსი კარგად მრავლდება ბუნებაში, ადამიანის ხელის შეუწყობლად და ძლიერადაც ებრძეის მავნებლებს. ამ მხრივ საუკეთესოდ ითვლება თბილი, ტენიანი და ზომიერი.



სურ. 49. კრიპტოლემუსის ხოჭო, რომელიც იკვებება ცრუფარიანათი (გაფრინდაშვილიდან).

რი ჰავის მქონე რაიონები, ასეთ ადგილებში იგი კარგად იტანს ზამთრის პირობებსაც. საბჟოთა კავშირის ის რაიონები, სადაც კრიპტოლემუსს იყენებენ მავნებლებთან საბრძოლველად (აფხაზეთი, აჭარა, დასავლეთ საქართველო და კახეთი), არ არიან მისთვის ოპტიმალური პირობების მქონე რაიონები. აქ ისინი კარგად მრავლდებიან ბუნებაში გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებში, მაგრამ სამაგიეროდ ვერ იტანენ ზამთარს და მთლად იხოცებიან. ნაწილობრივ გამონაკლისს შეადგენს აფხაზეთი, სადაც ხოჭოები იტა-

ნენ ზამთარს ბუნებრივ პირობებში, ზოგიერთი წლის გამოკლებით. მაგრამ ამ კარგი წლების (სითბოს მხრივ) უძლიერობები შიაც, მათი რაოდენობა ზამთრის პერიოდში ძლიერ მცირდება.

კრიპტოლემუსის ცხოვრების ოპტიმალური პირობებია ავსტრიალიაში, სადაც იგი ზამთარშიაც კი მრავლდება და პალესტინაში, სადაც 6 თაობას იძლევა.

ყოფაცხოვრება. როგორც ცნობილია, კრიპტოლემუსი ხოჭოების რაზმს ეკუთვნის; სრულ განვითარებას რომ მიაღწიოს, ამისათვის უნდა გაიაროს: ხოჭოს, კვერცხის, მატლისა და ჭუპრის სტადიები. შეულლების შემდეგ დედალი ხოჭო თავის კვერცხებს ათავსებს ვაზის ცრუფარიანასა და სხვა ფქვილისებრი ფარიანების კვერცხების ჯგუფში, რომელსაც ჩანთას უწოდებენ. თითოეულ ჩანთაში კრიპტოლემუსი კვერცხებს სხვადასხვა რაოდენობით ათავსებს 1-დან 6-მდე და ზოგჯერ მეტსაც. ეს დამოკიდებულია კრიპტოლემუსის ხოჭოებისა და კვერცხის ჩანთების რაოდენობრივ შეფარდებაზე. ჩანთების სიმცირის დროს კრიპტოლემუსი თითოეულ ჩანთაში ბევრ კვერცხს დებს და, პირიქით, ჩანთების სიუხვისა და კრიპტოლემუსის ხოჭოების სიმცირის დროს იგი ცალკეულ ჩანთაში მცირე რაოდენობის კვერცხებსა დებს.

როგორც სხვადასხვა მკვლევარის დაკვირვებიდან ჩანს, ხოჭო საკმაოდ დიდი რაოდენობით დებს კვერცხებს. ხელსაყრელ პირობებში მისი კვერცხების პროდუქტია ხშირად 700 ცალამდე ალწევს. მისი ასეთი დიდი სქესობრივი პროდუქტია აიხსნება ხოჭოს სიცოცხლის დიდი ხანგრძლიობით (ხშირად 9—10 თვე) და ამ ხნის განმავლობაში თითქმის შეუწყვეტელი კვერცხის დებით.

როგორც ჩანს, ხოჭო შიმშილს კარგად იტანს. გაფრინდაშვილის ცდებში 10—16°-ის გარემოს პაერის ტემპერატურისა და 50%, შეფარდებითი ტენიანობის პირობებში ხოჭო უსაკეთოდ 20 დღემდე ცოცხლობს. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო ადრე იხოცებიან უკმელობით. 20—30° პირობებში ისინი შიმშილს მხოლოდ 5—6 დღეს იტანენ.

ხოჭო კარგად ფრენს. განსაკუთრებით აქტიურია და დიდ მანძილზედაც ფრენს ხოლმე დღის ცხელ პერიოდში. შესრულებული რებით გრილ ამინდში ხოჭო წყვეტს ფრენის და იწყებს კვებას.

კრიპტოლემუსი იკვებება ძირითადად ცრუფარიანებით და მათ შორის კაზის ცრუფარიანას კვერცხებით, მცირეოდნად მათი შეტლებითა და ზრდადასრულებული ფორმით. იგი იკვებება როგორც ხოჭოს, ისე მატლის სტადიაში ყოფნის დროს. მაგრამ გაცილებით სუსტად იკვებება ხოჭო, რის გამო მავნებლის უშუალოდ მოსპობის მხრივ მას დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ამ მხრივ გამოირჩევა მისი მატლი, რომელიც სწრაფად ანადგურებს ჩანთებში მყოფ ცრუფარიანას კვერცხებს.

კრიპტოლემუსის მიერ ვენახების განთავისუფლება ვაზის ცრუფარიანასგან დამოკიდებულია ხოჭოების ვენახებში გაშვების ვადებზე. მისი გაშვების საუკეთესო დროა ის პერიოდი, როდესაც ცრუფარიანა მასობრივად იწყებს შტამბიდან შტვენებზე გადასვლას. კრიპტოლემუსის ამაზე ადრე გაშვება არ იძლევა შედეგს, რადგან მისი ხოჭო თავისი შედარებით დიდი ტანის გამო ვერ ახერხებს შტამბის ქერქის ქვეშ შესვლას და იქ ცრუფარიანას ჩანთებში თავისი კვერცხების მოთავსებას. ვაზის ფენოფაზების მიხედვით, კრიპტოლემუსის გაშვების დრო ჩვეულებრივად ემთხვევა ყურძნის სიმშიდის დასაწყისს, კალენდარული რიცხვების მიხედვით კი ეს ვადები ექცევა 15 ივლისსა და 15 აგვისტოს შორის.

სურ. 50. კრიპტოლემუსის



ცრუფარიანათი მოდებულ ვენახებში მატლი.
ხოჭოს გაშვება შემდეგი წესით / ხდება
წინასწარ მინის სიჯვარებში მოთავსებული ხოჭოები ვადა-ყავთ ვაზებზე ორ-ორი ხოჭოს ვარაუდით თითო ვაზზე. იმ შემთხვევაში, თუ ხოჭოს გაშვება დაგვიანდა და მისი გაშვება მოხდა, მაგალითად, 1-ლი აგვისტოს შემდეგ, მაგრამ არა უგ-

ვიანეს 15 აგვისტოსი, მაშინ ხოჭოების რაცვები და უაზე უნდა გაიზარდოს ერთოორად.

ხოჭოებას გაშვება უმჯობესია დილისა და სიღრძის მისა თებში, ღრუბლიან ამინდებში კი მთელი დღე, რადგან ამ დროს ისინი სიგრილის გამო შედარებით ნაკლებ აქტიური არიან და არ ფრენენ. დღის ცხელ პერიოდში ხოჭოს ვაზე მოთავსება ძნელია, რადგან იგი ფრენს და იმ ვენახს, რომელშიაც მას უშვებენ, შეიძლება მთლად მოსცილდეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ცრუფარიანა მასობრივად არის მოდებული ვენახების დიდ მასივში, კრიპტოლემუსის ხოჭოები შეიძლება ცალ-ცალკე კი არ მოთავსდეს ვაზებზე, არა მედ მოიბნეს ვენახში. ასეთ პირობებში ისინი საჭირო სიხშირით თვითონ ნაწილდებიან ფარიანებით მოდებულ ვაზებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვენახში ვაზებული ხოჭოები იძლევიან მხოლოდ ერთ თაობას. ძირითადად ამ თაობის მატლები სპობენ ცრუფარიანას კვერცხებსა და მატლებს. ამასთან დაკავშირებით ისინი იზრდებიან, აღწევენ სრულ განვითარებას და იჭერებენ. როგორც წესი, ჭუპრიდან გამოდის ხოჭო, მაგრამ სიცივეების დაწყებისთანავე კვდება და ვეღარ ახერხებს ახალი შთამომავლობის დატოვებას.

ამგვარად, ცრუფარიანასთან საბრძოლველად ყოველწლიურად საჭირო ხდება ზემომოასენებულ ვალებში ხოჭოების ვენახებში გაშვება.

საქართველოში მრავალ ადგილასაა მოწყობილი კრიპტოლემუსის მოსამრავლებელი სპეციალური ლაბორატორიები, რომლებსაც ბიოლაბორატორიებს ანუ ინსექტარიუმებს უწოდებენ. მევენახეობისათვის იგი მოწყობილია თელავში მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტთან, ველისციხეში და ხირსის საბჭოთა მეურნეობაში. ამას გარდა, ინსექტარიუმები ბევრგანაა მოწყობილი ციტრუსოვან კულტურებზე გავრცელებულ მავნებელთან საბრძოლველად აფხაზეთსა და აჭარაში.

საკარანტინო დონის ძირი გაზის ცრუფარიანა საბჭოთა კავშირში კარანტინის ობიექტად არის მიჩნეული,



რაღაც იგი ყველა მეცნიერობის რაიონში არ არის გავრცელებული. ამასთან, თვით გაერცელების რაიონშიაც იგი მიკრორაიონის კენახებში არ არის. სამაგიეროდ, სადაც გაერცელებულია, ძლიერ ღუპავს ყურძნის მოსახლს. ამის გამო აუცილებლადაა საჭირო ყოველგვარი ზომის მიღება, რომ იგი არ მოხვდეს მისგან თავისუფალ რაიონსა და კენახში. ეს რომ განხორციელდეს, უნდა შესრულდეს შემდეგი წესები:

1. არ უნდა იქნეს გატანილი ფარიანათი ძლიერ მოდებული რაიონიდან ამერიკული ვაზის ლერწი, საკვირტე მასალა, წლიური ნამყენი და საერთოდ სარგავი მასალა მისგან თავისუფალ რაიონში. იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია, იგი წალებულ უნდა იქნეს ისეთი მეურნეობიდან, რომელიც ზუსტი შემოწმების თანახმად თავისუფალი აღმოჩნდება მავნებლისაგან. საეჭვო შემთხვევები უნდა ჩატარდეს გადასაზიდი მასალის ფურიგაცია. ფურიგაციას აწარმოებენ კარანტინის ინსპექციის წარმომადგენლები.


2. სასურველია ფურიგაციის ჩატარება თვით რაიონის ფარგლებშიც, რითაც აღარ მიეცემა მავნებელს სწრაფად და ფართოდ გაერცელების საშუალება რაიონის კენახებში.

ამ ბროშურაში აღწერილი ბრძოლის ღონისძიებანი შეტანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროწესებში და სავალდებულოა მათი გამოყენება იმ კენახებში, სადაც გავრცელებულია ვაზის ცრუფარიანა.

აკაციის ფარიანა

დაზიანება. აკაციის ფარიანა აზიანებს ვაშლს, მსხალს, კომშს, შეინდს, ქლიავს, ატამს, აკაციას, იასამანს, ვაზს და სხვ. განსაკუთრებით ძლიერ ეტანება აკაციას. მასობრივი გავრცელების დროს დიდ ზიანს იყენებს ვაზს. ამ შემთხვევაში იგი წუწნის და აზიანებს ფოთლებს, ნორჩ გაუხევებელ და გახევებულ ყლორტებს, შტამბს და მტევნის კლერტებს. მავნებლის მასობრივად დასახლების დროს ყლორტები, ფოთლები და კლერტები ჰქნება და ხმება. მათ მიერ დიდი რაო-

დენობით გამოყოფილ ტკბილ წვენზე სახლდება კაპნოდიომის
გვარის სოკოები, რომლებიც ძლიერ ვითარდება ჭრის შემდეგ,
მურის სახით ეფინება მტევნებსა და ყლორტებს. ეს წვენი



სურ. 51. აკაციის ფარიანებილ კერტებზე
და მათგან დაზიანებული მტევნანი (მარც-
ვალზე გადაკრულია მურისებრი ფიფქი).

პირველად ფოთლებ-
ზე პრიალებს, შემდეგ
კი იფარება მურით.
აკაციის ფარიანას მა-
სობრივი გამრავლება
ვენახში საქართველოს
სინამდვილეში პირვე-
ლად შენიშნულია 1939
წელს ნაფარეულის საბ-
ჭოთა მეურნეობაში.
იგი ვენახებში გაერ-
ცელდა მეურნეობისავე
აკაციის ცოცხალი ღო-
ბიდან, სატაც, რო-
გორც ჩანს, რამდენიმე
წლის განმავლობაში
მრავლდებოდა.

აღწერა. დედალი და
მამალი ფარიანა ძლიერ
განსხვავდებიან ერთმა-
ხეთისაგან. დედალს
არა აქვს ფრთები, შა-
მალი კი ფრთიანია.
წილდაღასრულებული
დედალი სიგრძით 3,5—
6 მმ-ია, სიგანით 2—4
მმ. იგი ყვითელია; სხე-
ულს ზემოდან ფარი
აფარია. მამალს მხო-
ლოდ წინა ფრთები
აქვს, რომლებიც გა-
ნიერია და სხეულზე
გრძელი. სხეულზე
გრძელი აქვს აგრეთვე
ულვაშებიც.

გავრცელება. საქართველოში იგი მრავალ ადგილას გვხვდება.
ყოფა-ცხოვრება, გაზაფხულზე სათანადო კვებისა და განკურება
ერთიანების შემდეგ დედალი იქვე იწყებს კვერცხების დამტევითობას
სადაც იკვებებოდა და დასრულა ზრდა. კვერცხებს ძლი-
ერ ბევრს დებს, ხშირად 2800-მდე და მეტსაც. კვერცხის
რაოდენობა დამოკიდებულია მკვებავ მცენარეებსა და ამინ-
დებზე. ფარიანა კვერცხებს დებს თავისი მუცლის მევეშ. უკა-
ნასკნელი თანდათან იკუმშება და ეკვრის ზურგს, განთავი-
სუფლებული ადგილი კი ივსება კვერცხებით. მისი ზურგის


ზედაპირი გარდაიქმნება ფარიად,
რომელიც იცავს კვერცხებს.

კვერცხის დების დამთავრების-
თანავე დედალი ფარიანა კვდება.

კვერცხიდან ახალგამოჩეკილი
მატლი ძლიერ მოძრავია. მას
საკმაოდ ღიღხანს შეუძლია ხე-
ტიალი და ამასთან დაკავშირებით
დიდი მანძილის გავლაც. ასე, მა-
გალითად, მას შეუძლია გაიაროს
მთელი ტოტი და გადავიდეს
მეორეზე. ამ საშუალებით ვრცელ-
დება იგი მცენარის სხვადასხვა
ნაწილზე, მცენარიდან მცენარეზე
და სხვ. ამ მოხეტიალე ფარიანას
მეტად უწყობს ხელს გავრცელე-
ბაში ქარი, წყალი, ფრინველები,
მწერები, ცხოველები და ადამია-
ნი. უკანასკნელი ავრცელებს მას
თავისი ტანისამოსისა და საწარ-
მოო იარალების საშუალებით.
უფრო დიდ მანძილზე გავრცელე-
ბაში უმთავრეს როლს აღამიანი

ასრულებს; ეს ხდება სახელმწიფოდან სახელმწიფოში, რაიო-
ნიდან რაიონში სარგავი და სამყნობი შასალის გადატან-
გადმოტანით. შემდეგ ასაკებში, ე. ი. პირველი კანის გამოცვ-
ლის შემდეგ, ფრთიანი ფორმა ნაკლებ მოძრავია და ფარია-
ნების გავრცელება ბევრად შეზღუდული.

ბრძოლის დონისძიებაზე ისეთივეა, როგორიც ვაზის ცრუ-
ფარიანას წინააღმდეგ, გარდა ბიოლოგიურისა.



სურ. 52. აკაციის ფარიანები
გაზის რქაზე.

౬ ౧ ౬ ౬ ౦ ౩ ౦

83-

3

శిఖించినిసిత్తువాంశా

వాణిజ శాస్త్రముల్లో

| | |
|--|----|
| వ్యాఖ్యిలు ఉపస్థితిల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంత మిసి ప్రాంతముల్లో మిసి ప్రాంతముల్లో | 7 |
| ట్రాఫిక్ ప్రాంతముల్లో మిసి ప్రాంతముల్లో | 7 |
| అమెరికా ద్వారా సిద్ధి మిసి ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో | 24 |
| ట్రైప్ల్యూన్జెప్పిల్ అన్న మిసి ప్రాంతముల్లో మిసి ప్రాంతముల్లో | 31 |
| మిసి ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో | 37 |
| శ్రేష్ఠమిసి ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో | 41 |

వాణిజ శిఖించి శాస్త్రముల్లో—శిఖించి ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో

| | |
|----------------------------------|----|
| ప్రెర్జెన్సిలు మిసి ప్రాంతముల్లో | 45 |
| ప్రెర్జెన్సి ప్రాంతముల్లో | 48 |
| స్కూల్సాంగి ప్రాంతముల్లో | 48 |
| మిసి ప్రాంతముల్లో | 48 |
| వ్యాఖ్యిలు మిసి ప్రాంతముల్లో | 50 |

ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో

| | |
|---|----|
| గ్రామాలు | 52 |
| ప్రైస్ ట్రైప్ల్యూన్జెప్పిల్ | 58 |
| వ్యాఖ్యిలు అన్న మిసి ప్రాంతముల్లో మిసి ప్రాంతముల్లో | 62 |
| ప్రైస్ ట్రైప్ల్యూన్జెప్పిల్ | 65 |
| శాస్త్రముల్లో డా నిండాగుళి | 77 |
| స్కూల్సాంగి ప్రాంతముల్లో | 79 |
| వ్యాఖ్యిలు ప్రాంతముల్లో | 81 |
| వ్యాఖ్యిలు క్రాంతి | 85 |
| వ్యాఖ్యిలు ప్రాంతముల్లో అంతర్జాతీయ ప్రాంతముల్లో | 87 |
| వ్యాఖ్యిలు ట్రైప్ల్యూన్జెప్పిల్ | 91 |

క్రొర్కిలు, మిసి ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి మిసి ప్రాంతముల్లో మిసి ప్రాంతముల్లో

| | |
|--|-----|
| ప్రైస్ ట్రైప్ల్యూన్జెప్పిల్ | 94 |
| వ్యాఖ్యిలు ప్రాంతముల్లో డా నిండాగుళి | 103 |
| ఎక్సాప్రోఫిలు ప్రాంతముల్లో | 119 |

ବିଦେଶୀ ମୁଦ୍ରଣ ପରିକଳ୍ପନା

ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକ୍ଷାରୁକୁ ଏହାରୁ ପ୍ରସ୍ତୁତ କରାଯାଇଛି । ପରୀକ୍ଷାରୁରୁ ପରିକଳ୍ପନା ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଥାରୁ ପରିକଳ୍ପନା ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକ୍ଷାରୁରୁ ଏହାରୁ ପରିକଳ୍ପନା ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଥାରୁ ପରିକଳ୍ପନା ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

